გ. ჭელიქიშვილი

ოკარეული

სამეცნიერო-პოპულარული ნარკვევი
ქართველი ხალხის
წინაპრების ისტორიიდან

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო
საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის
სახელმწიფო გამომცემლობა
19 თბილისი 51

ქართველი ხალხის წინაპრების საკითხი ენის შესახებ სტალინური მოძღვრების სინათლეზე

ქართველ ხალხს დიდი ისტორიული წარსული გააჩნია. ათასი წლების მანძილზე შეგვიძლია გავადევნოთ თვალი მისი გმირული ბრძოლისა და სახელოვანი შრომის ისტორიას. მაგრამ რაც უფრო შორს მივდივართ ამ ათასწლეულთა სიღრმეში, მით უფრო მცირდება ცნობები ქართველი ხალხის წარსულის შესახებ, სულ უფრო და უფრო ძნელი ხდება ქართველი ხალხის ამ შორეულ წარსულზე მსჯელობა. ამიტომაა, რომ ამ უძველესი დროის შესახებ ხშირად მეცნიერებაში ვრცელდება არასწორი შეხედულებები. ასე მაგალითად, სულ ცოტა ხნის წინათ გავრცელებული იყო აზრი, თითქოს ქართველი ტომები ახლანდელი საქართველოს ტერიტორიაზე დაახლოებით ამ 2500 წლის წინათ უნდა მოსულიყვნენ სამხრეთიდან. ამ მოსაზრებას ბევრი არაფერი საბუთი გააჩნდა და დღეს იგი ჩვენს ქართულ საბჭოთა მეცნიერებაში სამართლიანადაა უარყოფილი. ჩვენ არავითარი საფუძველი არა გვაქვს ქართველი ტომები ადრეულ ხანებიდანვე ახლანდელი საქართველოს მიწა-წყალზე მცხოვრებლებად არ ვიგულისხმოთ. ის თავისებური

და მაღალი კულტურა, რომელსაც ჩვენ უძველეს ხანებში (კერძოდ, „ბრინჯაოს ხანაში“, — II ათასწლეულის მეორე ნახევარსა და I ათასწლეულის პირველ ნახევარში ჩ. წ-მდე) საქართველოს ტერიტორიაზე ვხვდებით, უეჭველია, ქართველი ტომების უშუალო წინაპრების კულტურაა.

ქართველი ხალხის შორეული წარსულის გაყალბების საფრთხე სხვა მხრითაც არსებობდა: აკად. ნ. მარის ცრუმეცნიერული საენათმეცნიერო თეორიის საფუძველზე ჩვენში შეიქმნა ეთნოგენეზის (ხალხთა წარმოშობის) თეორიები, რომლებიც ამა თუ იმ ხალხის ენასა და ეთნიკურ სახეს უკარგავდნენ ინდივიდუალობას და ნიჰილისტურ დამოკიდებულებას ნერგავდნენ ამ ხალხის ისტორიულ წარსულისადმი. ნ. მარი უარყოფდა ენათა შორის ნათესაობის არსებობას მათი წარმოშობის მიხედვით. ასე მაგალითად, თუ სლავური ენები (რუსული, უკრაინული, ბელორუსული და სხვები) ასე ძალიან ჰგვანან ერთმანეთს, ეს ნ. მარის მიხედვით იმის შედეგი კი არ არის, რომ ისინი ერთი საერთო ძირიდან მოდიან, ერთი საერთო ფუძე-ენის დიფერენციაციის შედეგს წარმოადგენენ, რომელმაც მოგვცა მთელი წყება მონათესავე ენებისა, არამედ იგი შედეგია იმისა, რომ ამ ენების ჩამოყალიბებაში მონაწილეობას იღებდნენ მსგავსი კომპონენტები. ენის განვითარება ნ. მარის მიხედვით მიიმართება ნახტომების გზით, რომლითაც ერთი ენიდან მეორე ენა შეიძლება მივიღოთ. ასეთი ნახტომების საფუძვლად კი ნ. მარი მიიჩნევდა სხვადასხვა ენების შეჯვარედინებას. მისი აზრით ენათა განვითარება მხოლოდ ერთი გზით მიდის — მრავალი ენიდან ერთი ენისაკენ: იყო უამრავი პატარ-პატარა ერთეულების ენები, რომელთა შეჯვარედინებით იქმნებოდა ახალი, უფრო მსხვილი ერთეულების ენები.

ნ. მარის ამ თეორიაზე დაყრდნობით შეიქმნა ჩვენში ეთნოგენეზის (ხალხთა წარმოშობის) თეორია, რომელიც ამტკიცებდა, რომ ისევე როგორც ენის განვითარებაში, ხალხთა წარმოშობა — განვითარებაშიც ჩვენ ნახტომებრივ განვითარებასთან გვაქვს საქმე, რომ ესა თუ ის ეთნიკური წარმონაქმი არის წინა სტადიის ეთნიკური ჯგუფების ისტორიული ტრანსფორმაცია. ეთნოგენეზი (ხალხის წარმოშობა) ნახტომების

გზით მიიმართება, ამასთანავე, მომხდარი თვისობრივი ტრანსფორმაციის (გარდაქმნის), მომხდარი ნახტომის, საფუძველიან წინა სტადიის ტომთა შეჯვარედინება.

1950 წელს დაიბეჭდა ამხანაგ სტალინის საენათმეცნიერო ნაშრომები — „მარქსიზმის შესახებ ენათმეცნიერებაში", „ენათმეცნიერების ზოგიერთ საკითხზე" და „პასუხი ამხანაგებს". ამ ნაშრომებით ამხანაგმა სტალინმა გაანადგურა ნ. მარის ცრუმეცნიერული, ანტიმარქსისტული თეორია. მან გენიალური სიცხადით მოგვცა ენის ბუნებისა და მისი განვითარების გზების განსაზღვრა, დაგვანახვა, რომ ენა სულაც არ ვითარდება ისე, როგორც ამას მარი და მისი მიმდევრები გვისახავდნენ. ამან კი საფუძველი გამოაცალა აგრეთვე ეთნოგენეზის მარისტულ თეორიას, რადგანაც ამა თუ იმ ხალხის წარმოშობა-ჩამოყალიბების საკითხის განხილვისას უმნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგენს ამ ხალხის ენის წარმოშობა-განვითარების საკითხი.

ეთნოგენეზის პრობლემა გულისხმობს იმ ელემენტების მოძებნას, რომლისგანაც ჩამოყალიბდა და განვითარდა ეს ხალხი. რაა ის ელემენტები, რაც განსაზღვრავს ამა თუ იმ ხალხის სახეს? ესაა — ენა, კულტურა და ანთროპოლოგიური (რასიული) ტიპი. ყველაზე ნაკლებ მნიშვნელოვანი ამათ შორის არის უკანასკნელი — რასიული მომენტი. თითქმის ყოველი ხალხი მრავალი სხვადასხვა რასიული ელემენტის ნარევს წარმოადგენს. ამხანაგი სტალინი აღნიშნავს, რომ დღევანდელი იტალიის ერი შექმნილია რომაელებისა, ეტრუსკებისა, ბერძნებისა, არაბებისა და სხვათაგან; საფრანგეთის ერი ჩამოყალიბდა გალების, რომაელების, ბრიტების, გერმანელების და სხვათაგან. იგივე უნდა ითქვას ინგლისელებზე, გერმანელებზე და სხვებზე, რომლებიც ერებად სხვადასხვა რასისა და ტომის ადამიანთაგან ჩამოყალიბდნენ. საბჭოთა ანთროპოლოგების კვლევა-ძიებამ ცხადჰყო, როგორც უეჭველი ფაქტი, რომ ერთი და იგივე რასიული ელემენტები შედის სულ სხვადასხვა ხალხებში, რომლებიც ძალზე შორს დგანან ერთმანეთისაგან ენითა და კულტურით.

უმნიშვნელოვანესი ეთნიკური ნიშანი სწორედ ენაა. იგი

ყველაზე უფრო მკაფიოდ ავლენს ამა თუ იმ ხალხის თავისებურებას, მის სახეს. ენა ის უძლიერესი იარაღია, რომლითაც ესა თუ ის ეთნიკური კოლექტივი ინარჩუნებს თავის სახეს; ენა ის იარაღია, რომელიც საშუალებას აძლევს ხალხს დაიცვას თავი ყოველი ჯურის დამპყრობლებისა და ასიმილატორებისაგან, გადაირჩინოს თავისი ინდივიდუალობა, თავისი სახე. „ისტორია გვიჩვენებს, — აღნიშნავს ამხანაგი სტალინი, — რომ ენა დიდ გამძლეობას იჩენს და კოლოსალურ წინააღმდეგობას უწევს ძალით ასიმილაციას. ზოგიერთი ისტორიკოსი, იმის მაგივრად, რომ ახსნას ეს მოვლენა, გაკვირვებას სჯერდება. მაგრამ გაკვირვებისათვის აქ არავითარი საფუძველი არ არსებობს. ენის გამძლეობა აიხსნება მისი გრამატიკული წყობისა და ძირითადი ლექსიკური ფონდის გამძლეობით. თურქი ასიმილატორები ასეული წლების მანძილზე ცდილობდნენ დაემახინჯებინათ, დაერღვიათ და მოესპოთ ბალკანელი ხალხების ენები. ამ ხნის განმავლობაში ბალკანური ენების ლექსიკურმა შემადგენლობამ სერიოზული ცვლილებანი განიცადა, შეთვისებულ იქნა საკმაოდ ბევრი თურქული სიტყვა და გამოთქმა, იყო „დაახლოებაც“ და „გათიშვაც“, მაგრამ ბალკანურმა ენებმა ამას გაუძლეს და გადარჩნენ. რატომ? იმიტომ, რომ ამ ენების გრამატიკული წყობა და ძირითადი ლექსიკური ფონდი ძირითადად დარჩნენ“ [1].

ამრიგად, ენა უმნიშვნელოვანესი ეთნიკური ნიშანია, რომლის განვითარების გზების სწორად გაგებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ხალხის წარმოშობა-ჩამოყალიბების პროცესის გაგებისათვის. ამიტომაა სწორედ ფასდაუდებელი ხალხთა წარმოშობის, ეთნოგენეზის თეორიისათვის, ამხანაგ სტალინის საენათმეცნიერო ნაშრომები. „ენა, — აღნიშნავს ამხანაგი სტალინი, — ეკუთვნის იმ საზოგადოებრივ მოვლენათა რიცხვს, რომლებიც საზოგადოების არსებობის მთელი ხნის განმავლობაში მოქმედებენ. იგი წარმოიშვება და ვითარდება საზოგადოების წარმოშობასა და განვითარებასთან ერთად. იგი კვდე-

---

[1] ი. სტალინი, მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები, 1950, გვ. 23—24.

გა საზოგადოების სიკვდილთან ერთად. საზოგადოების გარეშე ენა არ არსებობს"[1]. „უნდა ვიფიქროთ, რომ თანამედროვე ენის ელემენტები შეიქმნა ჯერ კიდევ უძველეს დროში, მონობის ეპოქაზე ადრე. ეს იყო არართული ენა, რომელსაც მეტად მცირე ლექსიკური ფონდი გააჩნდა, მაგრამ ჰქონდა თავისი გრამატიკული წყობა, მართალია, პრიმიტიული, მაგრამ მაინც გრამატიკული წყობა" [2]. პირველყოფილ-თემური წყობილების დროს, როდესაც ადამიანთა მცირე ჯგუფები ეწევიან ცალ-ცალკე პატარ-პატარა ერთეულებად ცხოვრებას, გათიშულნი გვარებად და ტომებად, რა თქმა უნდა, ჩვენ საქმე გვაქვს მრავალ ენასთან თუ დიალექტთან. ამხანაგი სტალინი ლაპარაკობს განვითარებაზე „საგვარეულო ენებიდან ტომების ენებამდე, ტომების ენებიდან ხალხების ენებამდე და ხალხების ენებიდან ეროვნულ ენებამდე".[3] ესა თუ ის ეთნიკური წარმონაქმი — გვარი, ტომი, ხალხი თუ ერი ერთიმეორისაგან განსხვავდება პირველ ყოვლისა ენით. ეს, რა თქმა უნდა, სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ მათ ენებს შორის არ შეიძლება იყოს გენეტური ნათესაობა. სხვადასხვა გვარის, ტომის, ხალხის, ერის ენა შეიძლება ერთიმეორის ახლო მონათესავე იყოს, რთი საერთო წყაროდან მოდიოდეს. „არ შეიძლება იმის უარყოფა, — წერს ამხანაგი სტალინი, — რომ უეჭველია ენობრივი ნათესაობა, მაგალითად, ისეთი ერებისა, როგორიც სლავი ერები არიან" [4]. ასევე, რა თქმა უნდა, არ შეიძლება უარყოფა ქართველური ენების (ქართულის, მეგრულ-ჭანურის და სვანურის) ურთიერთმონათესაობისა, ან ამ ქართველური ენების მონათესაობისა მთის კავკასიურ ენებთან. ქართველურ ენებს შორის არსებული სიახლოვე შეუძლებელია მარის თეორიის მსგავსად მივიჩნიოთ ენათა შეჯვარედინების პროცესის შედეგად; უეჭველია, ეს სიახლოვე, ეს ნათესაობა, ერთი ფუძეენის დიფერენციაციისაგან მოდის. უკვე ანტიკური ხანისათვის, ამ 2500 — 2000 წლის წინანდელი ეპოქისათვის, შეიძ-

---

[1]) ი. სტალინი, დასახ. ნაშრ. გვ. 20.
[2]) ი. სტალინი, დასახ. ნაშრ. გვ. 24.
[3]) ი. სტალინი, დასახ. ნაშრ. გვ. 10.
[4]) ი. სტალინი, დასახ. ნაშრ. გვ. 31.

ლება დოკუმენტალური ჩვენება, რომ ასეთი დიფერენციაცია უკვე მომხდარი ფაქტია: ბერძნულ-რომაული ხანის მწერლები ერთი და იმავე ხალხის სახელად ჩვენ ვარიანტების სახით გვაწვდიან „კარდუ“ (ქართუ)-სა და „გორდუ“ (ქორთუ)-ს. ეს ხალხი საკმაოდ სამხრეთით, ვანის ტბის სამხრეთ-დასავლეთით ცხოვრობდა. აქ. როგორც ჩანს, საქმე ეხება აღმოსავლურ-ქართული წარმოშობის ტომს — სახელი „ქართუ“ სწორედ აღმოსავლურ-ქართული წარმოშობის ტომებისათვის დამახასიათებელ სახელწოდებას წარმოადგენს. ანტიკური ხანის მწერლებთან „ქართუ“ — ხალხის სახელი „ქორთუ“-ს ფორმით, უეჭველია, გზას იკვლევს ამ ხალხის მეზობლად მცხოვრები დასავლურ-ქართული, მეგრულ-ჭანური ფენის გავლით. სწორედ ამ უკანასკნელებთან შეიძლება მიეღო „ქართუ“ — სახელს „ქორთუ“-ს ფორმა. „ქართუ“ — „ქორთუ“ სახელები ავლენენ ქართულსა და მეგრულ-ჭანურს შორის არსებულ ფონეტიკურ (ბგერით) შესატყვისობას (საერთო-ქართული წარმოშობის სიტყვებში ქართული „ა“-ს ნაცვლად ჩვენ მეგრულ-ჭანურში „ო“-ბგერა გვაქვს — მაგალითად ქართული „კაცი“-მეგრ. „კოჩი“ და სხვ.). უკვე ასეთ ძველ დროს, ანტიკურ ხანაში, დამოწმებული ეს ფაქტი ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ საერთო ქართული ფუძე-ენის დიფერენციაციის შედეგად ჩამოყალიბებული განსხვავება ქართველური ენების ორ დიდ შტოს — აღმოსავლურ-ქართულსა და დასავლურ-ქართულს (მეგრულ-ჭანურს) შორის ამ დროს უკვე მომხდარი ფაქტია. ამაზე ადრეც, ალბათ, უკვე დიფერენციაცია ქმნილ ქართველურ ენებს, ანდა იმ საერთო ქართულ ფუძე-ენას, რომლიდანაც მომდინარეობენ ქართველური ენები, რა თქმა უნდა, კიდევ დიდი ხნის ისტორია გააჩნდათ. საერთო ფუძე-ენის გათიშვა სხვადასხვა ენებად — ძალზე ხანგრძლივი პროცესია.

ქართულ-ქართველურ ენობრივ სამყაროს, მონათესავე სამყაროსგან გამოთიშვის შედეგად, ძალზე ადრე უნდა მოეპოვებინა თავისი საკუთარი ინდივიდუალობა, რომლითაც იგი გამოირჩეოდა თვით ახლო მონათესავე ენობრივი სამყაროს სხვა წევრებისგანაც. მაგრამ, როგორც ამხანაგი სტალინი გვასწავლის, ენა „წარმოიშვება და ვითარდება საზოგადოების წარმოშობა-

სა და განვითარებასთან ერთად. იგი კვდება საზოგადოების სიკვდილთან ერთად. საზოგადოების გარეშე ენა არ არსებობს". ამიტომაც, ჩვენ თავისი ინდივიდუალობის, „ქართველურობის" სახის მქონე ენასთან ერთად დიდი ისტორიული მონაკვეთის მანძილზე უნდა ვივარაუდოთ ამ ენის მატარებელი ეთნიკური კოლექტივის (ტომების, ხალხის) არსებობაც, რომლის შესახებაც ჩვენ უნდა ვილაპარაკოთ, როგორც დღევანდელი ქართველი ხალხის პირდაპირი, უმთავრესი წინაპრების შესახებ.

ქართველი ტომები ეთნიკურად (ენით, კულტურით, ანთროპოლოგიური ტიპით) მჭიდროდ უკავშირდებიან უძველესი ხანების მესოპოტამიის, მცირე აზიისა და ირანის მოსახლეობას. სუმერების, ხეთების, ხურიტების და ამ ადგილებში მცხოვრები სხვა ხალხებისათვის, რამდენადაც საბვითი ხელოვნების ძეგლებზე მათი გამოსახულებების მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ, ანთროპოლოგიურად სწორედ კავკასიელი ხალხებისათვის ნიშანდობლივი ფიზიკური ტიპია დამახასიათებელი. ამავე დასკვნამდე მივყავართ ამ ტერიტორიაზე უძველეს ხანებში მცხოვრები ადამიანების თავის ქალის შესწავლასაც. მატერიალური და სულიერი კულტურის მხრითაც ქართველი ტომები მჭიდრო კავშირში იმყოფებიან უფრო სამხრეთით უძველეს ხანებში მცხოვრებ ხალხებთან. იგივე ითქმის ენის შესახებაც. ქართველური ენები ჩრდილო-კავკასიურ ენებთან ერთად ბევრ სიახლოვეს ამჟღავნებენ, განსაკუთრებით გრამატიკული წყობის მხრით, ძველი აღმოსავლეთის ისეთ ენებთან, როგორიც არიან სუმერული, პროტოხეთური, ხურიტული, ურარტული, ელამური, თუმცა დღეს იმდენად დაცილებული ჩანან ქართველურ-კავკასიური ენები ამ ძველაღმოსავლურ ენებს, რომ ხშირად ეჭვებს იწვევს მკვლევართა შორის მათ შორის გენეტური ნათესაობის არსებობა. ქართველური და კავკასიური ენების სპეციალისტთა წინაშე დგას დიდი ამოცანა — წარმოაჩინონ ეს ნათესაობა. მაგრამ, უკვე იმ ხანებში, როდესაც ქართველთა მონათესავე ეს ხალხები კავკასიის სამხრეთით მდებარე ტერიტორიაზე ისტორიის ასპარეზზე ჩანან, ქართულ ენობრივ-ეთნიკურ კოლექტივს, ალბათ, უკვე გააჩნდა თავისი

ინდივიდუალობა, რომლითაც იგი გამოირჩეოდა მის მონათესავე ხალხებიდანაც კი. ამ ინდივიდუალობის ჩასახვისა და გაღრმავების საფუძველი ის იყო, რომ ქართველი და ჩრდილო-კავკასიელი ტომების წინაპრები ადრიდანვე მოექცნენ ხალხთა ამ მონათესავე ჯგუფით დაკავებული ტერიტორიის პერიფერიაზე, ამიერ და იმიერ-კავკასიაში. აქ, ამიერ-კავკასიაში, დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე და მის ახლო მეზობელ ადგილებში ცხოვრობდნენ ძალზე ადრეული ხანებიდან ქართველი ტომების პირდაპირი წინაპრები, რომლებიც უკვე ატარებდნენ თავისი საკუთარი ინდივიდუალობის, „ქართველურობის" მქონე ენას, რომლითაც ისინი ძველი აღმოსავლეთის მონათესავე ტომებისგანაც კი გამოირჩეოდნენ (თუმცა, იმ დროს ალბათ ჯერ კიდევ მხოლოდ მცირეოდენად).

მაგრამ, რა თქმა უნდა, შეცდომა იქნებოდა თუ ვიფიქრებთ, რომ თითქოს განვითარებას ჰქონდა სწორხაზოვანი მიმართულება, რომ მონათესავე სამყაროსაგან გამოთიშვისა და საკუთარი ენობრივ-ეთნიკური ინდივიდუალობის ჩამოყალიბების შემდეგ ქართული ენა და ეთნოსი ვითარდებოდა წმინდა სახით, ისტორიის მთელ მანძილზე ინარჩუნებდა ერთ სახეს, ანდა, თუ ხდებოდა ცვლილება, იგი მხოლოდ დიფერენციაციაში მდგომარეობდა. „ენა... პროდუქტია მთელი რიგი ეპოქებისა, რომელთა მანძილზე იგი ყალიბდება, მდიდრდება, ვითარდება, იხვეწება" [1]. ენაც მუდმივ ცვალებადობაშია, ენის განვითარებაშიც ადგილი აქვს ერთი თვისობრიობიდან მეორე თვისობრიობაში გადასვლას, მაგრამ „ენის გადასვლა ძველი თვისობრიობიდან ახალში ხდება არა აფეთქების გზით, არა არსებული ენის მოსპობისა და ახლის შექმნის გზით, არამედ ახალი თვისობრიობის ელემენტების თანდათანობითი დაგროვების გზით, მაშასადამე, ძველი თვისობრიობის ელემენტების თანდათანობითი კვდომის გზით[2]. მას შემდეგ, რაც უძველეს ხანაში ჩაისახა ენა თავისი პრიმიტიული გრამატიკული წყობითა და ღარიბი ლექსიკური მარაგით,

---

[1]) ი. სტალინი, დასახ. ნაშრ. გვ. 7.

[2]) ი. სტალინი, დასახ. ნაშრ. გვ. 26.

„წარმოების შემდგომმა განვითარებამ, კლასების წარმოშობამ, დამწერლობის წარმოშობამ, სახელმწიფოს ჩასახვამ, რომელსაც მართვისათვის ესაჭიროებოდა ცოტად თუ ბევრად მოწესრიგებული მიწერ-მოწერა, ვაჭრობის განვითარებამ, რომელსაც კიდევ უფრო ესაჭიროებოდა მოწესრიგებული მიწერ-მოწერა, საბეჭდავი დაზგის გაჩენამ, ლიტერატურის განვითარებამ — ყოველივე ამან დიდი ცვლილებანი შეიტანა ენის განვითარებაში. ამ ხნის განმავლობაში ტომები და ეროვნებანი ქუცმაცდებოდნენ და ითიშებოდნენ, ხდებოდა მათი ერთმანეთში შერევა და შეჯვარედინება, შემდეგ კი გაჩნდნენ ეროვნული ენები და სახელმწიფოები, მოხდა რევოლუციური გადატრიალებანი, ძველი საზოგადოებრივი წყობილებანი ახლებით შეიცვალა. ყოველივე ამან უფრო მეტი ცვლილებანი შეიტანა ენასა და მის განვითარებაში“. ამრიგად, როგორც ამხანაგი სტალინი გვასწავლის, ენას ბევრი რამ ცვლის: მას ცვლის ამა თუ იმ ხალხის წარმოებასა თუ შინა-სოციალურ ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებანი — სოციალური წყობილების შეცვლა, წარმოების, კულტურის, მეცნიერების განვითარება და სხვ. ამის გვერდით ისეთ ფაქტორებად, რომლებიც მოქმედებენ ენის განვითარებაზე, ენაში ცვლილებათა მოხდენაზე, ამხანაგი სტალინი ასახელებს ტომებისა და ხალხების (ეროვნებების) დაქუცმაცებასა და გათიშვას, შერევასა და შეჯვარედინებას. ამა თუ იმ ეთნიკური კოლექტივის (ტომის, ხალხის) დანაწევრების მნიშვნელობა ენის განვითარების პროცესში მრავალგზის ხაზგასმული აქვს უკვე ფრ. ენგელსს (კერძოდ, თავის კლასიკურ ნაშრომში „ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა“), რომელსაც ამერიკელ ინდიელთა ტომების მაგალითზე ნაჩვენები აქვს, თუ როგორ იწვევს ამა თუ იმ ეთნიკური კოლექტივის დანაწევრება — გათიშვა ამ კოლექტივის ცალკეულ ნაწილებს შორის ენობრივი და ეთნიკური განსხვავებების ჩასახვასა და გაღრმავებას. ასეთი დანაწევრება — გათიშვა შეიძლება მოხდეს ამ ეთნიკური კოლექტივის ერთი ნაწილის სხვა, შორეულ თუ მახლობელ ადგილას გადასახლე-

---

[1]) ი. სტალინი, დასახ. ნაშრ., გვ. 24 — 25.

ბით. ამიტომაა, რომ ასეთ გადასახლებებს, „მიგრაციებს“, რომელთა უარყოფაც, როგორც ამას მარისტები სჩადიოდნენ, ყოვლად შეუძლებელია, დიდი როლი ეკუთვნის ენობრივ-ეთნიკურ განსხვავებათა ჩასახვა-განვითარებაში. ტომებისა და ხალხების დანაწილებისა და გათიშვის მნიშვნელობას ენის განვითარების პროცესში, როგორც ზემოთ დავინახეთ, ხაზს უსვამს ამხანაგი სტალინიც. ენებს შორის განსხვავებათა წარმოქმნა გაღრმავების საფუძვლად შეიძლება იქცეს არა მარტო გადასახლებანი და ამ გზით ერთი ეთნიკური კოლექტივის სხვადასხვა წეკრების იზოლირება ურთიერთისაგან, არამედ აგრეთვე მათი იზოლაცია ერთმანეთისაგან ამ ეთნიკური მასის სახელმწიფოებრივი, პოლიტიკური დაშლა-დაქუცმაცების შედეგად. „ზოგიერთი ადგილობრივი დიალექტი,—წერს ამხანაგი სტალინი,—ერების შექმნის პროცესში შეიძლება საფუძვლად დაედოს ეროვნულ ენას და განვითარდეს დამოუკიდებელ ეროვნულ ენად... ხდება პირიქითი პროცესებიც, როცა იმ ეროვნების ერთიანი ენა, რომელიც ჯერ კიდევ ერი არ გამხდარა განვითარების აუცილებელი ეკონომიური პირობების უქონლობის გამო, კრახს განიცდის ამ ეროვნების სახელმწიფოებრივი დაშლის შედეგად, ხოლო ადგილობრივი დიალექტები, რომლებიც ჯერ კიდევ არ შედუღებულან ერთ ენად, — ცოცხლდებიან და დასაბამს აძლევენ ცალკე დამოუკიდებელი ენების შექმნას“. [1]

მაგრამ, იმ ფაქტორებს შორის, რომლებიც ენაში ცვლილებებს იწვევენ, ტომებისა და ხალხების დანაწევრებისა და გაყოფის გვერდით ამხანაგი სტალინი ასახელებს შერევასა და შეჯვარედინებას. რა თქმა უნდა, ისეთი ენებისა და დიალექტების მქონე ეთნიკური კოლექტივების შეჯვარედინებისას, რომელთაც გააჩნიათ თავ-თავისი, ერთი-მეორისაგან განსხვავებული გრამატიკული წყობა და ძირითადი ლექსიკური ფონდი, მოქმედებს შეჯვარედინების ის კანონი, რომლის მიხედვითაც, როგორც ამხანაგი სტალინი აღნიშნავს, შეჯვარედინება რომელიმე ახალ, განსხვავებულ ენას კი არ გვაძლევს, არა-

---

[1]) ი. სტალინი, დასახ. ნაშრ. გვ. 41 — 42.

მედ ასეთ დროს ჩვეულებრივ იმარჯვებს ერთი, რომელიც ინარჩუნებს თავის გრამატიკულ წყობას, ინახავს თავის ძირითად ლექსიკურ ფონდს და განაგრძობს განვითარებას თავისი განვითარების შინაგანი კანონების მიხედვით, მეორე ენა კი თანდათანობით კვდება[1]. მაგრამ ეს მოვლენა გამარჯვებული ენისათვისაც სრულიად უკვალოდ როდი ჩაივლის: „ამ დროს, — აღნიშნავს ამხანაგი სტალინი, — ხდება გამარჯვებული ენის ლექსიკური შემადგენლობის ერთგვარი გამდიდრება დამარცხებული ენის ხარჯზე, მაგრამ ეს კი არ ასუსტებს, არამედ, პირიქით, აძლიერებს მას"[2]. მაგალითის სახით ამხანაგი სტალინი ასახელებს რუსულ ენას, „რომელსაც ისტორიული განვითარების პროცესში უჯვარედინდებოდნენ მთელი რიგი სხვა ხალხების ენები და რომელიც მუდამ გამარჯვებული გამოდიოდა"[3]. ქართული ენის, როგორც საკუთარი ინდივიდუალობის მქონე ენის (ჯერ საერთო ქართული ფუძე-ენის, მერე მისგან განტოტებული სხვადასხვა ქართველური ენების) მრავალ ათასწლიან ისტორიის მანძილზე ასეთივე შეხება-შეჯვარედინება ქართულ ენას და მის მატარებელ ეთნიკურ კოლექტივს ბევრ სხვადასხვა ეთნიკურ კოლექტივსა და მის ენასთან მოუხდა, მაგრამ ქართულმა ენამ მოახერხა თავისი თავის დაცვა და გამარჯვებული გამოვიდა. რა თქმა უნდა, ასეთი შეხება-შეჯვარედინების შედეგად თვით ქართულმა ენამაც არა ერთი ცვლილება განიცადა, რაც განსაკუთრებით მის ლექსიკას დაეტყო.

ეთნოგენეზის (ხალხთა წარმოშობის) საბჭოურმა თეორიამ, რომელმაც თავისი კვლევა-ძიება ამხანაგ სტალინის სახელმძღვანელო დებულებებზე უნდა ააგოს, უნდა ეძიოს ისტორიის სიღრმეში (სადამდეც კი ეს მეცნიერების ხელთ არსებული მასალით შესაძლებელი იქნება) ის ელემენტები, კერძოდ ის ძირითადი ენობრივ-ეთნიკური ელემენტი, რომლიდანაც მოდის ესა თუ ის დღევანდელი ეთნიკური კოლექტივი. მაგრამ ამავე თეორიამ უნდა შეისწავლოს მთელი ის რთული პრო-

---

[1]) ი. სტალინი, დასახ. ნაშრ. გვ. 27.

[2]) ი. სტალინი, დასახ. ნაშრ. გვ. 27 — 28

[3]) ი. სტალინი, დასახ. ნაშრ. გვ. 28.

ცესი, რომელიც შორეული წარსულიდან გამოუვლია ამ ენობრივ — ეთნიკური კოლექტივის ბირთვს და ენობრივ-ეთნიკური ხასიათის ის ცვლილებები, რომელიც მას ამ დროის მანძილზე განუცდია.

ენა უმნიშვნელოვანესი, მაგრამ არა ერთადერთი ეთნიკური ნიშანია. ამა თუ იმ ხალხის სახის განმსაზღვრელად ენის გვერდით ჩვენ გვევლინება აგრეთვე კულტურა. კულტურა ის ელემენტია, რომელიც ბევრად უფრო ადვილად იცვლება, ვიდრე ენა. ამიტომაც იგი ხალხის ეთნიკურ სახეს უფრო ნაკლებ წარმოაჩენს, ვიდრე ენა. კულტურას ადვილად ცვლის არა მარტო ხალხის შინაური ცხოვრების მოვლენები, არამედ აგრეთვე უცხო ეთნიკურ-კულტურულ სამყაროსთან შეხება. როგორც ვთქვით, ორი ენის შეჯვარედინებისას ერთი ჩვეულებრივ იმარჯვებს და მეორე მარცხდება, ამასთანავე იმარჯვებს ჩვეულებრივ პოლიტიკურად უფრო ძლიერი ეთნიკური კოლექტივის ენა, რომელიც შთანთქავს მეორეს, რომელიც საბოლოო ჯამში უფრო სუსტი აღმოჩნდება. ეს კანონი მოქმედებს, როგორც ამხანაგი სტალინი ამბობს, მსოფლიო მასშტაბით სოციალიზმის გამარჯვების წინარე ეპოქაში. კულტურის მხრით კი ჩვენ ცოტა სხვაგვარ მდგომარეობას ვხედავთ— აქ, შესაძლებელია, მეზობელ ეთნიკურ ერთეულებს შორის მჭიდრო ურთიერთობამ მათი კულტურის გარკვეული ნიველირება გამოიწვიოს. თუ ასეთი ურთიერთობა კულტურის დონის მხრით განსხვავებულ ერთეულებს შორის ხდება, მაშინ იგი ჩვეულებრივ კულტურულ გავლენასა და სესხებაში ჰპოვებს გამოხატულებას (თუმცა სესხებასაც, როგორც ცნობილია, მხოლოდ მაშინ შეიძლება ექნეს ადგილი, თუ ის, ვინც სესხულობს, მომზადებულია უცხო კულტურის შესათვისებლად). ცნობილია ისტორიაში არა ერთი შემთხვევა, როდესაც პოლიტიკურად გამარჯვებული კოლექტივი კულტურის სფეროში დაქვემდებარებია უფრო მაღალი კულტურის მქონე დაპყრობილთ. თავისი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე ამა თუ იმ ხალხს ჩვეულებრივ ასიმილირებული ჰყავს ბევრი სხვადასხვა მონათესავე თუ არამონათესავე ტომი ან მისი გარკვეული ნაწილი. ასეთი მოვლენა, როგორც აღვნიშნეთ, მთლად უკვალოდ არ

იკარგება გამარჯვებული კოლექტივის ენისათვისაც, მით უმეტეს მისი კულტურისათვის — ხშირად გამარჯვებული კოლექტივი ხდება მის მიერ ასიმილირებული უცხო ნაკადის კულტურის მემკვიდრე, განსაკუთრებით მაშინ, თუ ეს უკანასკნელი მაღალი კულტურის მატარებელი იყო. ამიტომაც ამა თუ იმ ხალხის წინაპრებად ჩვენ შეგვიძლია მივიჩნიოთ ის ელემენტებიც, რომლებიც ისტორიის მანძილზე შეერწყნენ რა ხალხის ძირითად ელემენტს, გაითქვიფნენ მასში, დაჰკარგეს საკუთარი ენა და ტომობრიობის სხვა ნიშნები, მაგრამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ამ ხალხის კულტურაში. ქართველი ხალხის მიმართ, კერძოდ, შეიძლება ვამტკიცოთ, რომ მან თავისში მიიღო ამიერ-კავკასიის სამხრეთით მცხოვრები, ეთნიკურად მისი მონათესავე ხეთური, ხურიტული (სუბარული) და ურარტელი ტომების მნიშვნელოვანი ნაკადი და ამ გზითაც მემკვიდრე შეიქნა ხეთური და ხური-ურარტული კულტურისა.

* *
*

ქვემოთ ჩვენ გვინდა შეეეხოთ ძველი აღმოსავლეთის ერთი იმ გამოჩენილი ხალხის, ურარტელი ხალხის, ისტორიას, რომლის მნიშვნელოვანი ნაკადიც სწორედ ქართველი ხალხის შემადგენლობაში უნდა მოხვედრილიყო და რომლის შესახებაც ჩვენ, მაშასადამე, უფლება გვაქვს ვილაპარაკოთ, როგორც ქართველი ხალხის ერთ-ერთ წინაპრის შესახებ. ურარტელი ხალხისა და მისი სახელმწიფოს — ურარტუს ისტორიის შესწავლას უდიდესი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ქართველი ხალხის ჩამოყალიბებისა და ქართული სახელმწიფოებრიობის წარმოქმნის პროცესის გასაგებად და ამ მხრივაც იგი ჩვენს ყურადღებას იმსახურებს.

* *
*

დაახლოებით 2800 — 2500 წლის წინათ (IX — VI საუკუნეებში ჩ. წ-მდე) იმ ტერიტორიაზე, რომელიც სამხრეთიდან უშუალოდ ეკვრის ამიერ-კავკასიას, იმყოფებოდა იმ დროის ერთ-ერთი უძლიერესი სახელმწიფო — ურარტუ. ამ სახელმ-

წიფოს დედაქალაქი ტუშფა მდებარეობდა ვანის ტბის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე, დღევანდელ ქალაქ ვანის ადგილას.

ურარტუს სამეფო თავისი ძლიერების ხანაში მეტად ვრცელ ტერიტორიას მოიცავდა. სამხრეთ-აღმოსავლეთით მის ფარგლებში შედიოდა ურმიის ტბის რაიონი, სამხრეთ-დასავლეთით მისი ტერიტორია კაშიარის მთას (დღევანდელ ტურ-აბდინს) აღწევდა, დასავლეთით ჩრდილოეთი სირიისა და მდ. ევფრატის რაიონამდე განივრცობოდა, ჩრდილოეთით კი მის ფარგლებში შედიოდა სამხრეთ ამიერ-კავკასიის მნიშვნელოვანი ნაწილი. დღეს ეს ტერიტორია სამი სახელმწიფოს — საბჭოთა კავშირის, ირანისა და თურქეთის — ფარგლებშია მოქცეული.

ურარტუს უძველესი სახელმწიფოს ისტორიის, კულტურის და ურარტელი ხალხის ენის შესწავლას ჩვენში, საბჭოთა კავშირში, დიდი ყურადღება ექცევა; ეს გასაგებიცაა, თუ გავიხსენებთ, რომ ურარტუ — უძველესი სახელმწიფო იყო საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე და, ამრიგად, მისი ისტორიაც საბჭოთა კავშირის ხალხთა ისტორიის ნაწილს წარმოადგენს (იგი დღეს სწორედ ასეთად განიხილება და ისწავლება). ურარტუს სახელმწიფოს შესწავლას განსაკუთრებით დიდი ყურადღება ექცევა ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებში. ეს გარემოება გასაგებია — თავის დროზე ამ ძლევამოსილი სახელმწიფოს ფარგლებში იყო მოქცეული ამიერ-კავკასიის, კერძოდ საქართველოსა და სომხეთის მთელი რიგი რაიონები და, ამრიგად, ურარტუსა და მისი მეზობლების ისტორია წარმოადგენს ამ ქვეყნების ისტორიის ერთ-ერთ უძველეს ეტაპს.

ჩვენში, საქართველოში, ურარტუსა და მისი იმდროინდელი მეზობელი ხალხებისადმი ინტერესს სხვა საფუძველიც აქვს. როგორც ირკვევა, ამ უკანასკნელთა სახით ჩვენ ქართველთა მონათესავე ხალხებთან გვაქვს საქმე. ამას ემატება კიდევ სხვა გარემოება: როგორც ცნობილია, ქართველი ერი შედგება სამი მონათესავე ტომისაგან: ქართველისა, მეგრელ-ჭანებისა (ლაზებისა) და სვანებისაგან. მაგრამ უეჭველია, რომ დროთა

ვითარებაში ქართველი ხალხის შემადგენლობაში შევიდა კიდევ ქართველური თუ არაქართველური მოდგმის არა ერთი სხვა ტომი (მთლიანად ან ნაწილობრივ), რომელთაც ასიმილაცია განიცადეს ამა თუ იმ ქართველ ტომთან. ირკვევა, რომ ქართველი ხალხის შემადგენლობაში უნდა შესულიყო ურარტუს დიდი სახელმწიფოს შემქმნელი ხალხის — ურარტელების მნიშვნელოვანი ნაკადიც, ისევე, როგორც ურარტელთა მეზობელი ზოგი სხვა ტომი. ამიტომაც ჩვენ უფლება გვაქვს ვილაპარაკოთ ურარტელებისა და მათი მეზობელი ტომების შესახებ, როგორც ქართველი ხალხის წინაპრების შესახებ. ამ ხალხთა ისტორიის ცოდნა ქართველი ხალხის ზოგიერთი წინაპრის ისტორიის ცოდნასაც ნიშნავს და ამდენად იგი ჩვენთვის საინტერესოა.

* * *

ურარტული ენა, ურარტუს ისტორია და კულტურა საუკუნეზე მეტია, რაც მეცნიერული შესწავლის საგანს წარმოადგენს. ძველი ურარტუს ტერიტორიაზე ნაპოვნია რამდენიმე ასეული ურარტული წარწერა, სადაც ლაპარაკია ურარტელების მიერ წარმოებული საომარი ექსპედიციების, მშენებლობის, საირიგაციო სამუშაოებისა და სხვათა შესახებ. ეს წარწერები ურარტუს ისტორიის შესწავლის ერთ-ერთ უმთავრეს წყაროს წარმოადგენს. ურარტუს ისტორიისათვის დიდი მნიშვნელობისაა, აგრეთვე, ურარტუს სამხრეთით მდებარე ქვეყნის, ასურეთის მეფეთა წარწერებში დაცული ცნობები.

ურარტუს ისტორიისა და ურარტუს კულტურის შესწავლისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს არქეოლოგიური გათხრებით მოპოვებულ მასალებსაც. სამწუხაროდ, ასეთი გათხრები ჯერ კიდევ არ არის საკმაო მასშტაბით ჩატარებული. არქეოლოგიურად შედარებით უკეთაა შესწავლილი ურარტუს ჩრდილოეთი რაიონები, რომლებიც დღეს საბჭოთა კავშირის ფარგლებში შემოდის. უკვე ათი წელია, რაც დიდი არქეოლოგიური გათხრები წარმოებს ამიერ-კავკასიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ურარტული ცენტრის ადგილას, რომელიც ქალაქ ერევნის მახლობლად, კარმირ-ბლურის გორაკის მიდა-

შოებში მდებარეობდა. ამ გათხრებმა, რომელიც პროფესორ ბ. პიოტროვსკის ხელმძღვანელობით მიმდინარეობს, ძალიან დიდი მასალა მოგვცა ურარტუს ისტორიისა და კულტურის შესწავლისათვის. საერთოდ, პროფ. ბ. პიოტროვსკის მნიშვნელოვანი სამუშაო აქვს ჩატარებული ურარტუს ისტორიისა და, განსაკუთრებით, ურარტული კულტურის შესწავლის საქმეში. მისმა ნაშრომმა — „ურარტუს ისტორია და კულტურა“ [1], რომელიც 1944 წელს გამოიცა, სტალინური პრემია დაიმსახურა.

ურარტული ენისა და ისტორიის შესწავლის საქმეში საერთოდ დიდი ღვაწლი მიუძღვით საბჭოთა მეცნიერებს. ამ მხრივ ბევრი რამ გაკეთდა და კეთდება ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებშიც. ურარტუსა და მისი მეზობელი ხალხების ისტორიის საკითხებს მიეძღვნა განსვენებულ აკადემიკოს ს. ჯანაშიას რამდენიმე ნაშრომი. პროფ. გ. წერეთელმა 1939 წელს გამოაქვეყნა საქართველოს მუზეუმში დაცული ურარტული ძეგლების მთელი კოლექცია. სომხეთში ურარტული ენისა და ისტორიის შესწავლის დარგში ნაყოფიერი მუშაობა აქვს ჩატარებული პროფ. გრ. ღაფანციანს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ძველი აღმოსავლეთის ამ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სახელმწიფოს ისტორიის, ენისა და კულტურის შესწავლის საქმეში საბჭოთა მეცნიერებს მსოფლიოში პირველი ადგილი უკავიათ.

ამ ნარკვევის მიზანია მკითხველს მიაწოდოს მოკლე ისტორიული ნარკვევი ურარტუს სახელმწიფოსა და მისი იმდროინდელი მეზობლების შესახებ. ჩვეულებრივ, ურარტუსადმი მიძღვნილ ნარკვევებში კმაყოფილდებიან მხოლოდ და მხოლოდ საკუთრივ ურარტუსთან დაკავშირებული ამბების გადმოცემით. ჩვენ გვინდა ურარტუს ისტორია უფრო ფართოდ წარმოვადგინოთ. ურარტუს გარშემო ბევრი მნიშვნელოვანი პოლიტიკური თუ ეთნიკური გაერთიანება იმყოფებოდა; მათ შორის პირველ რიგში აღსანიშნავია ურმიის ტბის რაიონში მდებარე მანა და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტო-

---

Б. Б. Пиотровский, История и культура Урарту, 1944.

რიაზე მყოფი დიაუხი. იყო დრო, როდესაც ზოგი მათგანი უფრო ძლიერ ერთეულს წარმოადგენდა, ვიდრე თვით ურარტუ. ამიტომაც მართებული იქნება, თუ ურარტუსთან ერთად ჯეროვან ყურადღებას მივაქცევთ მისი ამ ძლიერი მეზობლების ისტორიასაც, თუ ჩვენი ყურადღების სფეროში მოვაქცევთ მთელ იმ ვრცელ ტერიტორიას, რომელიც უშუალოდ სამხრეთიდან ეკვრის ამიერ-კავკასიას. ამ ტერიტორიას ასურელები ძველთაგანვე, უკვე II ათასწლეულიდან ჩ. წ-მდე, „ნაირის" მხარეს, „ნაირის ქვეყნებს" ეძახდნენ. „ნაირი" მათთვის ვანისა და ურმიის ტბათა გარშემო მდებარე ვრცელი ტერიტორიის ზოგადი სახელი იყო, იგი მოიცავდა ურარტუსაც და მის მეზობლად მდებარე ბევრ სხვა ერთეულსაც. შემდეგში, როდესაც ამ ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა ძლიერი ურარტუს სამეფო, „ნაირის" სახელი ასურეთში ხმარებიდან თანდათან გამოვიდა და მას ასეთივე ზოგადი მნიშვნელობით „ურარტუს" სახელი შეენაცვლა. ამიტომ ჩვენ შეგვიძლია ამ ვრცელ ტერიტორიას ნაირი-ურარტუს მხარე ვუწოდოთ, რითაც ხაზი უნდა გავუსვათ იმას, რომ ურარტუსთან ერთად (რომელიც ასურელებისათვის „ნაირის" ერთი ქვეყანა იყო) ჩვენ მისი მეზობელი ერთეულებიც, „ნაირის" სხვა ქვეყნებიც გვაინტერესებს.

1. ნაირი-URARტუს ხალხები URARტუს სამეფოს წარმოქმნამდე

1. ხურიტების ძლიერების ხანა

კაცობრიობის ისტორიის იმ უძველეს ხანას, როდესაც ჩამოყალიბდა პირველი კლასობრივი საზოგადოებები, პირველი სახელმწიფოები, „ძველაღმოსავლურ ხანას“ უწოდებენ. ამ ეპოქაში ყველაზე მეტად დაწინაურებულ კულტურულ ცხოვრებას ჩვენ აღმოსავლეთის ქვეყნებში — მესოპოტამიაში (მდ. ტიგროსსა და ევფრატს შორის მდებარე ტერიტორიაზე), ეგვიპტეში, მცირე აზიაში, სირია-პალესტინაში, ირანში, ინდოეთში და ჩინეთში ვხვდებით.

ძველი აღმოსავლეთის ამ ქვეყნებში ჩვენ მრავალი სხვადასხვა მოდგმის ხალხებს ვხვდებით. მათ შორის მთელი რიგი ძველაღმოსავლური სახელმწიფოების შემქმნელი ხალხი ენითა და ფიზიკური აღნაგობით ახლო იდგა დღევანდელ ქართულ-კავკასიურ ტომებთან. ამ ტომებთან მონათესავე ხალხებს ძველ აღმოსავლეთში ზოგი მეცნიერი „აზიანელებს“ უწოდებს, ზოგიც „სუბარელებს“. განსვენებული აკად. ს. ჯანაშია კი, მათ ხეთურ-იბერული მოდგმის ხალხებს უწოდებდა. ამ მოდგმის ხალხთა წყებას ეკუთვნიან, სხვათა შორის, ხურიტები (ანუ „სუბარელები“) და მათი ახლო მონათესავე URARტელები. ნაირი-URARტუს მხარე უკვე ძალზე ადრეული ხანიდან იყო დასახლებული ამ ხური-URARტელი ტომებით. II ათასწლეულში ჩ. წ-მდე ვანის ტბის რაიონი და ჩრდილოეთი მესოპოტამია იყო URARტელებთან ახლო მონათესავე ხურის ხალხების (ხურიტების) პოლიტიკური ცხოვრების უმთავრესი კერა. აქ ჩამოყალიბდა ხურის ხალხების უმნიშვნელოვანესი სახელმწიფოები — მითანისა და ხურის სამეფოები.

მითანის სამეფო II ათასწლეულის კარგა დიდ მანძილზე იმდროინდელ მსოფლიოში ერთ-ერთ უძლიერეს სახელმწიფოს წარმოადგენდა. მისი მეფე, ეგვიპტის, ხეთებისა და ბაბილონის მეფეებთან ერთად, „დიდ მეფედ" ითვლებოდა, რომელსაც იმ დროს არსებული მკაცრი საერთაშორისო ეთიკეტის მიხედვით უფლება ჰქონდა ეგვიპტის ფარაონისთვის, ხეთებისა და ბაბილონის მეფეებისთვის „ძმა" ეწოდებინა, ე. ი. მათ ტოლ მეფედ მიეჩნია თავი.

მითანის სამეფოს რამდენიმე საუკუნის მანძილზე დამორჩილებული ჰყავდა ასურეთი და ჩრდილოეთი სირია. მაგრამ II ათასწლეულის შუახანებში ჯერ გაძლიერებული ეგვიპტისა და შემდეგ ხეთების სამეფოს დარტყმებით ხურის ხალხების ეს უდიდესი გაერთიანება დასუსტდა, მან დაჰკარგა უცხო სამფლობელოები და თვითონაც შინაური არეულობის ასპარეზად იქცა. მითანის სამეფოს გამოეყო ერთი ნაწილი, რომელიც ცალკე სამეფოდ — „ხურის სამეფოდ" — ჩამოყალიბდა. ეს უკანასკნელი ვანის ტბის რაიონში უნდა ყოფილიყო, ე. ი. იმ ადგილებში, სადაც შემდეგში ურარტუს სახელმწიფო შეიქმნა. ამასობაში ასურეთმა, რომელიც რამდენიმე საუკუნის მანძილზე მითანის მორჩილებაში იმყოფებოდა, მოახერხა განთავისუფლება და თვითონ დაიწყო მითანისა და ხურის ხალხების სხვა გაერთიანებებზე შეტევა. მითანის ოდესღაც ძლევამოსილი სამეფოს ნაშთები საბოლოოდ განადგურებულ იქნა ასურეთის მეფის სალმანასარ I-ის (1310—1280) მიერ. ამის შემდეგ ასურეთის ჩრდილოეთით, ნაირი-ურარტუს მხარეში მცხოვრები ხურიტული მოდგმის ტომები პოლიტიკურად მცირე ერთეულებად დანაწილდნენ და საუკუნეთა განმავლობაში თავისი სამხრეთის ძლიერი მეზობლის, ასურეთის, არა ერთგზის სასტიკ თავდასხმას განიცდიდნენ.

2. URARTELI TOMEBI II ATASWLEULIS DASASRULSA DA I ATASWLEULIS DASAWYISSI CH. W-MDE

ხურის ხალხებთან, რომლებიც ასეთ აქტიურ როლს თამაშობდნენ ახლო აღმოსავლეთის ისტორიაში II ათასწლეულში ჩ. წ-მდე, ახლო მონათესავეა ურარტუს ხალხიც. უკანასკნელი

ხანის კვლევა-ძიებით ირკვევა, რომ ურარტული ენა ხურიტული ენის დიალექტს წარმოადგენს. მონათესავე ხურის ხალხთან ერთად ურარტელი ტომები ადრიდანვე ვან-ურმიის ტბათა რაიონში ცხოვრობდნენ და მითანისა და ხურის სამეფოთა არსებობის ხანაში, ალბათ, შედიოდნენ კიდეც ხურიტების ამ მსხვილ პოლიტიკურ გაერთიანებებში.

ურარტუს სამეფოს არსებობის ხანაში (IX—VI სს. ჩ. წ-მდე) ურარტუს ცენტრი ვანის ტბის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე მდებარეობდა. აქ, დღევანდელ ქალაქ ვანის ადგილას, იყო ურარტუს დედაქალაქი ტუშფა. უფრო ძველად, II ათასწლეულში ჩ. წ-მდე, დიდი ხურიტული გაერთიანებების (მითანისა და ხურის სამეფოების) არსებობის ხანაში კი, ურარტელი ტომების პოლიტიკური და რელიგიურ-კულტურული ცხოვრების ცენტრი უფრო სამხრეთით იმყოფებოდა. ურარტელი ტომების პოლიტიკური თუ რელიგიურ-კულტურული ცხოვრების უძველესი ფაქტები სწორედ ვანის ტბის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორიას უკავშირდება.

II ათასწლეულის დასასრულს ჩ. წ-მდე ხურიტების დიდი სახელმწიფოები ძალზე დასუსტდნენ და იწყეს დაშლა. ვანის ტბის სამხრეთ-აღმოსავლეთით მცხოვრებმა ურარტელმა ტომებმა, რომლებიც აქამდე ხურიტების დიდ გაერთიანებათა შემადგენლობაში შედიოდნენ, ამ დროს შექმნეს ცალკე გაერთიანება. ეს იყო ურარტელი ტომების პირველი მსხვილი გაერთიანება იმ გაერთიანებათა შორის, რომელსაც ჩვენ ვიცნობთ. გაერთიანებას სათავეში ედგა ერთ-ერთი ურარტელი ტომი — ურარტუ (ადრინდელ ასურულ წყაროებში ეს სახელი „ურუატრი“-ს ფორმით იხმარება). პირველი დიდი შეტაკებები ასურელებს ურარტელ ტომებთან სწორედ ამ გაერთიანების არსებობის დროს მოუხდათ, რის გამოც მათთან სახელი „ურარტუ“ შემდეგში ამ მოდგმის ყველა ტომის საერთო სახელწოდებად იქცა: როდესაც ეს გაერთიანება დაიშალა და დიდი ხნის შემდეგ, IX საუკუნეში, კვლავ შეიქმნა ურარტელი ტომების ახალი დიდი გაერთიანება უკვე სხვა ტომის (ბიაინის) მეთაურობით, ასურელები ამ გაერთიანებასაც ურარტუს უწოდებდნენ.

მაგრამ დიდი ხურიტული სახელმწიფოების დასუსტების ჟამს ჩამოყალიბებული ურარტელი ტომების ეს გაერთიანება მალე დაიშალა. ასურეთის მეფემ სალმანასარ I (1310—1280), რომელსაც მიეწერება მითანის სამეფოს ნაშთების სრული განადგურება, დალაშქრა ამ გაერთიანების ტერიტორიაც, მაგრამ მას აქ ერთი მთლიანი ერთეული აღარ დაუხვდა. თავის წარწერებში იგი ურუატრის 8 სხვადასხვა „ქვეყნის", ე. ი. დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეულის შესახებ ლაპარაკობს: — „ჩემი მღვდელმთავრობის (ე. ი. მეფობის) დასაწყისში, — ამბობს სალმანასარი, — ურუატრის ქვეყანა ამიჯანყდა მე; ღვთაება ასურისა და დიად ღმერთებისაკენ გავიწოდე ხელი ლოცვა-ვედრებით, შევკრიბე ჩემი ლაშქარი და გავემართე მათი მაღალი მთებისკენ. ხიმეს, უადქუნის, ნაშგუნის, საღუას, ხალილას, ღუხას, ნილიფახრის, ზინგუნის ქვეყნები — 8 ქვეყანა მათი ლაშქრიანად — მე დავიპყარი. მათი 51 ქალაქი ხელთ ვიგდე, ცეცხლს მივეცი და დავეუფლე მათ ქონებას. ურუატრის მთელი ქვეყანა სამ დღეში მორჩილებით დავამხე ღვთაება ასურის, ჩემი მეუფის, ფერხთა წინაშე. მათი ახალგაზრდა კაცები მე ავიყვანე ჩემი სამსახურისათვის და ვასწავლე მე მათ ჩემი შიში. მძიმე ხარკი მთიან ქვეყანას სამარადისოდ დავადე მე".

სალმანასარ I-ის ეს „ურუატრი", რომელიც სამ დღეში „მთლიანად" დაულაშქრავს ასურეთის მეფეს, ვანის ტბის სამხრეთ-აღმოსავლეთით, მდ. ზედა ზაბის შუა, ან ზემო დინების რაიონში უნდა ყოფილიყო.

შემდეგში ურუატრის ქვეყანაზე ლაშქრობდნენ ასურეთის კიდევ სხვა მეფეები. ასურეთის მეფეს ასურ-ბელ-კალას (1077—1067) თავისი მეფობის დასაწყისშივე დაულაშქრავს ურუატრი. ამასთან დაკავშირებით იგი იხსენიებს, სხვათა შორის, ხიმესა და მაშგუნის ქვეყნებს, რომლებსაც ურუატრის შემადგენელ ნაწილებად ასახელებს სალმანასარ I-იც. როგორც ჩანს, ასურ-ბელ-კალაც, როდესაც ლაპარაკობს ურუატრის დალაშქვრის შესახებ, იმავე ვანის ტბის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე რაიონს გულისხმობს, რომელიც იგულისხმება სალმანასარ I-ის „ურუატრის ქვეყანაში". ეტყობა, რომ უკვე

იმ ხანებში, როდესაც ასურული წყაროები ლაპარაკობენ „ურუატრის“ შესახებ, ეს გაერთიანება აღარ წარმოადგენდა რაიმე მნიშვნელოვან, მტკიცედ შემჭიდროებულ ორგანიზმს. ასურული წყაროები ამ სახელის ქვეშ ხშირად მეტად მცირე ტერიტორიას გულისხმობენ: მაგალითად, სალმანასარ I ამბობს, რომ მან სამი დღის განმავლობაში დაიპყრო ურუატრის მთელი ქვეყანა. ასურულ წყაროებში არსად იხსენიება „ურუატრის მეფე“ (ე. ი. მთელი გაერთიანების ერთი უზენაესი მეთაური); ჩვეულებრივ, ასურეთის მეფეები ლაპარაკობენ მათ მიერ „ურუატრის ქვეყნების“ დაპყრობის შესახებ (სალმანასარ I, მაგალითად, ურუატრის 8 ასეთ ქვეყანას ასახელებს)—ე. ი. ურუატრის ტერიტორიაზე ისინი მრავალ სხვადასხვა პოლიტიკურ ერთეულს ხედავენ. ზოგჯერ „ურუატრის“ ესა თუ ის ქვეყანა სხვა გაერთიანებათა შემადგენლობაში იჩენს თავს (ასე მაგალითად, სალმანასარ I-ის „ურუატრის ქვეყნები“ ხიმე და ლუხა ტიგლათფილესერ I-თან (1115—1077) სუგის გაერთიანების შემადგენლობაში ჩანან და სხვ.). მაშასადამე, „ურუატრის“ ზოგადი, კრებითი სახელი ვანის ტბის სამხრეთ-აღმოსავლეთით, მდ. ზედა ზაბის ზემო და შუა დინებაზე მდებარე გარკვეული რაიონისათვის სალმანასარ I-ისა და მომდევნო ხანებში არა იმდენად ამ დროს არსებული ერთი გაერთიანების აღმნიშვნელი სახელია, არამედ უფრო ძველად ამ ადგილებში „ურუატრი“ (ურარტუ)—ტომის მეთაურობით მსხვილი გაერთიანების არსებობის ნაშთია.

ამრიგად, ურარტელი ტომების უძველესი გაერთიანება ვანის ტბის სამხრეთ-აღმოსავლეთით ჩამოყალიბებულა. მაგრამ ეს ტერიტორია უძველეს ხანაში ურარტელი ტომების არა მარტო პოლიტიკური ცხოვრების უმთავრესი კერა იყო, არამედ რელიგიურ-კულტურული ცხოვრების ცენტრიც. აქ უძველეს ხანებშივე იყო ურარტელი ტომების უმნიშვნელოვანესი რელიგიური ცენტრები — ქალაქი მუსასირი (დღევანდელი როვანდუზის რაიონში) — ურარტელთა უზენაესი ღვთაების ხალდის კულტის ცენტრი და ქალაქი კუმენუ — ურარტელთა ღმერთებს შორის მეორე ადგილზე მდგომი თეიშებას (ამინდის, ქარიშხლის ღმერთის) კულტის ცენტრი. ურარტელთა

უმნიშვნელოვანესი საკულტო ცენტრების მნიშვნელობა ამ ქალაქებმა შემდეგშიც არ დაკარგეს, როდესაც ურარტელი ტომების პოლიტიკურმა ცენტრმა უფრო ჩრდილოეთით გადმოინაცვლა.

ურარტელი ტომების უძველესი ისტორიის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი უკავშირდება ამავე რაიონს, ვანის ტბის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორიას. ამ ადგილებში ურარტელი ტომების მეზობლად ცხოვრობდა ლულუბის ხალხი, რომელსაც დიდი ტერიტორია ეკავა ზაგროსის მთიანეთში, ურმიის ტბის სამხრეთით. ირკვევა, რომ უძველეს ხანებში ურარტელ ტომებს დიდი მტრობა ჰქონიათ ლულუბის ხალხთან, რასაც ძალზე ღრმა კვალი დაუტოვებია ურარტელთა მეხსიერებაში.

უკვე II ათასწლეულში ჩ. წ-მდე, მითანისა და ხურის სამეფოთა არსებობის ხანაში, ლულუბიელებს დიდი მტრობა ჰქონიათ მათ მეზობლად მცხოვრებ ხური-ურარტელ ტომებთან. გარკვეულ პერიოდში ხური-ურარტელი ტომების გაერთიანებები იმდენად ძლიერნი იყვნენ, რომ ლულუბის ტომებს არბევდნენ, დიდი ოდენობით მიჰყავდათ ლულუბიელები ტყვედ და მონებად ამუშავებდნენ (ასე მაგალითად, ცნობილია, რომ დღევანდელი ქურთისტანის ტერიტორიაზე, ქალაქ კერკუკის რაიონში მცხოვრებ ხურიტებში II ათასწლეულის შუახანებში მონებად უმთავრესად ლულუბიელები ჰყოლიათ). ამავე ხანებში მითანისა და ხეთების იმპერიებში ლულუბიელ ტყვეებს არა მარტო მონებად იყენებდნენ, არამედ დაქირავებულ ჯარისკაცებადაც. მითანისა და ხეთების სამეფო კარზე დაქირავებული ჯარის მნიშვნელოვან ფენას თავისი მეომრობით განთქმული ლულუბიელები შეადგენდნენ. ლულუბიელებთან ასეთი ინტენსიური ურთიერთობის შედეგად „ლულუბის“ ხალხის სახელმა ხურიტების თვალში ზოგადი სახელის მნიშვნელობა მოიპოვა, იგი ყველა „უცხოელის“, „ბარბაროსის“ აღმნიშვნელ ზოგად სახელად იქცა.

II ათასწლეულის ბოლო საუკუნეებში, როდესაც დაეცა დიდი ხურიტული სახელმწიფოები, ლულუბის ხალხმა უკვე თვითონ დაიწყო შეტევა აქამდე მათი შემაწუხებელი მეზობ-

ლების, ხური-ურარტელი ტომების წინააღმდეგ. II ათასწლეულის ბოლოსათვის ჩამოყალიბდა ლულუბის ტომთა მსხვილი გაერთიანება, რომელმაც სასტიკი ბრძოლები გააჩაღა ბაბილონეთისა და ასურეთის სამეფოებთან. ვანის ტბის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ლულუბიელთა მეზობლად მცხოვრები ხური-ურარტელი ტომებიც ამ დროს, ეტყობა, ძალზე შეწუხებული იყვნენ ლულუბიელთა თავდასხმებისაგან. ალბათ, ამიტომ მოხდა, რომ „ლულუბის“ ხალხის სახელმა, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ურარტელებში ზოგადი სახელის მნიშვნელობა მოიპოვა, საერთოდ, ყველა „მტრის“, ყოველივე „მტრულის“ აღმნიშვნელ ზოგად სახელად იქცა (ურარტულ წარწერებში სახელი „ლულუ(ბი)“ უბრალოდ „მტრის“, „მტრულის“ ზოგადი Წნიშვნელობით იხმარება).

3. ნაირი-ურარტუს ტომებისა და ასურეთის ურთიერთობა ურარტუს სამეფოს წარმოქმნის წინა ხანაში

მას შემდეგ, რაც ხურიტების დიდი სამეფოები (მითანისა და ხურის), აგრეთვე ურარტელი ტომების პირველი მსხვილი გაერთიანებები ასურელებმა გაანადგურეს, ვანისა და ურმიის ტბათა გარშემო („ნაირი-ურარტუს“ მხარეში) მცხოვრები ხური-ურარტელი ტომები პოლიტიკურად მეტად მცირე ერთეულებად არიან დანაწილებული. სამხრეთ-აღმოსავლეთით მათ, როგორც აღვნიშნეთ, დიდი ბრძოლები აქვთ ლულუბის ხალხთან; ნაირის სამხრეთ-დასავლეთ პერიფერიაზე (ჩრდილო მესოპოტამიაში, ევფრატის ზემო წელის რაიონში) მცხოვრები ხური-ურარტელი ტომები ამ დროს შევიწროებას განიცდიან ამ ადგილებში II ათასწლეულის ბოლო ხანებში გამოჩენილ ახალ სემიტურ ტომებისაგან, არამეელებისაგან, რომლებიც მკვიდრდებიან რა ჩრდილო სირიასა და ჩრდილო მესოპოტამიაში, ართმევენ რიგ ადგილებს ხურიტებსა და ასურელებს და საუკუნეთა მანძილზე ძალზე აწუხებენ მათ გამუდმებული თავდასხმებით. მაგრამ ყველაზე უფრო სასტიკი ბრძოლები ნაირი-ურარტუს ხური-ურარტელ ტომებს მაინც თავის სამხრეთელ მეზობელთან — ასურეთთან მოუხდათ.

ასურელები ხშირად ლაშქრობდნენ ნაირი-ურარტუს ქვეყნებში. ასურეთის მეფეთა წარწერები სავსეა ნაირი-ურარტუს ქვეყნების დალაშქვრის ამბების გადმოცემით. ადრეული ხანის ასურეთის მეფეთა შორის ამის შესახებ ბევრ ცნობას გვაწვდის სალმანასარ I (1310—1280), ტუგულთინინურტა I, ტიგლათფილესერ I, ასურბელკალა, ადადნირარი II, ტუგულთინინურტა II და ასურნასირპალ II (884—860).

ნაირი-ურარტუს ქვეყნებში ასურელთა ლაშქრობებს, პირველ ყოვლისა, ნადავლისა და ტყვე-მონების ხელთგდების მიზანი ჰქონდა. მაგრამ ამასთან ერთად ასურეთის მეფეები უკვე ადრევე ცდილობდნენ ნაირის ქვეყნებში უფრო მტკიცედ მოეკიდათ ფეხი. მათ უნდოდათ ნაირის დამარცხებულ ხელისუფალთათვის ასურეთის ერთგულების ფიცი ჩამოერთმიათ და მათთვის „სამუდამო“ ხარკი დაეკისრებინათ. ამასთანავე, რომ უფრო მეტი სიმტკიცე ჰქონოდა ნაირის ხელისუფალთა ვალდებულებებს ასურელთა მიმართ, ასურეთის მეფეები ხშირად ვაჟიშვილებს ართმევდნენ მძევლებად ნაირის მეფეებს, ან მცხოვრებლებს და ასურეთში მიჰყავდათ. ასურელებისათვის ადრიდანვე უცხო არ იყო ნაირის ტერიტორიის ასურულ პროვინციად გადაქცევისაკენ ლტოლვაც.

ზოგჯერ ასურეთის ესა თუ ის მეფე ამბობს, რომ მან ნაირის მოსახლეობას თავისი მმართველი, თავისი „მეთვალყურე“ მიუყენა. მაგრამ აქ თითქმის ყოველთვის საქმე ეხება ნაირის საბრეთ, საკუთრივ ასურეთთან ახლო მდებარე რაიონებს. ასურელები ცდილობდნენ, რომ ჩრდილოეთში (ნაირის მხარეში) თავისი დასაყრდენი პუნქტები შეექმნათ. ასურეთის მეფეები ადრეულ ხანიდან მოყოლებული ქმნიდნენ ნაირის მხარეში ასურელთა ახალშენებს, რომლებიც მათ დასაყრდენ პუნქტებს წარმოადგენდნენ ნაირის ხალხებთან ბრძოლის საქმეში.

ჩრდილოეთში ასურელთა ასეთი დასაყრდენი პუნქტები იყო, მაგალითად, ქალაქები თუშხა, დამდამუსა (ორივე ეს ქალაქი დღევანდელ დიარბექირის სამხრეთ-აღმოსავლეთით, მისგან დაახლოებით 18 კილომეტრის მანძილზე მდებარეობდა), სინაბუ, თიდუ და სხვ. ასურნასირპალ II ჩრდილო-აღ-

მოსავლეთში, ზამუას ქვეყანაში, კიდევ ერთი ასეთი დასაყრდენი პუნქტი შექმნა: ქალაქი ათლილა, რომელიც ნანგრევებად იყო ქცეული, მან აღადგინა, გალავანი შემოავლო, შიგ სასახლე აიგო, თვით ქალაქს კი სახელი შეუცვალა და დურ-ასური უწოდა... როდესაც ასურეთი სუსტდებოდა, ასურეთის ჩრდილოეთით მცხოვრები ტომები, პირველ ყოვლისა, ასურელთა ამ დასაყრდენ პუნქტებს ავიწროებდნენ და ცდილობდნენ ხელში ჩაეგდოთ ისინი. ასურნასირპალ II, მაგალითად, მოგვითხრობს, რომ ნაირის წინააღმდეგ აღმართულ ასურელთა სიმაგრეებს — სინაბუსა და თიდუს-არუმუს ქვეყნის ხალხი (არამეელები) ასურეთის სისუსტის ჟამს დაეუფლაო; იგი იკვეხნის, არამეელებს ხელიდან გამოვგლიჯე ეს სიმაგრეები და ასურელებს დავუბრუნეო.

ასურელებს პირველხარისხოვანი სამხედრო ორგანიზაცია გააჩნდათ და ძლევამოსილი ლაშქარი ჰყავდათ: ამ ძლევამოსილ ლაშქარზე დაყრდნობით ასურეთი თავისი ძლიერების დროს უმოწყალოდ არბევდა და ძარცვავდა მეზობლებს და იგი უმეტესად ძარცვით მოპოვებული ნადავლით, ანდა დამორჩილებული ხალხებისაგან მიღებული ხარკით ცხოვრობდა. ასეთი ვითარების გამო ასურელთა საზოგადოება თანდათან მხედრების საზოგადოებად იქცა. დამარცხებულთა მიმართ ასურელები დიდ სისასტიკეს იჩენდნენ: დასახლებული პუნქტების დანგრევა, მათთვის ცეცხლის წაკიდება, მოსახლეობის გაჟლეტა, ტყვეების თავის მოკვეთა, სარზე ჩამოცმა, ან ცოცხლივ ტყავის გაძრობა ჩვეულებრივი ამბავი იყო ასურელთა საომარ ექსპედიციებში. ამგვარ მოქმედებათა აღწერებით სავსეა ასურეთის მეფეთა წარწერები. ტიგლათფილსერ I, მაგალითად, როდესაც აგვიწერს მის მიერ ნაირის მეფეთა კოალიციის დამარცხებას, ამბობს: „მათი დიდი ქალაქები დავიპყარ, მათი ნადავლი, მათი ქონება, მათი სარჩო-საბადებელი წამოვიღე. მათი ქალაქები ცეცხლში დავწვი, დავანგრიე, გავანადგურე, ნანგრევთა გროვად ვაქციე მე ისინი...“

ნაირის მოსახლეობის მიმართ ჩადენილ სისასტიკეთა აღწერებში განსაკუთრებული ენაწყლიანობით გამოირჩევა ასურნასირპალ II-ის (884—860) წარწერები. ასე, მაგალითად, მე-

ფობის პირველ წელს ჩრდილოეთში, ხაბხის ქვეყანაში თარეშის დროს, ასურნასირპალი დევნის და ამარცხებს მისი ლაშქრის შიშით მთებში გახიზნულ ხაბხის სხვადასხვა ქალაქების მცხოვრებლებს. დახოცილი მეომრების თავებისაგან ასურელები სვეტებსა ქმნიან, მათ ქალაქებს კი ძარცვავენ, ანგრევენ და ცეცხლს უკიდებენ. ქალაქ ნიშთუნის მმართველი ბუბუ ბუბას-ძე, რომელმაც, ალბათ, განსაკუთრებით სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია ასურელებს, ასურნასირპალ II ასურეთში წაიყვანა, ქალაქ არბელაში ცოცხლივ ტყავი გააძრო და მისი ტყავი ქალაქის კედელზე გადაფინა.

მეფობის მე-2 წელს ასურნასირპალმა ძლივს მოახერხა ნირბუს ქვეყნის მცხოვრებთა ციხე-სიმაგრის, თელას აღება. ასურელებმა სასტიკად დაარბიეს ქალაქი. მრავალი ტყვე დასწვეს კოცონზე, ზოგს ხელები და თითები, ცხვირი ან ყურები დააჭრეს, ზოგს კი თვალები დათხარეს. ასურნასირპალის ამავე ლაშქრობისას კაშიარის მთებში მყოფი ნირბუს ქვეყნის რამდენიმე მცირედ დაცული ქალაქის მცხოვრებლებმა ასურელთა შიშით დატოვეს თავიანთი ქალაქები და თავი შეაფარეს ერთ-ერთ ძლიერ გამაგრებულ ქალაქ იშფილიბრიას. ასურელებმა აიღეს ეს ქალაქი და სასტიკი ხოცვა-ჟლეტა გააჩაღეს: დატყვევებულ მეომრებს თავები მოჭკვეთეს და მათგან სვეტები ააგეს ქალაქის წინ, აქაური ახალგაზრდა ვაჟები და ქალები კი კოცონზე დაწვეს.

ასურნასირპალის მეფობის მე-5 წელს, ნაირის სამხრეთში თარეშისას, ასურელებს განსაკუთრებით სასტიკ წინააღმდეგობას უწევდა დირას ქვეყნის ერთ-ერთი ძლიერ გამაგრებული ქალაქი ფითურა. სამაგიეროდ ასურელები ქალაქის აღების შემდეგ სასტიკად გაუსწორდნენ მის მოსახლეობას: ტყვედ ჩაგდებულთა ნაწილი მათ ცეცხლში დაწვეს, ხოლო 700 კაცი ქალაქის კარიბჭის პირდაპირ სარზე ჩამოაცვეს.

მეფობის მე-18 წელს, კაშიარის მთის რაიონში, ლაფთური ტუბუსის-ძის ერთ-ერთი ციხე-სიმაგრის, ქალაქ უდას აღების შემდეგ, ასურნასირპალმა ტყვედ ჩაგდებულ მცხოვრებთა ნაწილს თვალები დასთხარა, ნაწილი კი, ქალაქის ირგვლივ სარზე ჩამოაცვა.

ასურეთის მეფეთა წარწერებიდან კიდევ ბევრი სხვა მაგალითის მოტანა შეიძლება ნაირის მხარეში ასურელთა ამ სახის საქმიანობის საილუსტრაციოდ. ყველაფერ ამას, რა თქმა უნდა, მიზნად ჰქონდა მოსახლეობის დაშინება და ამ გზით ნაირის მხარეში ასურელთა ბატონობის განმტკიცება. ნაირის ხალხები გაშმაგებულ წინააღმდეგობას უწევდნენ ასურელ მოთარეშეებს და ვერ ურიგდებოდნენ ასურელთა მორჩილებასა და მათთვის ხარკის გაღებას.

ასურელთა მოხარკეობა მართლაც ადვილი საქმე არ იყო. თვით ასურელები, მათ მიერ დადებულ ხარკს ჩვეულებრივ „მძიმე"-ს ეპითეტით ამკობდნენ (ამბობდნენ: „მანდათუ ქაბითუ" ანუ „ქაბითუ ბილთუ" —„მძიმე ხარკი"). ასურელთა ხარკი ყაჩაღურ ძარცვაზე მძიმე რამ იყო. ამიტომ იყო, რომ დამარცხებული ხალხები ვერას გზით ვერ ურიგდებოდნენ ასურელთადმი მორჩილებასა და მათთვის ხარკის ძლევას. ასურელთა ლაშქრის მათი ქვეყნიდან წასვლისთანავე ისინი ივიწყებდნენ მათ მიერვე ასრულებისათვის ნაკისრ ხარკის მიცემის ვალდებულებას, ჯანყდებოდნენ და ითავისუფლებდნენ თავს ასურელთა მორჩილებისაგან. ამიტომაც ასურელებს ლაშქრობის მოწყობა სისტემატიურად სჭირდებოდათ, რომ დამარცხებული ხალხები მორჩილებაში ჰყოლოდათ. ასეთი იყო ვითარება ასურეთის მომიჯნავე ისეთ ქვეყნებშიც კი, რომლებზედაც გალაშქრება და რომელთა რბევაც ასურელებისათვის დიდ სიძნელეს არ წარმოადგენდა. ბუნებრივია, რომ კიდევ უფრო ცუდად იქნებოდა ასურელთა საქმეები ნაირის მთიან, უგზო და ძნელად მისაწვდომ რაიონებში მცხოვრები ტომების მიმართ. რა თქმა უნდა, ნაირის მთიან მხარეში მცხოვრები ტომები, მიუხედავად მორჩილებისა და ხარკის მიცემის აღთქმისა, დიდხანს არ რჩებოდნენ ასურელთა მორჩილებაში და ასურელთა ლაშქრის მათი ქვეყნიდან წასვლისთანავე ივიწყებდნენ ასურელთადმი ნაკისრ ვალდებულებებს.

მიუხედავად იმისა, რომ ნაირის ხალხები ჩვეულებრივ სასტიკ წინააღმდეგობას უწევდნენ ასურელ მოთარეშეებს, სამხედრო წარმატება თითქმის მუდამ ასურელთა ლაშქრის მხარეზე იყო, რადგანაც ნაირის მხარეში ამ დროს არ არსე-

ბობდნენ მსხვილი, ძლიერი პოლიტიკური ერთეულები. ასურული წყაროები ნაირის მხარეში ათეულობით „ქვეყნებსა“ და „მეფეებს“ ასახელებენ. „ქვეყნების“ (ე. ი. ცალკე პოლიტიკური ერთეულების) და „მეფეების“ ასეთი სიმრავლე მოწმობს, რომ აქ ჩვენ საქმე გვაქვს საკმაოდ მცირე ტერიტორიისა და მცირე ძალის ერთეულებთან. ბუნებრივია, რომ ნაირის ასეთი მცირე ერთეულების მოსახლეობა, მიუხედავად გაშმაგებული წინააღმდეგობისა, ბევრს ვერაფერს გააწყობდა ასურეთის მხედრობასთან. ამას მათში უნდა გამოეწვია ასურელ მოთარეშეთათვის შეერთებული ძალით წინააღმდეგობის გაწევის ტენდენცია. მართლაც, ნაირის მცირე ერთეულების ასეთი გაერთიანებები ადრიდანვე ჩნდება დამპყრობელთათვის შეერთებული ძალით წინააღმდეგობის გაწევის მიზნით.

ასურეთის მეფეებს არა ერთგზის მოუხდათ შეტაკება ნაირის „ქვეყნების“ დიდ კოალიციებთან. ასე მაგალითად, უკვე ტუგულთინინურტა I-ს (1280—1245) ნაირის მხარეში გალაშქრებისას შეტაკება უხდება ნაირის 43 მეფის კოალიციასთან. ტუგულთინინურტა I ამბობს, რომ მან დაამარცხა ნაირის ამ 43 მეფის ლაშქარი და დამარცხებულთა სისხლით მორწყო მთის ხეობები. ტიგლათფილესერ I (1115—1077) ვრცლად მოგვითხრობს თავისი ბრძოლების შესახებ ნაირის 23 მეფის გაერთიანებასთან, რომელთაც, როგორც ჩანს, შეუერთდნენ ნაირის კიდევ სხვა მეფეები: „იმ დროს,—ამბობს ტიგლათფილესერი,—ძალითა მაღლისა ასურ ღვთაებისა, მეუფისა ჩემისა, მამაცი შამაშ-ღვთაების ერთგული წყალობით, დიად ღვთაებათა შემწეობით, მე, რომელიც ოთხთა სამყაროთა ზედა სამართლიანად ვბრძანებლობ, რომელსაც არა მყავს მძლეველი ომში და ტოლი ბრძოლაში, გამგზავნა ღვთაება ასურმა, მეუფემ, შორეულ მეფეთა ქვეყნებისაკენ, რომელნიც ზემო ზღვის ნაპირას (ცხოვრობენ) და რომელთაც არ იცოდნენ (თუ რაა) მორჩილება. და მე წავედი...“. ტიგლაფილესერ I მოგვითხრობს, რომ მან გადაიარა 16 უზარმაზარი მთა, სადაც მას მოუხდა მეტად მძიმე გზებით სიარუ-

ლი; ამის შემდეგ იგი მდინარე ფურათუს მიადგა (ე. ი. ევ-ფრატს—იგულისხმება მდ. არცანია, დღევანდელი მურად-სუ). „გადავლახე მდინარე ფურათუ,—განაგრძობს ტიგლათფილესერი,-თუმეს ქვეყნის მეფემ, თუნუბეს ქვეყნის მეფემ, თუალის ქვეყნის მეფემ... (სულ ჩამოთვლილია ნაირის 23 სხვადასხვა ქვეყნის მეფე), ერთიანად ნაირის ქვეყნების 23 მეფემ, შეკრიბეს თავიანთ ქვეყნებში ეტლები და ჯარები და ბრძოლისა და ომისათვის გამოემართნენ. ჩემი თავზარდამცემი იარაღის სიშმაგით თავს დავატყდი მე მათ. ღვთაება ადადის კოკისპირული წვიმის მსგავსად მე აღვასრულე მათი მრავალრიცხოვანი ჯარების განადგურება. მათი მეომრების გვამები მე მიმოვფანტე... მთის მაღალ ადგილებსა და მათი ქალაქების ირგვლივ. 120 მათი საომრად აღჭურვილი ეტლი ბრძოლაში ხელთ ვიგდე მე. ნაირის ქვეყნის 60 მეფეს, მათთან ერთად, რომლებიც მათ საშველად მოვიდნენ, ჩემი შუბით ზედა ზღვამდე მივსდიე...“. ეტყობა, ნაირის ქვეყანაში ამ თავისი ლაშქრობისას, ტიგლათფილესერ I-ს შეტაკება მოუხდა ნაირის მოსახლეობის დიდ ნაწილთან. ნაირის იმ 23 მეფის კოალიციაში, რომელთანაც მოუხდა შებრძოლება ტიგლათფილესერ I-ს, იხსენიებიან ერთი მხრით ნაირის უკიდურეს სამხრეთში (ურმიის ტბის სამხრეთით) მდებარე თუმეს ქვეყნის მეფე და მეორე მხრით ნაირის უკიდურეს ჩრდილოეთში (დღევანდელი არზრუმის რაიონსა და მის ჩრდილოეთით) მდებარე დაიაენის ქვეყნის მეფე. როგორც ვხედავთ, ასურელებისათვის წინააღმდეგობის გასაწევად ამ დროს ნაირის მოსახლეობის დიდი ნაწილი გაერთიანებულა.

ამრიგად უკვე ძალზე ადრეული ხანიდან ნაირის ხალხთა შორის თავს იჩენს ასურელ ზოთარეშეთათვის შეერთებული ძალით წინააღმდეგობის გაწევის ტენდენცია, უკვე ადრეული ხანიდანვე ნაირის ქვეყნებში მოლაშქრე ასურეთის მეფეებს ხშირად უხდებათ შეტაკება ნაირის არა ცალ-ცალკე ამა თუ იმ მცირე ერთეულების ლაშქართან, არამედ ნაირის ხალხთა დიდ გაერთიანებებთან, რომლებიც ასურელებისათვის წინააღმდეგობის გასაწევად იქმნებოდნენ.

4. დაიაენის (დიაუხის) სამეფო—უძლიერესი ერთეული ნაირის მხარეში ურარტუს სამეფოს წარმოქმნამდე

II ათასწლეულის დასასრულისათვის, როგორც აღვნიშნეთ, სამხრეთით, ასურეთთან ახლო მდებარე ხურიტული რაიონები სასტიკად იქნა დარბეული ასურელებისა და ამ ხანებში აქ მოსულ არამეელების მიერ. ამის შემდეგ ხურიტული ელემენტის პოლიტიკური ცხოვრების ცენტრმა ჩრდილოეთით გადაინაცვლა.

დიდი ხურიტული სამეფოების დაცემის შემდეგ (II ათასწლეულის დასასრული), სანამ ძლიერი ურარტუს სამეფო წარმოიქმნებოდა (IX ს. შუახანები ჩ. წ-მდე) ნაირის მხარეში ყველაზე მნიშვნელოვანი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მდებარე დაიაენის მსხვილი სამეფო ჩანს.

ეს ქვეყანა, რომელიც ასურულ წყაროებში „დაიაენად“ იწოდება, მრავალგზის იხსენიება ურარტულ წყაროებშიც, რომლებიც მას „დიაუხის“ (ან „დიაუეხი“-ს) უწოდებენ. ამ ქვეყნის სახელი შემოინახა სამხრეთ საქართველოს ერთ-ერთი ოლქის „ტაო“-ს სახელში. ასურული და ურარტული წყაროების ეს დაიაენის (დიაუხის) ქვეყანა საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მდებარეობდა. დღევანდელი არზრუმის და დასავლეთ ევფრატის (ყარა-სუს) სათავეების რაიონი, როგორც ირკვევა, ამ ქვეყნის სამხრეთ პერიფერიას წარმოადგენდა. ამ რაიონიდან დაიაენის ქვეყანა ფართო ტერიტორიაზე იყო გავრცელებული ჩრდილოეთით მდ. ჭოროხისა და შავი ზღვის სანაპიროების მიმართულებით. დაიაენის ქვეყნის მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს ხურიტული ტომები შეადგენდნენ. ასურულ და ურარტულ წყაროებში ამ ქვეყანასთან დაკავშირებით დასახელებულ საკუთარი სახელებიდან (პიროვნებათა, ადგილებისა და სხვა) ბევრი ხურიტულ ელფერს ატარებს (მაგალითად, დაიაენის მეფეთა სახელები: ასია, სიენი, უტუფურშინი, სატომო სახელი შაშქი, ცალკეული ოლქებისა თუ „ქალაქების“ სახელები: უტუხაი, შაშილუნი, შერიაზი და სხვ.), თვით ქვეყნის (ხალხის) სახელი

დაიაენი—დიაუხიც ხურიტული სახელია. ეტყობა ეს გაერთიანება თავიდან ხურიტული ტომების ჰეგემონობით ჩამოყალიბდა. ძველ დროშივე ამ მსხვილი გაერთიანების ფარგლებში ხურიტებს გარდა შედიოდა ზოგი ქართველური ტომიც.

დაიაენის სამეფო ყველაზე ჩრდილოეთით მდებარე ხურიტული სამეფო იყო. იგი ჩრდილოეთით პირდაპირ აგრძელებდა ხურიტული მოსახლეობის ხაზს, რომელიც ბევრად უფრო სამხრეთით იწყებოდა. სამხრეთით დაიაენის ქვეყანას უშუალოდ ემიჯნებოდა სუხმის დიდი ქვეყანა (ხეთური წყაროების ზუხმა), რომლის მოსახლეობაც ხურიტული ჩანს; კიდევ უფრო სამხრეთით იყო აგრეთვე ხურიტული კუმუხი და სხვა ხურიტული ერთეულები.

როგორც ვთქვით, სამხრეთის ძლიერი ხურიტული სამეფოების (მითანი და სხვ.) დაცემამ ისევე, როგორც ამავე ხანებში ძომხდარმა ხეთების ძლევამოსილი სახელმწიფოს განადგურებამ, გზა გაუხსნა ჩრდილოეთის ხურიტული გაერთიანებების გაძლიერებას; ამ ხანებშია რომ ჩვენ ვხვდებით არზრუმისა და ევფრატის სათავეების რაიონში ხურიტული დაიაენის (დიაუხის) ტომის ჰეგემონობით ჩამოყალიბებულ მსხვილ გაერთიანებას, რომელიც უკვე XII საუკუნის დასასრულისათვის ნაირის მხარეში ყველაზე მნიშვნელოვან ერთეულად გვევლინება.

ასურეთის მეფის ტიგლათფილესერ I-ის (1115—1077) მეფობის დასაწყისში დაიაენის სამეფოს ჩვენ ვხედავთ ასურელთა წინააღმდეგ მიმართულ ნაირის ხალხთა დიდი გაერთიანების მეთაურად: თავისი მეფობის მე-3 წელს ტიგლათფილესერ I გაილაშქრა ნაირის წინააღმდეგ. გადალახა მდ. ევფრატი და მის ჩრდილოეთით (როგორც ფიქრობენ, დღევანდელი მალაზგირთის რაიონში) შეტაკება მოუხდა ნაირის 23 ქვეყნის გაერთიანებულ ლაშქართან. ტიგლათფილესერი ჩამოთვლის კიდევაც ნაირის ამ 23 ქვეყანას, საიდანაც ჩანს, რომ ტიგლათფილესერის წინააღმდეგ ნაირის მეტად ვრცელი ტერიტორიის მომცველი გაერთიანება ჩამოყალიბებულა: ნაირის ამ ქვეყნებს შორის იხსენიება ერთი ძხრით ურმიის ტბის

სამხრეთით მდებარე თუმეს ქვეყანა, ან ვანის ტბის სამხრეთ-აღმოსავლეთით, მდ. ზედა ზაბის რაიონში მყოფი ხიმუა და, მეორე მხრით, ჩრდილოეთით (დღევანდელ არზრუმის რაიონსა და უფრო ჩრდილოეთით) მდებარე ისეთი ერთეული, როგორიცაა დაიაენი. ეტყობა ნაირის ხალხთა ამ გაერთიანებაში, რომელთანაც ბრძოლა მოუხდა ასურეთის მეფეს, შედიოდა ნაირი-ურარტუს ბევრი სხვადასხვა ტომი, დაწყებული ურმიის ტბის სამხრეთით მდებარე ქვეყნების მცხოვრებთაგან, ვიდრე სამხრეთ ამიერ-კავკასიის ტერიტორიაზე მცხოვრებ ხალხებამდე. ასურეთის მეფის ამა თუ იმ შემოსევისათვის წინააღმდეგობის გასაწევად ასეთ ვრცელ ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხების გაერთიანება სახელდახელოდ, სტიქიურად შექმნილ კოალიციას არ უნდა წარმოადგენდეს. ეტყობა, ასეთი მსხვილი გაერთიანების შექმნა წინა, საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში შექმნილი ტრადიციებით იყო შემზადებული. როგორც ტიგლათფილესერ I-ის წარწერებიდან ვგებულობთ, ნაირის ხალხთა ამ მსხვილი გაერთიანების ჰეგემონი ნაირის უკიდურეს ჩრდილოეთში, სამხრეთ-დასავლეთ ამიერ-კავკასიის ტერიტორიაზე მდებარე ხურიტული დაიაენის სამეფო ყოფილა: ტიგლათფილესერ I სასტიკ ბრძოლაში იმარჯვებს ნაირი სამ 23 „მეფის" ლაშქარზე, რომელთაც შემდეგ ნაირის კიდევ 60 სხვა „მეფე" მიშველებია. ბრძოლაში მან შეძლო ყველა მის წინააღმდეგ ამხედრებული ნაირის მეფის დატყვევება. მან ისინი ადგილზევე შეიწყალა, მორჩილებაზე დააფიცა, მძევლები გამოართვა, ხარკი დაადო და თავთავიანთ ქვეყნებში გაუშვა. ტიგლათფილესერმა ნაირის ყველა მეფისაგან მხოლოდ გაერთიანების მეთაური — დაიაენის მეფე სიენი — გამოჰყო და ასურეთში წაიყვანა: „სიენი, მეფე დაიაენის ქვეყნისა, — ამბობს ტიგლათფილესერი, - რომელიც არ დამორჩილდა ღვთაება ასურს, მეუფესა ჩემსა, დატყვევებული და შებოჭილი ჩემ ქალაქ ასურში წავიყვანე (და იქ) შევიწყალე იგი. ჩემ ქალაქ ასურიდან დიად ღვთაებათა მორჩილი გავუშვი მე იგი მორჩილებისა და სიცოცხლისათვის..." — ეტყობა ტიგლათფილესერ I-მა გადასწყვიტა, რომ ასურეთის

სამეფოს ინტერესებისათვის დაიაენის ურჩი მეფის დასჯაზე უფრო სასარგებლო იქნებოდა მისი შეწყალება, გამოართვა მას ერთგულების ფიცი და თავის ქვეყანაში გაუშვა.

ტიგლათფილესერ I-ის შემდეგ რამდენიმე საუკუნის განმავლობაში, ვიდრე სალმანასარ III-ის ხანამდე (IX ს. შუახანები ჩ. წ-მდე) ასურულ წყაროებში არაფერი ისმის დაიაენის შესახებ. მაგრამ მას შემდეგ, რაც ცნობები დაიაენის შესახებ კიდევ ჩნდება (IX-VIII საუკუნის ასურულ და ურარტულ წყაროებში) დაიაენი კვლავ მსხვილ და მნიშვნელოვან ერთეულად მოჩანს. არ შეიძლება ვთქვათ, რომ XII- IX საუკუნეთა მანძილზე დაიაენის გაერთიანება დაშლილი ანდა საგრძნობლად დასუსტებული იყო. ის გარემოება, რომ მის შესახებ არაფერია ნათქვამი ამ დროს ასურულ წყაროებში, აიხსნება ტიგლათფილესერ I-ის (1115—1077) შემდეგ ასურეთის დასუსტებით. ასურეთს რამდენიმე საუკუნის მანძილზე უხდება მძიმე თავდაცვითი ბრძოლების წარმოება არამეელი ტომების წინააღმდეგ; ამ ხანებში ასურეთის მეფეებს ხელი აღარ მიუწვდებოდათ ჩრდილოეთით მდებარე ისეთ ქვეყნებზე, როგორიც იყო დაიაენი. მხოლოდ IX ს-ში ასურეთი გამოდის სისუსტის ამ ხანგრძლივი პერიოდიდან და ძველებურ შეტევას იწყებს ჩრდილოეთის ხური-ურარტელი ტომების მიმართ. ამასთან ერთად ასურულ წყაროებში კვლავ ჩნდება დაიაენის მსხვილი სამეფო.

ასე რომ ჩვენი წყაროების დუმილი XII—IX საუკუნეთა მანძილზე დაიაენის შესახებ სრულიადაც არ ლაპარაკობს ამ ეპოქაში დაიაენის დასუსტების შესახებ; პირიქით, საფიქრებელია, რომ სამხრეთის ძლიერი მეზობლის (ასურეთის) დასუსტებამ და ახლო მეზობლად, თვით ნაირი-ურარტუს მხარეში, მსხვილი პოლიტიკური ერთეულების არ არსებობამ ხელსაყრელი პირობები შექმნა დაიაენის კიდევ უფრო გაძლიერებისათვის. XII—IX საუკუნეები ჩ. წ-მდე, შეიძლება სწორედ დაიაენის სამეფოს ძლიერების გაფურჩქვნის ხანაა, ამ დროს დაიაენი თავისი სიძლიერით, ალბათ, კვლავ პირველი ერთეულია ნაირის ვრცელ მხარეში.

5. დიდ ხახელმწიფოებრივ გაერთიანებათა ჩამოყალიბების პირობების მოამზადება ნაირი-ურარტუს მხარეში

ძველი ურარტუს ტერიტორიაზე მოპოვებული არქეოლოგიური მასალა უმთავრესად ურარტუს ისტორიის გვიანდელ ხანას ეკუთვნის. ამიტომ ადრეული, ურარტუს სამეფოს წარმოქმნაზე უწინარესი ხანის შესახებ ჩვენ თითქმის მარტოოდენ ასურულ წარწერებში დაცული ცნობები გაგვაჩნია. ასურული წარწერების მიხედვით ნაირი-ურარტუს მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობაში ბუნებრივი პირობებისდა შესაბამისად წამყვანი ზოგან მესაქონლეობა ჩანს, ზოგან კი—მიწათმოქმედება. საინტერესოა, რომ ამ დროს მინდვრეულ კულტურებთან ერთად აქ განვითარებული ჩანს სოფლის მეურნეობის ისეთი ინტენსიური დარგები, როგორიცაა მებაღეობა და მევენახეობა. ფართოდ განვითარებული ყოფილა აგრეთვე ლითონის დამუშავებაც; ასურეთის მეფეებს ნაირი-ურარტუს მხარეში ლაშქრობის დროს დიდძალი ლითონის ნაწარმი უვარდებოდათ ხელში (სპილენძი, ბრინჯაო, რკინა, ვერცხლი და ოქრო).

საერთოდ, ნაირი-ურარტუს მხარე უკვე ამ უძველეს ხანაში საკმაოდ მდიდარ ქვეყანად მოჩანს. ასურეთის მეფეები აქ ეუფლებიან დიდი რაოდენობით ათასგვარ სიმდიდრეს: პირუტყვს, მარცვლეულს, ღვინოს, ლითონის ნაწარმს. ნაირის მხარეში ხელთგდებულ ნადავლსა, ანდა ნაირის მცხოვრებთაგან მიღებულ ხარკში ძვირფასი ლითონებიც ბევრჯერ იხსენიება (ოქრო და ვერცხლი). სხვა მხრივაც ნაირის მოსახლეობა განვითარების საკმაოდ მაღალ საფეხურზე მდგომი ჩანს. ასურელთა ლაშქართან ბრძოლაში, მაგალითად, ნაირის მცხოვრებნი იყენებდნენ საომარ ეტლებს, რაც (ყოველ შემთხვევაში სამხედრო ხელოვნების დარგში) ნაირის მოსახლეობის განვითარების მაღალი დონის შესახებ ლაპარაკობს. ტიგლათფილესერ I (1115—1077), მაგალითად, როდესაც მოგვითხრობს ნაირის 23 მეფის გაერთიანებულ ლაშქართან შებრძოლების შესახებ, ამბობს: „თუმეს ქვეყნის მეფემ, თუნუბეს ქვეყნის მეფემ, თუალის ქვეყნის მეფემ... ერთიანად ნაირის ქვეყნების

23 მეფემ, შეკრიბეს თავიანთ ქვეყნებში ეტლები და ჯარები და ბრძოლისა და და ომისათვის გამოემართნენ. ჩემი თავზარდამცემი იარაღის სიშმაგით თავს დავატყდი მე მათ; ღვთაება ადადის კოკისპირული წვიმის მსგავსად მე აღვასრულე მათი მრავალრიცხოვანი ჯარების განადგურება. მათი მეომრების გვამები მე მიმოვფანტე... მთის მაღალ ადგილებსა და მათი ქალაქების ირგვლივ. მათი 120 საომრად შეჭურვილი ეტლი ბრძოლაში ხელთ ვიგდე მე...“ ამასთანავე ასურეთის მეფეები ნაირის ქვეყნების მცხოვრებთაგან ზოგჯერ ხარკის სახითაც ეტლებს ღებულობენ...

ნაირი-ურარტუს მოსახლეობა ბინადარ ცხოვრებას ეწეოდა. ასურული წარწერებიდან ჩანს, რომ ნაირი-ურარტუს მხარე მოფენილი ყოფილა გამაგრებული პუნქტებით, რომელთა გარშემო დიდი რაოდენობით მიმოფანტული ყოფილა გაუმაგრებელი, მცირე დასახლებული პუნქტები. გამაგრებული პუნქტების უმრავლესობა, ეტყობა, რასმე მნიშვნელოვანს არ წარმოადგენდა. ამაზე მიგვითითებს მათი მეტისმეტი მრავალრიცხოვნება და ის სისწრაფე, რომლითაც ამ ადგილებში მოლაშქრე ასურელები ეუფლებიან ასეთ ციხე-ქალაქებს. აქ, როგორც ჩანს, იგულისხმება ციკლოპურ (ე. ი. უზარმაზარი, ტლანქად გათლილი ქვებით) კედლებშემოვლებული, ზოგჯერ, აგრეთვე, გალავნის შიგნით ციტადელის მქონე პუნქტები, რომელთა ნაშთებს დღესაც ბლომად ვხვდებით ძველი ნაირის ტერიტორიაზე ასეთი მცირედ გამაგრებული პუნქტები წარმოადგენდენ მისი რაიონის მოსახლეობის (და მისი აღლადიდების, ძირითადად პირუტყვის) თავშესაფარს ომის შემთხვევაში. ამასთანავე, ისინი მხოლოდ მცირერიცხოვანი და ცუდად შეიარაღებული მტრის თავდასხმისას თუ გამოდგებოდნენ თავშესაფრად. ასურეთის ლაშქრისათვის მათ სერიოზული წინააღმდეგობის გაწევა არ შეეძლოთ. ასეთი ციკლოპური ციხე-ქალაქები მხოლოდ პოლიტიკური დაქუცმაცებულობის ატმოსფეროში გაამართლებდნენ თავის დანიშნულებას. სწორედ დაქუცმაცებულობის სურათი წარმოგვიდგება ჩვენ წინაურარტული ხანის ნაირის მხარეში. ასურული წყაროები აქ ათეულობითა და ასეულობით „ქვეყნებს“, ე. ი. ერთმანეთისაგან

დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულებს, ასახელებენ... ნაირის აქ მცირე ერთეულებს, უეჭველია, განუწყვეტელი ბრძოლა ექნებოდათ ურთიერთ შორისაც და ეს ციკლოპური ციხე-ქალაქები სწორედ ამ ხანაში წარმოადგენდნენ ეფექტურ თავდაცვით ნაგებობებს, დასახლებული პუნქტების ეს ტიპი, ალბათ, სწორედ ამ დროსაა ფართოდ გავრცელებული.

შემდეგში მდგომარეობა თანდათან იცვლება: ნაირის მხარეში ყალიბდება მსხვილი გაერთიანებები, ადგილი აქვს პოლიტიკური ერთეულების გაერთიანების პროცესს. ძველი დაქსაქსულობის ლიკვიდაციასთან ერთად დაქვეითებას განიცდიან ციკლოპური ციხე-სიმაგრეთა ტიპის დასახლებული პუნქტები. ახალ ვითარებაში ისინი არ გამოდგებიან ეფექტურ თავდაცვით ნაგებობებად. სამაგიეროდ სულ უფროდაუფრო მრავლდება მცირე დასახლებული პუნქტები, რომელთაც არ გააჩნდათ ციკლოპური გალავნები და საერთოდ თავდაცვითი ნაგებობანი. მეორე მხრით კი ნაირის მხარეში ჩამოყალიბებული მსხვილი პოლიტიკური ერთეულების ხელისუფალნი, თავიანთ ფართო შესაძლებლობაზე დაყრდნობით, აგებდნენ უკვე ბევრად უფრო ძლიერი თავდაცვითი ნაგებობებით აღჭურვილ ციხე-სიმაგრეებს, რომლებიც ეფექტურნი იქნებოდნენ ახალ ვითარებაში—გამოდგებოდნენ მეზობელი მსხვილი ერთეულების ხელისუფალთა და ასურეთის მეფეთა ლაშქრისათვის წინააღმდეგობის გასაწევად, მათი თავდასხმების მოსაგერიებლად (ერთ-ერთი ასეთი ძლიერი ციხე-სიმაგრე იყო, მაგალითად, ურარტუს დედაქალაქი ტუშფა, რომლის აღება ასურეთის ვერც ერთმა მეფემ ვერ მოახერხა).

ასურული წყაროები, როგორც ვთქვით, წინაურარტული ხანის ნაირი-ურარტუს მხარეში ათეულობით „ქვეყნებსა“ და „მეფეებს“ ასახელებენ. ტუგულთინინურტა I (1280—1245), მაგალითად, მოგვითხრობს მისი ბრძოლების შესახებ ნაირის 43 მეფესთან; ტიგლათფილესერ I-ს (1115—1077) ბრძოლა უხდება ნაირის 23 სხვადასხვა ქვეყნის მეფეთა წინააღმდეგ, შემდეგ იგი იხსენიებს შეტაკებას ნაირის 60 მეფესთან. თავისი წარწერების სხვა ადგილას იგივე ტიგლათფილესერ I ლაპარაკობს მის მიერ ნაირის 30 მეფის დამორჩილების შესა-

ხებ. სალმანასარ I (1310—1280), რომლის წარწერებშიც პირველად ვხვდებით ურარტუს მოხსენიებას, ამბობს, რომ მან სამ დღეში დაიმორჩილა ურუატრის (ურარტუს) ქვეყანა და იქვე მოგვითხრობს მის მიერ ურუატრის 8 სხვადასხვა ქვეყნის ლაშქრის დამარცხების შესახებ. ნაირი-ურარტუს მხარეში ურარტუს სამეფოს წინა ხანაში „ქვეყნების“ (ე. ი. ცალკე პოლიტიკური ერთეულების) და „მეფეების“ ასეთი მრავალრიცხოვნების ფაქტი იმის შესახებ ლაპარაკობს, რომ მეტწილად აქ, ალბათ, საქმე გვაქვს არა „სახელმწიფოებთან“ და „მეფეებთან“ დღევანდელი ჩვენი გაგებით, არამედ გვაროვნულ-ტომობრივ გაერთიანებებთან თავ-თავისი ბელადებით სათავეში.

მაგრამ იმ ხანებში, რომელიც უშუალოდ წინ უსწრებს ურარტუს სამეფოს წარმოქმნას, ნაირი-ურარტუს მხარეში უკვე შორს არის წასული გვაროვნული წყობილების დაშლისა და კლასობრივ ურთიერთობათა ჩამოყალიბების პროცესი. აქ ჩვენს წინაშეა „მეფე“—ბელადების ინსტიტუტის მკვეთრად ჩამოყალიბებულობის ფაქტი. ნაირის ეს მეფე-ბელადები უკვე გამოთიშული არიან ხალხის დანარჩენი მასისაგან. ასურული წყაროების მიხედვით ისინი სრულუფლებიან ხელისუფლებად მოჩანან. დამახასიათებელია, მაგალითად, რომ ასურელები ნაირის ამ „მეფეებს“ ხშირად მძევლებად ვაკიშვილებს ართმევდნენ. ის, რომ ასურეთის მეფეები მძევლებს ართმევენ არა ხალხს, არამედ „ბელადებს“ („მეფეებს“), მიგვითითებს იმაზე, რომ სუვერენული უფლებები აქ უკვე ეკუთვნის არა თვით ხალხს, არამედ სწორედ ამ მეფე-ბელადებს.

ხალხის მასიდან მეფე-ბელადების ასეთ მკვეთრ გამოთიშვას, რა თქმა უნდა, თან სდევდა სამხედრო-გვაროვნული არისტოკრატიის ძლიერი ფენის ასევე მკვეთრად გამოთიშვა ხალხის დანარჩენი მასისაგან. ნაირის ქვეყნების სამხედრო-გვაროვნულ არისტოკრატიასა და ბელადებს (მეფეებს) ამ დროს უკვე გააჩნდათ კერძო საკუთრება და ექსპლოატირებული ხალხის გარკვეულ ოდენობასაც ფლობდნენ. ექსპლოატირებული ხალხის ამ მასას აქ შეადგენდნენ მეზობელ ერთეულებთან ბრძოლისას მოპოვებული ტყვე-მონები. ნაირი-ურარ-

ტუს მცირე ერთეულებს, რასაკვირველია, ბრძოლა უხდებოდათ არა მარტო მათ ქვეყანაში შემოსეულ უცხოელ დამპყრობელებთან (ასურელებთან), მათ მუდმივი ბრძოლა ჰქონდათ ურთიერთ შორისაც, რაც ნადავლის გარდა იძლეოდა ტყვეებსაც, რომლებსაც, ალბათ, უკვე მონებად იყენებდა საზოგადოების დანარჩენი მასისაგან გამოთიშული სამხედრო-გვაროვნული არისტოკრატია ბელადით სათავეში.

გვაროვნული წყობილების დაშლისა და კლასობრივ ურთიერთობათა ჩამოყალიბების ამ პროცესს მივყავართ ნაირის მხარეში მსხვილ გაერთიანებათა ჩამოყალიბებისაკენ. ჩნდება მსხვილ ერთეულებად გაერთიანების ტენდენცია, რომლის პირობებშიც არისტოკრატიული ზედაფენისათვის უფრო ადვილი იქნება თავისი პრივილეგიური მდგომარეობის შენარჩუნება და განმტკიცება. ამიტომაც ნაირის ცალკეულ გვაროვნულ-ტომობრივ ერთეულთა შორის ბრძოლა, ნადავლისა და ტყვე-მონების მოპოვების გარდა, თანდათან სხვა დანიშნულებასაც იძენს; ამ გზით ეკონომიურად და პოლიტიკურად უფრო ძლიერი ერთეულები ახერხებენ უფრო სუსტი მეზობლების შემოერთებას და ასე თანდათან ყალიბდება მსხვილი ერთეულები, დიდი გაერთიანებები.

რასაკვირველია, ნაირის მთელ ტერიტორიაზე ეს პროცესი ერთნაირი ინტენსივობით არ მიმდინარეობს. წინაურარტული ხანის ნაირის მხარე მარტო პატარ-პატარა გვაროვნულ-ტომობრივი ერთეულებით როდია სავსე. აქ ჩვენ ვხვდებით ისეთ მსხვილ გაერთიანებებსაც, როგორიც იყო დაიაენის დიდი სამეფო, რომლის ხელისუფალნიც, ეტყობა, თავისი ჰეგემონობით მთელი ნაირის გაერთიანებისაკენაც კი ისწრაფვიან. ასეთ მსხვილ ერთეულებში ჩვენ უთუოდ უკვე კლასობრივ საზოგადოებასა და სახელმწიფოებრივი ხელისუფლების არსებობასთან გვაქვს საქმე. სხვა ადგილებშიც განვითარება სოციალური დიფერენციაციის გაღრმავებისა და მსხვილ გაერთიანებათა ფორმირებისაკენ მიიმართება, რამაც კლასობრივ საზოგადოებებად, სახელმწიფოებად გადაქცევამდე მიგვიყვანა.

თავისი მხრით ნაირის მხარეში ასურელთა თარეშიც ხელს უწყობდა აქ მსხვილ გაერთიანებათა ჩამოყალიბებას. ნაირის

მოსახლეობა, როგორც ზემოთ დავინახეთ, სასტიკ წინააღ-მდეგობას უწევდა ასურელ მოთარეშეებს, მაგრამ ნაირის მცირე ერთეულებს, რასაკვირველია, არ შეეძლოთ სერიო-ზული წინააღმდეგობა გაეწიათ ასურეთის ძლევამოსილი ლაშ-ქრისათვის. ამიტომ აქ ადრიდანვე ჩანს ასურელებისათვის შეერთებული ძალით წინააღმდეგობის გაწევის ტენდენცია: ასურელებს, როგორც დავინახეთ, აქ ხშირად ბრძოლა უხ-დებათ ნაირის ხალხთა დიდ კოალიციებთან. მაგრამ, ეტყო-ბა, ასეთი კოალიციებიც ვერ იცავდა ნაირის ხალხებს ასუ-რელთა თარეშისაგან, რაც, უეჭველია, ჰბადებდა აქ უფრო ძლიერ, მჭიდრო გაერთიანებათა შექმნის ტენდენციას. ამრი-გად, როგორც შინაგანი ვითარება, ისე საგარეო ურთიერ-თობის ეს ფაქტორიც ნაირის მხარეში მსხვილი ერთეულე-ბის, დიდი გაერთიანებების წარმოქმნის წინაპირობებსა ჰქმნის.

II. URARTUS SAMEFOS ხანა

1. მსხვილი პოლიტიკური გაერთიანებების ჩამოყალიბება ნაირის მხარეში IX ს-ში ჩ. წ-მდე

ა. ურარტუს სამეფო

ურარტელი ტომების პირველი მსხვილი გაერთიანება, როგორც ვთქვით, ვანის ტბის სამხრეთ-აღმოსავლეთით ჩამოყალიბდა II ათასწლეულის დასასრულს ჩ. წ-მდე. ამ გაერთიანების დაშლის შემდეგ, რომელიც სალმანასარ I-ის (1310—1280 დროისათვის უკვე მომხდარი ფაქტი ჩანს, ვიდრე სალმანასარ III-ის (860—825) ხანამდე, არ არსებობს ურარტელი ტომების რომელიმე მსხვილი გაერთიანება. ასურეთის დიდი დამპყრობელი მეფე ასურნასირპალ II (884 — 860), რომელმაც მრავალგზის დალაშქრა ნაირის მხარე, არსად არ იხსენიებს თავის შეტაკებას ურარტუს სამეფოსთან. ეტყობა, მის დროს ურარტელი ტომების ეს მსხვილი გაერთიანება ჯერ არ არსებობდა. მაგრამ მისი შემკვიდრის, სალმანასარ III-ის (860—825), მეფობის დასაწყისშივე უცბად თავს იჩენს ძლიერი ურარტუს სამეფო. სალმანასარ III-ის წარწერებში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ასურეთის ამ მეფის ბრძოლების აღწერებს ურარტუსთან, მის მეფე არამესთან (წყაროებში პირველად ჩნდება „ურარტუს მეფის" მოხსენიება!). უკვე თავისი მეფობის დასაწყისში სალმანასარი იღებს არამეს ერთ-ერთ ციხე-სიმაგრეს სუგუნიას და მის გარშემო მდებარე 14 სხვა ქალაქს, რომლებსაც ის სასტიკად არბევს. თავისი მეფობის მე-3 წელს სალმანასარს სასტიკი შეტაკება მოუხდა არამესთან, რომელიც, როგორც სალმანასარი ამბობს, ჯარების მრავალრიცხოვნობის იმედით გამოემართა მასთან შესაბრძოლებლად. სალმანასარი ამბობს,

რომ მან დაამარცხა არამეს ეს მრავალრიცხოვანი ლაშქარი და 3400 მეომარი მოუკლა მას. ამ ლაშქრობის დროს სალმანასარმა აიღო ურარტუს მეფის არამეს „სამეფო ქალაქი" (ე. ი. საშეფო რეზიდენცია, დედაქალაქი) არზაშქუ, რომელიც ვანის ტბის ჩრდილოეთით მდებარეობდა. სალმანასარ III იხსენიებს არამეს კიდევ თავის მეფობის მე-15 წელს: იგი ამბობს, რომ მან დაარბია, დაანგრია, ცეცხლს მისცა ურარტუს მეფის არამეს ქალაქები.

ურარტუსთან ბრძოლის თემას საპატიო ადგილი უკავია აგრეთვე სალმანასარ III-ის დროის სახვითი ხელოვნების ძეგლებში: კერძოდ, ბალავატის გორაკზე, სალმანასარ III-ის სასახლის ნანგრევებში ნაპოვნი ჭიშკრის ბრინჯაოს გარსამოსზე არის რელიეფები (სათანადო წარწერებით), რომლებზედაც გამოსახულია ურარტუს მეფე არამეს ერთ-ერთი სიმაგრის, სუგუნიას, აღების ეპიზოდი. აქვეა გამოსახული არამეს დედაქალაქის არზაშქუს აღების ეპიზოდი და სხვა. ასურნასირპალ II-ის (884 – 860) წარწერებში კი, რომელიც ნაირის მხარეში ლაშქრობათა ენერგიულობით სრულიადაც არ ჩამოუვარდებოდა თავის მემკვიდრე სალმანასარ III-ეს, როგორც ვთქვით, სრულიად არ ჩანს ურარტუსთან შეტაკება. ეტყობა, ისეთი დიდი და ძლიერი ურარტუს სამეფოს ჩამოყალიბება, რომელსაც ჩვენ სალმანასარ III-ის დროს ვხედავთ, სწორედ ასურნასირპალ I-ის მეფობის დასასრულისა და სალმანასარ III-ის მეფობის დასაწყისში უნდა მომხდარიყო.

საყურადღებოა, რომ ამავე ხანაში ნაირის მხარეში, ურარტუს სამეფოს გარდა, ყალიბდება ნაირის ხალხთა კიდევ სხვა არა ერთი მსხვილი გაერთიანება, რომელთა შორის პირველ რიგში უნდა აღინიშნოს ნაირი-ხუბუშქიასა და მანას მსხვილი სამეფოების ჩამოყალიბების ფაქტი.

ბ. ნაირი-ხუბუშქიას სამეფო

ხუბუშქიას სამეფო ვანის ტბის სამხრეთით მდებარე ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა. სალმანასარ III-ის (860—825) წარწერებში ხუბუშქია ხშირად იხსენიება. უკვე თავისი მეფობის

დასაწყისში სალმანასარ III-ეს სასტიკი შეტაკება უხდება ხუბუშქიას მეფე კაკიასთან, რომელსაც ის „ნაირის ქვეყნის მეფეს“ უწოდებს. მეფობის მე-3 წელს სალმანასარ III კვლავ ეომება ამავე კაკიას. ასურეთის მეფე მოგვითხრობს ამ კაკიას ერთ-ერთი სიმაგრის შილაიას აღების შესახებ; სალმანასარი იკვეხნის, რომ მან დახოცა მოწინააღმდეგის ბევრი მეომარი, 3000 კაცი ტყვედ ჩაიგდო და სხვ.

ხუბუშქიას მეფესთან სალმანასარ III-ის ბრძოლების აღწერა ცხადყოფს, რომ მეფე კაკიას სახით ჩვენ ძლიერ ხელისუფალთან გვაქვს საქმე და მის შეტაკებას ასურეთის მეფესთან სერიოზული ბრძოლების ხასიათი აქვს. ამის შესახებ ლაპარაკობს აგრეთვე ის გარემოება, რომ სალმანასარ III ხუბუშქიას მეფეს „ნაირის ქვეყნის მეფეს“ უწოდებს. ამის შემდეგ ასურული წყაროები ხუბუშქიას მეფეებს უკვე სისტემატიურად უწოდებენ „ნაირის მეფეებს“, ხუბუშქიას სამეფოს ტერიტორიას კი—„ნაირის ქვეყანას“. „ნაირი“, როგორც ზემოთ აღნიშნული გვაქვს, ასურელებისათვის მეტად მრავლის მომცველი სახელი იყო, იგი ვანის ტბის ირგვლივ მდებარე ვრცელი ტერიტორიის ზოგად სახელს წარმოადგენდა. ის, რომ სალმანასარ III ხუბუშქიას მეფეს „ნაირის მეფეს“ უწოდებს, რასაკვირველია, იმას არ ნიშნავს, რომ მართლა ნაირის მთელ ტერიტორიაზე განივრცობოდა ხუბუშქიას მეფის ხელისუფლება, რომ მართლა ნაირის მთელ ტერიტორიას მოიცავდა ხუბუშქიას სამეფო. არა, აქ ჩვენ, უეჭველია, თვით ცნება „ნაირის“ მნიშვნელობის გარკვეულ დავიწროებასთან გვაქვს საქმე, როდესაც ასურელები „ნაირის მეფეებს“ უწოდებენ ნაირის ყველაზე სამხრეთით მდებარე ტერიტორიაზე ჩამოყალიბებული მსხვილი ერთეულის მეთაურებს, მათ საგამგებლოს კი—„ნაირის ქვეყანას“. მიუხედავად ამისა, სალმანასარ III-ის დროს ხუბუშქიას მეფისათვის „ნაირის მეფის“ სახელწოდების მიკუთვნება, უეჭველია, აგრეთვე იმას მოწმობს, რომ აქ ჩვენ საკმაოდ ძლიერ ხელისუფალთან, საკმაოდ მსხვილი ერთეულის მეთაურთან გვაქვს საქმე. სალმანასარ III-ის მამის, ასურნასირპალ II-ის წარწერებში კი ხუბუშქიას სამეფო ასეთი მსხვილი და ძლიერი არ ჩანს. ეტყობა, სწორედ ასურნასირპალ II-ის მეფობის დასასრულისათვის

ჰოუხერხებიათ ხუბუშქიას მმართველებს თავის გარშემო ვრცელი ტერიტორიის შემომჯიდროება, დიდ ტერიტორიაზე გაუვრცელებიათ თავისი ჰეგემონობა.

ხუბუშქიას სამეფოს მოსახლეობა, როგორც ფიქრობენ, ხური-ურარტული უნდა ყოფილიყო. ამრიგად, აქ ჩვენ ხური-ურარტელი ტომების ერთ-ერთ მსხვილ გაერთიანებასთან გვაქვს საქმე.

3. მანას ტომთა გაერთიანებების წარმოქმნა ურმიის ტბის რაიონში

ამავე ხანაში, ნაირის სამხრეთ-აღმოსავლეთში, ურმიის ტბის რაიონში, უნდა ჩამოყალიბებულიყო კიდევ ერთი მსხვილი გაერთიანება—მანას სამეფო. „მანა“ გარკვეული ეთნიკური ელემენტის, ხალხის სახელი იყო. მანას ხალხი ფართო ტერიტორიაზე იყო გავრცელებული ურმიის ტბის სამხრეთითა და აღმოსავლეთით (შეიძლება მის ჩრდილოეთითაც). მანას ხალხიც ეთნიკურად „აზიანური“ (კავკასიოიდური) მოდგმისა იყო. მანასთან დაკავშირებულ ონომასტიკონში გვხვდება ხური-ურარტული ელფერის სახელებიც (ასეთია, მაგალითად, მანას სამეფო სახლის წარმომადგენლების—ახშერის, ერისინის სახელები, მანას ერთ-ერთი ციხე-სიმაგრის სინიხინის სახელი და სხვ.) მაგრამ ირანულ სამყაროსთან სიახლოვის გამო, უკვე ამ დროს იწყება მანას მოსახლეობაში ირანული ელემენტის შეღწევა, საწყისი ეძლევა მანას მოსახლეობის ირანიზაციის პროცესს, რომელიც შემდეგში, მიდია-სპარსეთის ჰეგემონობის ხანაში, მეტად შორს მიდის.

მანას შესახებ პირველი ცნობები ჩვენ მოგვეპოვება IX საუკუნის შუახანებში ჩ. წ-მდე, ასურეთის მეფის სალმანასარ III-ის (860—825) წარწერებში. ასურელებმა მანა დალაშქრეს სალმანასარის მეფობის მე-16 წელს; შემდეგ მისივე მეფობის 30-ე წელს მათ კვლავ მოინახულეს მანა. ასურელების ლაშქრის მიახლოებისას მანას მეფე უალქიმ დასტოვა თავისი „სამეფო ქალაქი“ (დედაქალაქი) ზირთა და მთებში გაიხიზნა. ასურელებმა დაარბიეს მისი სამეფოს ტერიტორია, დაანგრიეს და ცეცხლი

წაუკიდეს „ქალაქებს“, ხელთ იგდეს დიდი დოვლათი, კერძოდ მსვხილფეხა და წვრილფეხა პირუტყვი...

მანაელ ტომთა ამ მსხვილ გაერთიანებას, რომელიც, ეტყობა, ამ ხანებში ჩამოყალიბდა, სათავეში უდგანან ქალაქ ზირთას მმართველები. ეტყობა, ზირთას ერთეულის ჰეგემონობით მომზადარა აქ ამ გაერთიანების ჩამოყალიბება. შემდეგში რამოდენიმე საუკუნის განმავლობაში მანას დედაქალაქად მუდამ ეს ქალაქი ზირთა რჩება, რომელსაც მოგვიანო ხანის ასურული წყაროები „იზირთა“-ს („იზირთუს“) უწოდებენ. ირკვევა, რომ სალმანასარ III-ის ხანაში არსებული, ზირთა-იზირთას მეფეების ჰეგემონობით ჩამოყალიბებული მანას გაერთიანება არ მოიცავდა ურმიისპირა რაიონში მცხოვრებ ყველა მანაელ ტომს. მთელი რიგი მანაური ერთეულები ამ დროს დამოუკიდებელ პოლიტიკურ ცხოვრებას ეწეოდნენ, არ იყვნენ შესული მანას ტომთა იმ გაერთიანებაში, რომლის სათავეშიც ზირთას მმართველები იდგნენ. ასე მაგალითად, ამავე სალმანასარ III-ის დროს მანას გვერდით იხსენიება ხარუნას მეფის შულუსუნუს სამეფო. ამ ერთეულის მოსახლეობა ტომობრივად, ეთნიკურად აგრეთვე მანაური უნდა ყოფილიყო, რამდენადაც მისი მეფის სახელისდა მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ (მსგავსი სახელის მქონე პიროვნებებს მანას სამეფო სახლშიც ვხვდებით). ეტყობა, რომ ამ დროს ურმიისპირა რაიონში საქმე გვაქვს მანაელ ტომთა არა ერთ, არამედ რამდენიმე მსხვილ გაერთიანებასთან. მათ შორის, უეჭველია, ადგილი ექნებოდა ბრძოლას ჰეგემონობისათვის, ადგილი ექნებოდა გარკვეულ დაპირისპირებას. შეიძლება ამ მოვლენის გამოხატულებაა უალქისა და შულუსუნუს სხვადასხვაგვარი დამოკიდებულება მათ ქვეყანაში შეპრილ ასურელებთან: მაშინ, როდესაც უალქი (მანაელ ტომთა უფრო ძლიერი გაერთიანების მეთაური) შეურიგებელ პოზიციაზე იდგა, არ ემორჩილებოდა ასურელებს, მანაელ ტომთა მეორე გაერთიანების სათავეში მდგომი შულუსუნუ დაემორჩილა მათ, იკისრა მათთვის ხარკის მიცემა და ასურელთა მხარდაჭერით დაიმკვიდრა თავისი ქვეყანა.

შეიძლება ამ დროს ურმიის ტბის რაიონში არსებობს მანაელ ტომთა კიდევ სხვა, მესამე, მსხვილი გაერთიანება: IX

საუკუნის ასურული წყაროები მანას მეზობლად ხშირად იხსენიებენ მესის (მისის) ქვეყანას. ეს ქვეყანა პოლიტიკურად მანასაგან ამ ხანებში სრულიად დამოუკიდებელი ჩანს, მხოლოდ სარგონ II-ის (722—705) დროს იგი ან მისი მნიშვნელოვანი ნაწილი უკვე მანას სამეფოს ფარგლებშია მოქცეული. რამდენადაც ზოგი ფაქტის მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ, ამ მესი-მისის ქვეყნის მოსახლეობაც ეთნიკურად მანაური ან მანაელებთან ახლო მდგომი უნდა ყოფილიყო. ურმიისპირა რაიონში ასურნასირპალ II—სალმანასარ III-ის ხანაში ჩამოყალიბებულ მანაელ ტომთა ამ მსხვილ გაერთიანებებს ბრძოლა უხდებათ არა მარტო მეზობელი ძლიერი სახელმწიფოების (ასურეთის, მერე აგრეთვე ურარტუს) ლაშქართან, არამედ მათ სასტიკი ბრძოლები აქვთ ურთიერთ შორისაც. ამ ბრძოლაში წარმატება, როგორც მოგვიანო ხანის ვითარება გვიჩვენებს, ქალაქ იზირთას ჰეგემონობით არსებული მანაური გაერთიანების მხარეზეა. იზირთას სამეფო სახლის წარმომადგენლები ახერხებენ თავის სამფლობელოთა მნიშვნელოვან გაფართოებას, ბევრი მეზობელი მანაური თუ არამანაური თემის შემოერთებას.

* * *

ამრიგად, როგორც დავინახეთ, ასურნასირპალ II და სალმანასარ III-ის ხანაში (IX ს. შუახანებში ჩ. წ-მდე), ნაირი-ურარტუს მხარეში ყალიბდება მთელი რიგი მსხვილი და ძლიერი პოლიტიკური ერთეულები (ურარტუს სამეფო, ნაირი-ხუბუშქიას სამეფო, მანაელ ტომთა გაერთიანებანი და სხვ.). ეს გარემოება არაა შემთხვევითი. ასურნასირპალ II—სალმანასარ III-ის ხანა საყურადღებო მომენტია ასურეთის ისტორიაში. ცნობილია, რომ ტიგლათფილესერ I-ის (1115—1077) შემდეგ ასურეთის ძლიერება სწრაფად დაეცა. ამის შემდეგ დიდი ხნის განმავლობაში ასურეთი დასუსტებული იყო და არ შეეძლო მეზობლების მიმართ შეტევითი პოლიტიკის წარმოება. პირიქით, ახლა ის იძულებული იყო მძიმე თავდაცვითი ბრძოლები ეწარმოებინა და ცდილობდა მოეგერიებინა მეზობელი ხალხების, მათ შორის უმთავრესად არამეელების, შემოტევა. ეხლოლ

X საუკუნის დასასრულისათვის ასურეთმა მოახერხა ფეხზე წამოდგომა და უკვე წარმატებით მოგერიება არამეელებისა და სხვა მეზობელი ხალხების იერიშებისა. IX საუკუნის პირველ ნახევარში კი, ასურნასირპალ II ის (884—860) დროს, ასურეთმა დაიბრუნა თავისი ძველი ძლიერება, იგი კვლავ ძლევამოსილ სახელმწიფოდ და მეზობლების რისხვად გადაიქცა.

ასურეთის ამ გაძლიერებამ პირველყოვლისა იმაში იჩინა თავი, რომ გაიზარდა ყოველი მიმართულებით (და მათ შორის ჩრდილოეთითაც) ასურელთა ლაშქრობების ინტენსივობა. ასურნასირპალ II თავისი მეფობის განმავლობაში მრავალგზის ლაშქრობდა ჩრდილოეთში, ნაირის მხარეში, მის დროს ნაირის ხალხები ხშირად განიცდიდნენ ასურელთა თავდასხმებს.

ასურნასირპალ II-ის ეპოქა და თვით ასურეთის ამ მეფის პიროვნება ჩვენთვის სხვა მხრივაც საინტერესოა. ასურეთი სამხედრო სახელმწიფო იყო, ასურელთა საზოგადოება მეომართა საზოგადოებას წარმოადგენდა. ასურეთის თითქმის ყველა მეფე მოლაშქრეობის სიყვარულითა და დამარცხებულთადმი დიდი სისასტიკის გამოჩენით ხასიათდებოდა. აი ამ მხედრების ქვეყანაში, თავისი მეომრობითა და სისასტიკით განთქმულ მეფეთა შორისაც, ასურნასირპალ II-ეს უცილობლად პირველი ადგილი უჭირავს მოლაშქრეობასა და სისასტიკეში. მისი დროის წერილობითი თუ სახვითი ხელოვნების ძეგლები მას გვიხატავენ, როგორც მრისხანე და სისხლისმსმელ მბრძანებელს. მისი ლაშქარი მარტო დამარცხებულთა გაჟლეტით არ კმაყოფილდებოდა: დამარცხებული ქვეყნის მოსახლეობას ასურნასირპალი მასობრივად ცოცხლად სარზე აცვამდა, კედელში ატანდა, თვალებს სთხრიდა, ხელებს, თითებს, ცხვირსა და ყურებს სჭრიდა, ცოცხლად ცეცხლში სწვავდა (მეტადრე ახალგაზრდა ვაჟებსა და ქალებს) და, რაც განსაკუთრებით აღსანიშნავია, არა მარტო დამარცხებული ქვეყნების ბელადებს, არამედ სხვა მრავალსაც ცოცხლივ ტყავს აძრობდა და მათ ტყავს ხალხის დასაშინებლად მათი ან ასურეთის ქალაქების კედლებზე გადაჰფენდა ხოლმე. ასურნასირპალის ასეთი სისასტიკის აღწერით სავსეა მისი წარწერები (კერძოდ, ის ადგილებიც, სადაც ნაირის ქვეყნებში ლაშქრობებია აღწერილი), იგივე ჩანს ასურ-

ნასირპალის დროის სახვითი ხელოვნების ძეგლებშიც. ქალაქ კალხუში მისი სასახლის კედლები აჭრელებული ყოფილა რელიეფებით, როშლებიც სწორედ დაპყრობილ ქვეყნებში ასურელთა მიერ ჩადენილ სისასტიკეთა გამოსახულებებს იძლევიან. ამ სახის ათასგვარ სცენებს ვხვდებით ჩვენ იქ, მათ შორის ხშირად აგრეთვე ცოცხალი ადამიანისათვის ტყავის გაძრობის სცენებსაც.

ასურნასირპალ II-ის მემკვიდრის, სალმანასარ III-ის (860—825) მეფობაში კიდევ უფრო ინტენსიური ხდება ასურელთა შეტევა ნაირის ქვეყნებზე. სალმანასარს თავისი მოქმედება გადააქვს ნაირის ჩრდილოეთით მდებარე რაიონებში, ამასთანავე მის ლაშქრობებსაც თან სდევდა დამარკხებულთადმი ისეთივე მხეცური სისასტიკე, როგორიც დამახასიათებელი იყო ასურნასირპალ II-ისთვის: სამოსახლო ადგილების გადაწვა, გაჟლეტილი ხალხის თავებისაგან პირამიდების აგება, სარზე ჩამოცმა, ახალგაზრდა ქალებისა და კაცების ცეცხლში დაწვა... მხოლოდ ცოცხლად ტყავის გაძრობისა და სხეულის ცალკეული ნაწილების დაზიანების შესახებ არაფერი ისმის მის წარწერებში.

როგორც ვხედავთ, ასურნასირპალ II და სალმანასარ III-ის ხანა ნაირის მხარეში ასურელების თარეშის ინტენსივობის მკვეთრი ზრდის ხანაა. ბუნებრივია, ამას ნაირის ხალხების მხრივ სათანადო რეაქცია უნდა გამოეწვია. შესაძლებელია, სწორედ ამან მისცა ბიძგი ნაირის ხალხთა მსხვილი გაერთიანებების ჩამოყალიბებას (ურარტუს სამეფო, ხუბუშქიას სამეფო, მანაელ ტომთა გაერთიანებანი და სხვ.). ასურნასირპალ II — სალმანასარ III-ის ხანაში წარმოქმნილი ურარტუს სამეფოც ურარტელი ტომების ერთი ასეთი მსხვილი გაერთიანებაა.

2. ტუშფა-ბიაინის მმართველების მოძცევა ურარტუს სამეფოს სათავეში

ურარტუს პირველ მეფედ ასურული წყაროები არამეს ასახელებენ. ეტყობა, სწორედ ამ არამეს ერთეულის, ერთ-ერთი ურარტელი ტომის, ჰეგემონობით მომხდარა ურარტელი ტო-

შების მსხვილი გაერთიანების წარმოქმნა. ურარტუს ახლადაღმოცენებული სამეფოს ჰეგემონი ტომის-არამეს ერთეულის ძირითადი ტერიტორია იმყოფებოდა ვანის ტბის ჩრდილოეთით. კერძოდ აქ, ვანის ტბის ჩრდილოეთით, იყო მეფე არამეს რეზიდენცია, მისი „სამეფო ქალაქი“ არზაშქუ.

ურარტელ ტომთა ამ ახლადაღმოცენებული გაერთანების ჰეგემონი ერთეულის, არამეს მკვიდრი ერთეულის, ტერიტორია მდებარეობდა ნაირის მხარეში ასურელების ლაშქრობათა ტრადიციული მიმართულების სფეროში. ვანის ტბის რაიონი სამხედრო თვალსაზრისით სამხრეთიდან, სამხრეთ-დასავლეთიდან და სამხრეთ-აღმოსავლეთიდან მიუვალია. ამ მხრივ იგი შემოზღუდულია მაღალი, ძნელად გასავალი მთის ქედებით. ვანის ტბის რაიონში, ნაირის მხარის ამ უბანში, ასურელები ჩვეულებრივ სხვა მხრიდან ლაშქრობდნენ: მიემართებოდნენ ვანის ტბის დასავლეთი სანაპიროების გასწვრივ, გადადიოდნენ მდ. არცანიაზე (დღევ. მურად-სუ) და ვანის ტბას ჩრდილოეთიდან უვლიდნენ, ვანის ტბის ჩრდილოეთით მოქმედებდნენ და უკვე ამის შემდეგ ეშვებოდნენ ვანის ტბის სანაპიროზე (ამ გზით მოეწყო, სხვათა შორის, ტიგლათფილესერ I-ისა და სალმანასარ III-ის დიდი ექსპედიციები ნაირის მხარეში). აქედან ჩანს, რომ ურარტუს გაერთიანების ბელადის, მეფე არამეს, მკვიდრი ერთეულის ტერიტორია დედაქალაქ არზაშქუიანად (ვანის ტბის ჩრდილოეთით რომ იყო) მდებარეობდა ასურეთის მეფეთა ლაშქრობების ტრადიციული მიმართულების რაიონში. ამ ადგილების მოსახლეობა, უეჭველია, ადრიდანვე მოქცეული იყო ასურელთა ლაშქრობების ორბიტაში და ასურელთა თარეშის სუსხს კარგად იცნობდა. ასეთ ვითარებას არა მცირედ უნდა შეეწყო ხელი იმისათვის, რომ ასურელ მოთარეშეთა წინააღმდეგ მიმართული გაერთიანების ინიციატორად, მეთაურად, არამეს ერთეული გახდა.

ურარტელ ტომთა ამ ახლადაღმოცენებული გაერთიანების ერთ-ერთ წევრს წარმოადგენდა ბ ი ა ი ნ ი ს (ბიაინას) ერთეული, რომლის ძირითადი ტერიტორია იმყოფებოდა ვანის ტბის აღმოსავლეთ სანაპიროს რაიონში. ბიაინის ერთეულის უმთავრეს პუნქტს წარმოადგენდა ქალაქი ტ უ შ ფ ა, რომელიც ვანის ტბის

სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე, დღევანდელ ქალ. ვანის ადგილას მდებარეობდა.

ქალაქი ტუშფა ურარტელი ტომების ერთ-ერთი უძველესი და უმნიშვნელოვანესი ცენტრი იყო. იგი იყო ურარტუს ღვთაებათა პანთეონში მესამე ადგილზე (ხალდისა და თეიშებას შემდეგ) მდგომი მზის ღვთაება შივინის კულტის უმთავრესი ცენტრი. ბიაინის მოსახლეობა კულტურულ-რელიგიური, პოლიტიკური ცხოვრების ტრადიციებით მჭიდროდ იყო დაკავშირებული უფრო სამხრეთით, ვანის ტბის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორიასთან: იქ იყო მათი უზენაესი ღვთაება ხალდის კულტის უმთავრესი ცენტრი ქალაქი მუსასირი და პანთეონში მეორე ადგილზე მდგომი, ქარიშხლის ღვთაება თეიშებას კულტის უმთავრესი ცენტრი ქალაქი კუმენუ. ბიაინის მოსახლეობა ხმარობდა სწორედ ვანის ტბის სამხრეთ-აღმოსავლეთით, შორს, ზაგროსის მთებში მცხოვრები ლულუბის ხალხის სახელს „მტრის“ ზოგად სახელად, რაც აგრეთვე პოლიტიკური ცხოვრების ტრადიციების მიხედვით უძველეს ხანაში ბიაინის მოსახლეობის სამხრეთის რაიონებთან მჭიდრო კავშირის შესახებ მეტყველებს. ამრიგად, ჩანს რომ ერთ-ერთი ურარტელი ტომის, ბიაინის ტომის პოლიტიკური და რელიგიურ-კულტურული ცხოვრების ცენტრი ძველად უფრო სამხრეთით იყო. ჩრდილოეთით, ქალაქ ტუშფას (დღევანდელ ქალ. ვანის) რაიონში ამ ცენტრის გადმონაცვლება გვიანდელი მოვლენაა. ყოველ შემთხვევაში ურარტელ ტომთა დიდი გაერთიანების, ურარტუს სამეფოს, წარმოქმნის ხანაში (IXს. შუახანები) ბიაინის პოლიტიკური ერთეულის ცენტრი უკვე ტუშფას რაიონში იმყოფება. ურარტელ ტომთა იმ გაერთიანებაში, რომელიც ვანის ტბის ჩრდილოეთით მდებარე არამეს (ქალაქ არზაშქუს მეფის) ერთეულის ჰეგემონობით ჩამოყალიბდა, ბიაინი იყო ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ერთეული.

ზემოთ ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ მეფე არამეს მეთაურობით ახლადწარმოქმნილი ურარტუს სამეფოს ბრძოლების შესახებ ასურეთის მეფე სალმანასარ III თან. არამესთან ბრძოლების აღწერილობა და განსაკუთრებით ის ენაწყლიანობა, რომელსაც

იჩენს სალმანასარ III ამ აღწერისას, იმაზე მიგვითითებს, რომ ასურელებსა და არამეს შორის წარმოებულ ბრძოლაში წარმატება ასურელთა მხარეზე ყოფილა. ეტყობა, ურარტელ ტომთა ეს ახლადწარმოქმნილი გაერთიანება არამეს ერთეულის ჰეგემონობით დამარცხებას განიცდის.

ასურელებთან ბრძოლაში განცდილმა ამ მარცხებმა, როგორც ჩანს, გაერთიანების ჰეგემონი ერთეულის დაქვეითება გამოიწვია, რასაც შედეგად მოჰყვა გაერთიანების შიგნით არამესა და მისი ერთეულის ხელმძღვანელი მდგომარეობის შერყევა. ჰეგემონობა გადავიდა გაერთიანების მეორე მნიშვნელოვანი ერთეულის — ბიაინის ხელში, რომელმაც, ეტყობა, ამასობაში უფრო მეტი სამხედრო ძლიერება და უნარი გამოიჩინა და სტიქიურად მოიპოვა ხელმძღვანელი ადგილი, ჰეგემონობა. არამეს შემდეგ ურარტუს გაერთიანების სათავეში ბიაინის (რომლის ცენტრიც იყო ქალაქი ტუშფა) მეფეები მოექცენ. ამრიგად, ურარტუს სამეფოს სათავეში ექცევა ტუშფა—ბიაინის დინასტია, რომელიც შემდეგში რამდენიმე საუკუნის მანძილზე, თვით ურარტუს სამეფოს დაცემამდე, მართავს ურარტუს.

სალმანასარ III-ის (860—825) მეფობის მე-15 წელს ურარტუს სათავეში ჯერ კიდევ არამე დგას, მაგრამ, როდესაც ამავე სალმანასარ მეფის მეფობის 27-ე წელს ასურელებმა კვლავ გაილაშქრეს ურარტუს წინააღმდეგ, ურარტუს მეფედ ისინი ასახელებენ უკვე სედურის. ეს სედური ბიაინის დინასტიის მეფე იყო. მას რეზინდენცია ტუშფაში ჰქონდა. ჩვენამდე მოაღწია ქალაქ ტუშფაში (დღევანდელი ქალ. ვანი) ამ სედურის მიერ დატოვებულმა რამდენიმე წარწერამ, სადაც ლაპარაკია მის მიერ აქ წარმოებული აღმშენებლობის შესახებ. ესაა ურარტუს მეფეთა უძველესი წარწერები, რომლებმაც ჩვენამდე მოაღწიეს (არამეს წარწერები ჩვენ არ გვაქვს). თავის თავს ურარტუს ეს მეფე სარდური ლუთიფრის-ძეს უწოდებს. სარდური ლუთიფრის-ძე ურარტუს სამეფოში ტუშფას, ბიაინის დინასტიის დამწყები მეფეა. მისი მამა ლუთიფრი შეიძლება ჯერ კიდევ მხოლოდ თავისი ერთეულის, ბიაინის მეფე-ბელადი იყო და არა მთელი ურარტუს გაერთიანების სათავეში მდგომი პირი.

სარდური ლუთიფრის-ძე, ეტყობა, უკვე დიდი პრეტენ-ზიების მქონე ხელისუფალია. თავის წარწერებში იგი თავს იმკობს ასურეთის მეფეებისგან შეთვისებული ბრწყინვალე ტიტულატურით და თავის თავს „ნაირის ქვეყნის მეფეს“ უწოდებს. ქალაქ ვანის ტერიტორიაზე, ურარტული ხანის ციხე-სიმაგრის საამშენებლო ქვებზე ამოკვეთილია მისი სამი, ძირითადად ერთმანეთის იდენტური, წარწერა ასურულ ენაზე, სადაც ნათქვამია: „წარწერა სარდური ლუთიფრის-ძისა, დიდი მეფის, სწორუპოვარი მეფის, საკვირველი მწყემსის, რომელსაც არ აშინებს არავითარი წინააღმდეგობა, მეფისა, რომელიც იქვემდებარებს მათ, ვინც არ ემორჩილება მას. მე ვარ სარდური ლუთიფრის-ძე, მეფე მეფეთა, რომელმაც ყველა მეფისაგან ხარკი მივიღე...“ სალმანასარ III, რომლის ლაშქარსაც მისი მეფობის 27-ე წელს შეტაკება მოუხდა ურარტულ ამ ახალი მეფის ლაშქართან, ამბობს, რომ სედური (სარდური ლუთიფრის-ძე) თავისი მ რ ა ვ ა ლ რ ი ცხ ო ვ ა ნ ი ლაშქრის იმედით გამოემართაო ჩემთან საბრძოლველად.

3. ახლადწარმოქმნილი ურარტუს სამეფო და ნაირის მსხვილი ერთეულები

ა. მუსასირი და ურარტუ

ვანის ტბის სამხრეთ-აღმოსავლეთით, დღევანდელ ქალაქ როვანდუზის რაიონში, მდებარეობდა ქალაქი, რომელსაც ასურელები მუსასირს, ხოლო ურარტელები არდინის ეძახდნენ. ეს ქალაქი ურარტელი ტომების, ყოველ შემთხვევაში ურარტუს ახლად ჩამოყალიბებული სამეფოს სათავეში მოქცეული ბიაინის ტომის საღვთო ქალაქს წარმოადგენდა — მისი უზენაესი ღვთაება ხალდის კულტის უმთავრესი ცენტრი იყო. აქ იყო ღვთაება ხალდის უმთავრესი ტაძარი, რომელსაც ურარტუს მეფეები დიდძალ პირუტყვსა და ათასგვარ განძეულობას სწირავდნენ, სადაც თავიანთ ქანდაკებებსა სდგამდნენ, ხშირად მოდიოდნენ ამ წმინდა ადგილის თაყვანის საცემად

და სხვ. მუსასირის მახლობლად, მდინარე ზედა ზაბის შუა დინების რაიონში იყო ურარტელთა მეორე უმთავრესი ღვთაების, ქარიშხლის ღვთაება თეიშებას, კულტის უმთავრესი ცენტრი—ქალაქი კუმენუ.

მუსასირის რაიონი ურარტელი ტომების, კერძოდ, ურარტელი ბიაინის ტომის კულტურულ რელიგიური ცხოვრების ცენტრად უნდა გამხდარიყო უკვე ადრეულ ხანაში. მოგვიანო ხანებში, იმ ეპოქაში, რომლის შესახებაც ჩვენ ამჟამად ვსაუბრობთ (ურარტუს სამეფოს წარმოქმნის ხანა-IX ს. ჩ. წ-მდე და მომდევნო პერიოდი), მუსასირი ურარტუსაგან (ბიაინისაგან) იმდენად განცალკავებითა დგას პოლიტიკურად, კულტურულ-რელიგიურად, ეთნიკურად, რომ საეჭვოა ასეთ დროს გამხდარიყო იგი ურარტუ-ბიაინის ხალხის წმინდა ქალაქი. მუსასირი ურარტელი ტომების ადგილსამყოფელის პერიფერიაზე მდებარეობდა. აღმოსავლეთით მის მეზობლად ირანელი ტომები ცხოვრობდნენ, სამხრეთით კი სემიტი ასურელები. უცხო სამყაროსთან ასეთი სიახლოვის გამო მუსასირი დროთა განმავლობაში ბევრ რამეში (კულტურის, რელიგიის სფეროში და სხვ.) ემორჩილება ამ უცხო (ირანულ, ასურულ) გავლენას და, ამასთანავე, მუსასირის ტერიტორია, ეტყობა, ხალხთა გარკვეული შერევის ასპარეზიც კი გახდა. მუსასირის ხური-ურარტულ მოსახლეობას, ეტყობა, შეერია რომელიღაც ირანელი ტომი ან მისი ნაწილი. ამის გამოხატულება უნდა იყოს ის გარემოება, რომ ამ ირანელი ტომის ღვთაება—ქალღმერთი ბაგმაშთუ (რომლის სახელიც ირანულ ელფერს ატარებს) მთელი მუსასირის მოსახლეობის თაყვანისცემის ობიექტი გამხდარა. კიდევ უფრო მეტი: აქ იგი „დააქორწინეს“ მუსასირის და მთელი ურარტუს უზენაეს ღვთაება ხალდზე, ხალდის მეუღლედ გამოაცხადეს.

ურარტუს სამეფოს არსებობის ხანაში მუსასირის მოსახლეობაში ფართოდ გავრცელებული ჩანს ასურული ენა და ასურული კულტურაც. აქაური მმართველები თავის წარწერებს ასურულ ენაზე ადგენენ; თვით ურარტუს მეფეებიც, როდესაც მუსასირის ტერიტორიაზე თავის წარწერებს სტოვებენ, მას მუდამ ორ ენაზე—ურარტულ და ასურულ ენებზე

ადგენენ; ამით, ალბათ, ანგარიშს უწევდნენ აქ ასურული ენისა და კულტურის ფართო გავრცელების მოვლენას. შეიძლება ჩვენ აქ მარტო ასურული სამყაროს კულტურულ გავლენასთან არა გვაქვს საქმე. მოგვიანო ხანის მუსასირში ასურული ენისა და ასურული კულტურის ფართო გავრცელება, შესაძლებელია, ნაწილობრივ აქ მომხდარი ხური-ურარტული და ასურული ტომების შერევის შედეგიცაა. ცნობილია, რომ ენით სემიტი ასურელები ანთროპოლოგიურად, ფიზიკური ტიპით, ნარევ ხალხს, სემიტური ელემენტისა და „აზიანური" ხური—სუბარული ელემენტის შერევის პროდუქტს წარმოადგენდნენ. ასეთი ნარევი ხალხის ჩამოყალიბებას საფუძველი შეუქმნა სემიტური და ხური-სუბარული ელემენტის მრავალსაუკუნოვანმა მეზობლობამ და ინტენსიურმა ურთიერთობამ. საუკეთესო ასპარეზს ასეთი შერევისათვის, რასაკვირველია, სასაზღვრო რაიონები წარმოადგენდა და მუსასირი სწორედ ხური-ურარტული და ასურული სამყაროს საზღვარზე მდებარე ერთი ასეთი რაიონი იყო.

ამრიგად, ურარტული ელემენტის ერთ-ერთ უძველეს და უმნიშვნელოვანეს კერაში, მუსასირში, ეტყობა დროთა განმავლობაში ადგილობრივ ხური-ურარტულ მოსახლეობას შეერწყა მეზობელი ირანული, ასურული და შეიძლება კიდევ სხვა ეთნიკური ელემენტის გარკვეული ნაკადი, რომელმაც ასიმილაცია განიცადა ადგილობრივ ელემენტთან, თუმცა ბევრი რამ თავისიც (რელიგიაში, კულტურაში და სხვ.) მიაღებინა ამ ადგილობრივ ხური-ურარტულ მოსახლეობას.

მოგვიანო ხანის მუსასირში გაბატონებული მაინც ურარტული ენა ჩანს, თუმცა იგი ზოგ რამეში უკვე განცალკევებას იჩენს, დიალექტურ განსხვავებებს ავლენს ურარტუს ცენტრალური რაიონების, ტუშფა-ბიაინის ურარტული ენისაგან.

ამრიგად, მოგვიანო ხანის, ურარტუს სამეფოს ხანის, მუსასირი მნიშვნელოვნად განსხვავდება (კულტურის, რელიგიის, ენის მხრით) ურარტუ-ბიაინისაგან. რა თქმა უნდა, მუსასირი ასეთ დროს ვერ გახდებოდა ურარტუ-ბიაინის ხალხის საღმრთო ქალაქი, მათი უზენაესი ღვთაების კულტის ცენტრი. ეს, ალბათ, ბევრად უფრო ძველ დროში მოხდა, როდესაც

მუსასირის ტერიტორია იმავე ბიაინის ტომს ეკავა, რომელმაც შემდეგში ურარტუს მისცა ტუშუას მეფეთა დინასტია. მაგრამ დროთა ვითარებაში ამ ტომის სამხრეთი (მუსასირის) შტო თანდათან სცილდება ენით, კულტურით, ეთნიკური შემადგენლობით თავის ჩრდილოეთის თანამოძმეს.

ყველა ამასთან ერთოდა პოლიტიკური განცალკავებისაკენ მისწრაფება, რამაც თავისი გამოხატულება იმაში ჰპოვა, რომ მუსასირი არ შესულა IX საუკუნის შუახანებში წარმოქმნილ ურარტელ ტომთა დიდ გაერთიანებაში (ურარტუს სამეფოში), სადაც ჰეგემონობა სულ მალე ბიაინიმ მოიპოვა. ეს ფაქტი კარგად ჩანს ასურეთის მეფის სალმანასარ III-ის წარწერების ერთი ცნობის საფუძველზე. მის დროს ასურულ წყაროებში „ურარტუს" სახელწოდება ერთ გარკვეულ პოლიტიკურ ერთეულს, ამ ხანებში ჩამოყალიბებულ ურარტუს სამეფოს, აღნიშნავს და რაკი სალმანასარ III-ის მეფობის დამლევს ცალ-ცალკეა დასახელებული „ურარტუს ქვეყანა" და „მუსასირის ქვეყანა", ეს იმას ნიშნავს, რომ მუსასირის მოსახლეობა ურარტელ ტომთა გაერთიანების გარეშე დარჩენილა. ამ დროს ჩვენ საქმე გვაქვს ურარტუს სამეფოს მეზობლად ქალაქ მუსასისირის ჰეგემონობით არსებულ ცალკე სამთავროსთან, ცალკე პოლიტიკურ ერთეულთან. მაგრამ, მალე, როგორც ქვემოთ დავინახავთ, მუსასირის ეს სამთავრო ურარტუ-ბიაინის მეფეთა იმპერიის ფარგლებში მოექცა, ურარტუს მეფეთაგან დამოკიდებული ვასალური ერთეული გახდა.

ბ. ურარტუ და დაიაენის (დიაუხის) სამეფო

საინტერესოა, რა შეიცვალა ახალ ვითარებაში ნაირის ერთი უმნიშვნელოვანესი ერთეულის, დაიაენის (დიაუხის) სამეფოს მდგომარეობაში. საქართველოს სამხრეთ-დასავლეთში მდებარე ეს დიდი ერთეული, როგორც ვთქვით, ნაირის მხარეში უძლიერესი ერთეული იყო ურარტუს სამეფოს წარმოქმნის წინა ხანაში. იგი მნიშვნელოვან ძალად ჩანს ურარტუს სამეფოს წარმოქმნის ეპოქაშიც, სალმანასარ III-ის (860—825) ხანაშიც. სალმანასარ III ის წარწერებში რამდენიმეჯერ იხსენიება ასურელთა მიერ დაიაენის ქვეყნის დალაშქვრა. სალმა-

ნასარ III დაიაენის ქვეყანა დალაშქრა უკვე თავისი მეფობის მე-3 წელს. ამ ლაშქრობისას ასურელთა ლაშქარი ენზითეს ქვეყნის გავლის შემდეგ გადავიდა მდინარე არცანიაზე (დღევ. მურადსუ) და სუხმეს ქვეყანაში შევიდა. აქედან კიდევ ასურელები დაიაენის ქვეყანაში გადავიდნენ. „სუხმეს ქვეყნიდან წავედი, დაიაენის ქვეყანაში ჩავედი,—ამბობს სალმანასარ III,—დაიაენის ქვეყანა მთლიანად დავიპყარი, მათი ქალაქები დავანგრიე, დავარბიე, მე მათ ცეცხლი წავუკიდე. დიდძალი ნადავლი, მათი ქონება (და) დოვლათი წამოვიღე. დაიაენის ქვეყნიდან წამოვედი, არზაშქუს, ურარტელ არამეს სამეფო ქალაქს მივუახლოვდი...". ამ დროსაც ურარტუს სამეფოს მეზობლად მდებარე დაიაენი, ჩანს, დიდი და მნიშვნელოვანი ერთეული იყო. სალმანასარ III-ის წარწერებში დიდი ადგილი უკავია დაიაენის დაპყრობის ფაქტის აღნიშვნას; თავის სამეფო ტიტულატურაშიც კი აღნიშნავს სალმანასარი, რომ იგი დაიაენის დამპყრობელია. ეტყობა, ამისი აღნიშვნა მას თავის განმადიდებელ ფაქტად მიაჩნია.

დაიაენის ქვეყანას სალმანასარ III იხსენიებს კიდევ თავისი მეფობის მე-15 წელს: სალმანასარი აღნიშნავს, რომ ურარტუს მეფის არამეს ქალაქების დარბევის შემდეგ მან მიაღწია ევფრატის სათავეებს; აქ მასთან გამოცხადდა მორჩილად დაიაენის მეფე ასია და ხარკი მიართვა მას. თუ გავითვალისწინებთ ამ დროისათვის შექმნილ ვითარებას, შეიძლება ვიფიქროთ, რომ დაიაენის მეფის მორჩილად და ხარკით გამოცხადების ფაქტი ასურეთის მეფესთან, შემთხვევითი არ უნდა იყოს. იმ სიენის შთამომავალი, რომელიც ტიგლათფილესერ I-ის (1115—1077) დროს სათავეში ედგა ასურეთთან ნაირის ხალხების ბრძოლას, რომელიც თვით დატყვევების შემდეგაც კი მორჩილების აღთქმის მიცემაზე უარს ეუბნებოდა ასურეთის მეფეს, როგორც ჩანს, უომრად მორჩილდება (არაფერია ნათქვამი საომარ შეტაკებაზე!), თვით ცხადდება სალმანასარ III-თან და ძღვენს მიართმევს მას. უნდა ვიფიქროთ, რომ აქ მარტო ასურელებისადმი შიში როდი მოქმედებდა: შესაძლებელია აქ შეცვლილი ვითარების შესაბამისად ასურეთ-დაიაენის ურთიერთობაში მომხდარი გარდატეხის მომენტია

დაჭერილი: ამ დროს, როგორც ვნახეთ, ასურეთის ჩრდილოეთით, დაიაენის მეზობლად, ყალიბდება ურარტელ ტომთა მსხვილი გაერთიანება-ურარტუს სამეფო. მისი სახით დაიაენის მოსახლეობას მეტად საშიში მეზობელი გაუჩნდა. ამის გამო დაიაენის მმართველები ასურეთს იმ ძალად სთვლიან, რომელზედაც შეიძლება დაყრდნობა ასეთ საშიშ მეზობელთან ბრძოლაში. ურარტუსთან ბრძოლაში დაიაენის მმართველებისათვის ასურეთი ბუნებრივ მოკავშირედ ხდებოდა. ამიტომაც, გასაგებია, რომ ისინი ასურეთის ხელისუფალთა გულის მოგებას ცდილობდნენ. აი სწორედ ასეთი შეცვლილი ვითარების გამოხატულებაა სალმანასარ III-ის მეფობის მე-15 წელს ევფრატის სათაეებთან მომხდარი ამბავი.

მაგრამ, როგორც ქვემოთ დავინახავთ, დაიაენის სამეფოს ვერ უშველა ასურეთზე ორიენტაციის აღებამ და იგი მეზობელი ურარტუს სამეფოს დარტყმებით მალე განადგურდა კიდეც.

4. ურარტუს ძლიერების ხანა (ნაირის მხარე IX ს-ის დასასრულსა და VIII ს-ის პირველ ნახევარში)

IX საუკუნის დასასრულიდან, მას შემდეგ, რაც ურარტუს სათავეში მოექცა ტუშფა-ბიაინის დინასტია, ურარტუს სამეფოს ძლიერება სწრაფად იზრდება. IX საუკუნის დასასრული და VIII საუკუნის პირველი ნახევარი ურარტუს ძლიერების ხანაა. ამ დროს მეფობენ ურარტუში: ზემოხსენებული სარდური ლუთიფრის-ძის შვილი **იშფუინი სარდურის-ძე** (იხსენიება ასურულ წყაროებშიც 824 წელს „უშფინას“ სახელით), მისი შვილი **მენუა იშფუინის-ძე** (810—781), შემდეგ: **არგიშთი მენუას-ძე** (781—760) და **სარდური არგიშთის-ძე** (760—730).

ასურეთი და ურარტუ

IX ს-ის დასასრულსა და VIII-სის პირველ ნახევარში ურარტუს სამეფო ნაირის მხარეში სრულ გაბატონებას აღწევს და თვითონ გადადის შეტევაზე ასურეთის მიმართ. ასურეთსა და

ურარტუს შორის გამართულ ჭიდილში წარმატება ურარტუს მხარეზეა. ურარტუ ახლო აღმოსავლეთის უძლიერესი სახელმწიფო ხდება.

სალმანასარ III-ის (860—825) მეფობის შემდეგ ასურეთი მალე დასუსტდა. მხოლოდ სალმანასარის უახლოესი მემკვიდრეების დროს ასურეთი კვლავ ცდილობდა ნაირი-ურარტუს წინააღმდეგ შეტევითი პოლიტიკა ეწარმოებინა. ასე მაგალითად: სალმანასარ III-ის მემკვიდრემ ასურეთის ტახტზე-შამშიადად V (825—812) თავისი მეფობის დასაწყისში რამდენიმეჯერ გაილაშქრა ნაირის ქვეყნების წინააღმდეგ. განსაკუთრებულ ყურადღებას იგი ურმიისპირა რაიონს აქცევს (მანა, ფარსუა, ზამუა, გიზილბუნდა, მიდიელი ტომები და სხვ.). მეფობის მეორე წელს მისი ლაშქარი ურარტუს ტერიტორიაზეც მოქმედებდა. სამხრეთ-აღმოსავლეთიდან, ურმიისპირა რაიონიდან ასურელები შეიჭრნენ ურარტუს სამეფოს ფარგლებში. ასურეთის მეფე იკვეხნის, რომ მისი ლაშქარი დაეუფლა უშფინას (იგულისხმება ურარტუს მეფე იშფუინი) 11 ციხე-სიმაგრეს და 200 სხვა (მცირე) ქალაქს.

შამშიადად V-ის შემდეგ ასურულ წყაროებში ტიგლათ-ფილესერ III-ის (745 —727) ხანამდე, ვეღარ ვხვდებით ურარტუს წინააღმდეგ ბრძოლების აღწერას. ეტყობა, ურარტუსთან ბრძოლებს ამ დროს ასურელებისათვის მარცხების მეტი არაფერი მოჰქონდა. მათ შორის ბრძოლებს კი ამ პერიოდში არა ერთხელ ჰქონდა ადგილი, ამას ასურული წყაროებიც მოწმობენ, სადაც ეპონიმთა (წლებისათვის სახელის მიმცემ დიდ მოხელეთა) სიებში ჩვენ არა ერთგზის ვხვდებით ამა თუ იმ წლის უმთავრესი ამბის სახით ურარტუსთან ბრძოლის ფაქტის ლაკონიურ აღნიშვნას (ასეა აქ 781, 780, 779, 778, 776, 774 წლების მიმართ). ასურეთთან ბრძოლები იხსენიება ამ დროის ურარტულ წყაროებშიც: ასურეთის ლაშქრის დამარცხებას და ასურეთის ქვეყნის დამორჩილებას იკვეხნის თავის ანალებში ურარტუს მეფე არგიშთი I. მისი მემკვიდრე სარდური II კი აღნიშნავს, რომ მან სძლია „ასურნირარის, ადადნირარის-ძეს, ასურის ქვეყნის მეფეს“.

ამრიგად, IX საუკუნის დასასრულსა და VIII საუკუნის დასაწყისში ასურეთი ურარტუს სამეფოსთან შედარებით მეორეხარისხოვან როლს თამაშობდა, მას ახლა გაძლიერებულ ურარტუს სამეფოსთან, შეტევის ნაცვლად, თავდაცვითი ბრძოლების წარმოება მოუხდა.

* *
*

ამასობაში, თვით ურარტუს სახელმწიფოში დიდი ცვლილებები მოხდა. თავის წარმოქმნა-აღმოცენების ეპოქაში იგი წარმოადგენდა ურარტელი ტომების გაერთიანებას ერთ-ერთი ურარტელი ტომის ჰეგემონობით. ჯერ ასეთი ჰეგემონი იყო მეფე არამეს ერთეული, შემდეგ კი ჰეგემონობა სხვა ერთეულის, ბიაინის ხელში გადავიდა. მას შემდეგ, რაც ასურეთი დასუსტდა და ურარტუს სამეფოს არა თავდაცვითი, არამედ შეტევითი ბრძოლების წარმოება მოუხდა ასურეთისა და განსაკუთრებით მეზობელი მცირე ერთეულების მიმართ, ურარტუს გაერთიანებამ სახე შეიცვალა. ბიაინი, მანამდე გაერთიანების ჰეგემონი, თანდათან გადაიქცა მბრძანებლად და ბატონად, ურარტელ ტომთა გაერთიანება ბიაინის სახელმწიფოდ ხდება.

ტუშფას მეფეები თავისთავს მარტოოდენ თავისი ერთეულის, „ბიაინის ქვეყნის“ მეფეებს უწოდებდნენ. ისინი ახლა ძირითადად თავისი ერთეულის ლაშქარზე დაყრდნობით ატარებდნენ თავის სამხედრო პოლიტიკას, მეზობლების გაძარცვისა და დამორჩილების პოლიტიკას. მართალია, ბიაინის მეფეები მსხვილი ექსპედიციების მოწყობისას თავისი სამეფოს სხვა ნაწილებიდან გამოყვანილ ლაშქარსაც მიმართავდნენ, მაგრამ მათი ლაშქრის ძირითად ბირთვს, უეჭველია, ბიაინის მოსახლეობა იძლეოდა. ომებს თანდათან მძარცველური ექსპედიციების ხასიათი მიეცა. ნაირის მხარის ყოველი კუთხიდან ასეთი ლაშქრობების შედეგად ბიაინიში მოედინება დიდძალი ნადავლი (მასში გასაკუთრებით დიდი ადგილი პირუტყვს ეკავა) და ტყვეები. ბიაინის მოსახლეობა თანდათან სამხედრო საზოგადოებად და ბიაინი სამხედრო-პარაზიტულ სახელმწიფოდ

ყალიბდება და მეტწილად მეზობლების ძარცვით, მათი დოვლათის მიტაცებითა და მათგან ტყვე-მონების წამოყვანით ცხოვრობს.

ამასობაში ურარტუ-ბიაინის მეფეთა მორჩილებაში მყოფი ტერიტორია მეტისმეტად გაიზარდა, მან მოიცვა თითქმის მთელი ნაირის მხარე და მის საზღვრებს გარეთაც გავიდა.

ბ. ნაირის სამხრეთ-აღმოსავლეთის ერთეულები (მუსასირი, ფარსუა, ბუშთუ, მანა) და ურარტუ

ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ვანის ტბის სამხრეთ-აღმოსავლეთით ჭდებარე მუსასირის ქვეყნის მოსახლეობა ენობრივად და კულტურულ-რელიგიურად ძირითადად ურარტული იყო (თუმცა, უცხო-ირანული, ასურული და სხვ. გავლენა აქ მოგვიანო ხანებში ბევრ სხვადასხვა სფეროში მძლავრად იგრძნობა). როდესაც IX საუკუნის შუახანებში ჩამოყალიბდა ურარტელ ტომთა მსხვილი გაერთიანება-ურარტუს სამეფო, მუსასირი, როგორც ზემოთ დავინახეთ, არ შესულა ამ გაერთიანებაში, იგი ცალკე პოლიტიკურ ერთეულს წარმოადგენდა. მაგრამ მალე, IX საუკუნის დასასრულისათვის გაძლიერებული ბიაინის (ურარტუს) სახელმწიფო მუსასირსაც იქვემდებარებს. ურარტუს იმპერიაში მუსასირის შესვლა საკმაოდ უმტკივნეულო პროცესი უნდა ყოფილიყო. არსად, არც ასურულ და არც ურარტულ წარწერებში, ჩვენ ბიაინისა და მუსასირს შორის საომარი შეტაკების ვერავითარ კვალს ვერ ვპოვებთ. ამას თავისი საფუძველი ჰქონდა: მუსასირი ურარტუს იმპერიის რელიგიურ ცენტრს წარმოადგენდა. ამასთანავე პერიფერიული მდგომარეობისა და უცხო სამყაროსთან სიახლოვის გამო, თანაც იმპერიის უზენაესი ღვთაების—ხალდის ფართოდ გავრცელებული კულტის ცენტრი, მუსასირი, ინტენსიური აღებმიცემის კერაც უნდა ყოფილიყო. ამიტომ მისთვის ხელსაყრელი, მომგებიანი იქნებოდა ურარტუს მეფეთა იმპერიის ფარგლებში ყოფნა. ამრიგად უკვე იშფუინის მეფობისას, IX საუკუნის დასასრულს, მუსასირის სამთავრო ბიაინის მეფეთა მფარველობის ქვეშ მოექცა. ამის შემდეგაც

ბუსასირს შერჩა ადგილობრივი მმართველი—მეფე, რომელიც ვასალურ დამოკიდებულებაში იმყოფებოდა ურარტუს მეფეთა მიმართ.

სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით ურარტუს მეფეებმა კიდევ უფრო მეტ წარმატებებს მიაღწიეს. ისინი იღწვოდნენ თავისი ხელისუფლებისათვის დაემორჩილებინათ კიდევ უფრო შორს, ურმიის ტბის რაიონში მდებარე ქვეყნები. ასეთი ქვეყნები იყო, კერძოდ, ბუშთუ და ფარსუა, რომელთა დამორჩილებას განსაკუთრებული ენერგიით ცდილობდნენ ურარტუს მეფეები იშფუინი, მენუა, არგიშთი I. ფარსუას ქვეყანა ურმიის ტბის სამხრეთ-დასავლეთით მდებარეობდა. იგი დასავლეთიდან ემეზობლებოდა მანას ქვეყანას. ბუშთუს ქვეყანა კი ფარსუას ქვეყნის მეზობლად, მასთან ერთად ურმიის ტბის სამარეთით მდებარეობდა.

ურმიის ტბის რაიონში მდებარე ქვეყნებიდან ამ დროს ურარტუს მეფეების ყურადღების უმთავრეს ობიექტს მაინც მანას დიდი სამეფო წარმოადგენდა. ზემოთ უკვე ვთქვით, რომ IX საუკუნეშივე ჩ.წ-მდე, როდესაც ურარტუს სამეფო წარმოიქმნა, ურმიის ტბის რაიონში (ამ ტბის სამხრეთითა და აღმოსავლეთით) ჩამოყალიბდა მანაელ ტომთა რამდენიმე მსხვილი გაერთიანება. ერთ-ერთი ამათგანის სათავეში იდგა ქალაქი იზირთა, რომელმაც შემდეგში დიდ წარმატებებს მიაღწია, შემოიერთა ბევრი მანაური თუ არამანაური თემი და მეტად მსხვილ პოლიტიკურ ერთეულად იქცა.

IX საუკუნის ბოლოდან მანას უმთავრეს მოწინააღმდეგედ ურარტუს სამეფო გახდა. მენუას, არგიშთი I-ისა და სარდური II-ის წარწერები სავსეა მანას წინააღმდეგ ლაშქრობათა აღწერით. განსაკუთრებით ინტენსიური ჩანს მანასა და ურარტუს შორის ბრძოლები არგიშთი I-ის ხანაში, როდესაც ურარტელები თითქმის ყოველწლიურად ლაშქრობდნენ მანას წინააღმდეგ, ამასთანავე ეს ლაშქრობები საკმაოდ დიდი მასშტაბისა იყო. ამაზე მიგვითითებს ამ ლაშქრობათა დროს ურარტელთა მიერ მანაში გაჟლეტილი მეომრების ან ხელთგდებული ნადავლისა და ტყვეების დიდი რიცხვი. მაგრამ, ურარტელები არა მარტო არბევდნენ მანას, მიჰქონდათ ნადავლი, მიჰყავდათ



ვანის კლდეზე ამოკვეთილი არგიშთი I-ის წარწერის ნაწყვეტი

ტყვეები და ხარკის გადახდას აკისრებდნენ ადგილობრივ ხელისუფალთ, არამედ ისინი უკვე ადრიდანვე ცდილობდნენ მანას ცალკეული რაიონები უშუალოდ შემოეერთებინათ და თავის პროვინციად ექციათ. როდესაც მენუა მეფე თავის წარწერებში ლაპარაკობს მანას ქვეყნის დაპყრობის შესახებ, აქვე იხსენიებს ციხე-სიმაგრის აგებას მანას ქვეყნის პერიფერიაზე, ქალაქ მეიშთას რაიონში (რომელიც ფარსუას ქვეყნის მეზობლად მდებარეობდა). როგორც ვხედავთ, ურარტელები უკვე მენუას დროს ცდილობდნენ მტკიცედ მოეკიდებინათ ფეხი მანას ამ სასაზღვრო რაიონში: ააგეს ციტადელი, დასტოვეს ურარტული გარნიზონი და სხვ., ე. ი. მანას ტერიტორიაზე დასაყრდენი პუნქტი შეჰქმნეს.

ურარტუსა და მანას შორის ბრძოლა თითქმის მთელი საუკუნე მიმდინარეობდა. ამ ბრძოლებს მანასათვის მარტო ამა თუ იმ ტერიტორიის დაკარგვა როდი მოჰყვა შედეგად, არამედ როგორც ქვემოთ დავინახავთ, მანას სამეფომ (ქალაქ იზირთას ერთეულის ჰეგემონობით ჩამოყალიბებულმა მანაელ ტომთა გაერთიანებამ) დაშლა იწყო.

გ. ვანის ტბის სამხრეთითა და დასავლეთით მდებარე რაიონები (ჩრდილოეთი მესოპოტამია და ჩრდილოეთი სირია)

აქამდე ჩვენ ვსაუბრობდით ურარტუს მეფეთა წარმატებების შესახებ სამხრეთ-აღმოსავლეთის, ურმიის ტბის რაიონის მიმართულებით. არა ნაკლებ ინტენსიური იყო ამ ხანებში ურარტელთა შეტევა სხვა მიმართულებითაც, კერძოდ სამხრეთისა და სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით. ურარტუს მეფეთა ლაშქარმა დასავლეთით ისეთ შორს მდებარე რაიონებს მიაღწია, როგორიცაა კუმუხი, მალატია, ალეპო... ურარტუს ჯარები ევფრატის დასავლეთით, ჩრდილოეთ სირიაში არა ერთხელ გამოჩნდნენ და ცდილობდნენ ეს ადგილებიც ურარტუს მეფეთა ხელისუფლებისათვის დაექვემდებარებინათ.

მეფე მენუას (810—781) წარწერები ბევრს მოგვითხრობს ამ რაიონების დალაშქვრის შესახებ. ამ რაიონში, ჩრდ. მესო-

პოტამიასა და ჩრდ. სირიაში, მენუას მიერ დალაშქრული ქვეყნებიდან აღსანიშნავია: „მელიტეა“ (დღევანდელ ქალაქ მალათიას რაიონი) „ხათის ქვეყანა“ (ხეთების ქვეყანა—ამ ხანაში, ასე ეძახდნენ ჩრდილოეთ სირიას), ცუფანი (ანტიკური ხანის მწერლების სოფენე-ტავროსსა და ანტიტავროსს შორის მოთავსებული მაღალ ნაყოფიერი დაბლობი დღევანდელ ქალაქ მეზრეს გარშემო), ურმენის ქვეყანა (ევფრატის ზემოწელზე), ალზის ქვეყანა (მდინარე არცანიას (მურად-სუ) სამხრეთით), დირგუნის ქვეყანა (ასურული წყაროების დირრა-ევფრატის ზემოწელზე, დღევ. ქალ. დიარბექრის ჩრდილოეთით), ულიბანის ქვეყანა (ასურული წყაროების „ულიბა“-„ულუბა“-„ულაბა“, დღევანდელი ტურ-აბდინის მთის ჩრდილოეთით, დაახლოებით მდ. იეზიჯანეჭ-სუსა და ბითლის-ჩაის შორის), იშალა (ასურელების „იცალა“, ხეთების „იშუვა,“ დღევანდელ მარდინის რაიონში) და სხვ.

მენუას მემკვიდრის, არგიშთი I-ის (781—760) მეფობაში ურარტელები არ ასუსტებენ თავის ყურადღებას ამ რაიონისადმი. არგიშთის წარწერებში იხსენიება უკვე მენუასთან ნახსენები ურმეს (ურმენის) ქვეყნის, ხათის ქვეყნის, ქალაქ მელიტეას, დაპყრობა. ამასთანავე არგიშთი აღნიშნავს კიდევ ნირიბას ქვეყნის დალაშქვრას, რომლის შესახებ არაფერს ამბობენ მენუას წარწერები. ეს ქვეყანა „ნირბუ“-ს, „ნირიბი“-ს ფორმით ხშირად იხსენიება ასურეთის მეფეთა წარწერებშიც იგი კაშიარის მთებში (დღევ. ტურ-აბდინი) მდებარეობდა.

განსაკუთრებით ინტენსიური გახდა ურარტელთა აქტივობა ჩრდ. მესოპოტამიასა და ჩრდ. სირიაში სარდური II-ის (760—730) ხანაში. მის დროს ჩრდილოეთ სირიის უმნიშვნელოვანესი ერთეულები ურარტუს გავლენის სფეროში მოქცეული ჩანან. ეტყობა, აქ ურარტელებს უკვე მტკიცედ მოუკიდიათ ფეხი. ეს იქიდანაც ჩანს, რომ ასურეთის მეფის ტიგლათფილესერ III-ის (745 727) წინააღმდეგ ურარტუს მეფის სარდური II-ის ინიციატივით შექმნილ კოალიციაში შევიდა ჩრდ. სირიის ბევრი მმართველი. ამ დიდ კოალიციასთან ბრძოლის შესახებ ვრცლადაა ლაპარაკი ტიგლათფილესერ

III-ის წარწერებში. თვით სარდური მეფის წარწერებიდან კი, ჩვენ ვიგებთ ჩრდ. სირიის ქვეყნებში ურარტელთა აქტივობის უფრო ადრეულ ფაქტებსაც. თავის ანალებში სარდური II ვრცლად აგვიწერს მის მიერ ხურიტული კუმუხის (ანტიკური ხანის „კომაგენე“) სამეფოს ტერიტორიის დალაშქვრას, როცა აქ მან დაამარცხა და დაიმორჩილა კუმუხის მეფე კუშტაშფილი. ამ უკანასკნელმა სარდურს მიართვა მდიდარი „ძღვენი“: 40 მინა (დაახლოებით 20 კლგრ.) ოქრო, 800 მინა ვერცხლი, დიდი ოდენობით ტყვია და ბრინჯაო. კუშტაშფილი, ეტყობა, შემდეგშიც ერთგული დარჩა ურარტუს მეფისა, რადგანაც ასურეთის მეფის ტიგლათფილესერ III-სა და ურარტუს მეფე სარდურს შორის მომხდარ ომში ჩვენ მას უკანასკნელის მხარეზე ვხედავთ. კუმუხის დალაშქვრასთან დაკავშირებით სარდურ მეფე იხსენიებს ქალაქ ხალფანი)-ს (ე. ი. ალეპოს) და ქალაქ უითანის დაპყრობას (ეს უკანასკნელი პუნქტი „უეთაშ“-ის ფორმით იხსენიება ასურულ წყაროებშიაც, როგორც მილიდის (მელიტეია-მალატიას) მეფის „სამეფო ქალაქი“, რეზიდენცია). სარდურის წარწერებში იხსენიება ქალაქ მელიტეას მეფის დამარცხება, აგრეთვე არმეს ქვეყნისა და მისი დედაქალაქის („სამეფო ქალაქის“) ნიხირიანის დაპყრობა. ეს ხურიტული მოსახლეობის მქონე ქვეყანა იყო და ურარტუს დასავლეთით, ზემო მესოპოტამიაში მდებარეობდა.

ამოიგად, როგორც ვხედავთ, IX საუკუნის დასასრულსა და VIII საუკუნის დასაწყისში (მენუას, არგიშთი I-ის, სარდური II-ის დროს) ურარტუს სამეფოს ექსპანსიის ორბიტაში მოექცა ჩრდილოეთ მესოპოტამიისა და ჩრდილოეთ სირიის ვრცელი ტერიტორია. ურარტუს მეფეები მრავალგზის ლაშქრობდნენ ამ მხარეში, არბევდნენ ბაჟაურობას, მიჰქონდათ აქედან დიდძალი ნადაცლი, მიჰყავდათ ტყვეები, ხარკს აღებდნენ და მორჩილების აღთქმას ადებინებდნენ ადგილობრივ ხელისუფალთ. ამ ეპოქაში ჩრდილოეთ მესოპოტამიასა და ჩრდილოეთ სირიაში, ხურიტულ, არამიული და ხეთური მოდგმის ტომებით დაკავებულ ტერიტორიაზე, აქამდე აქ მოთარეშე ასურელები ურარტელებმა შესცვალეს.

დ. სამხრეთი ამიერ-კავკასია

მრავლად ვხვდებით ჩვენ ამ ეპოქის ურარტულ წარწერებში ცნობებს ამიერ-კავკასიის, კერძოდ მისი სამხრეთი რაიონების შესახებაც. სამხრეთ ამიერ-კავკასიის რაიონები IX საუკუნის დასასრულიდან დაწყებული ურარტელთა ექსპანსიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ობიექტი გახდა. თავის მახვილს ურარტუს მეფეები პირველ ყოვლისა სამხრეთ ამიერ-კავკასიის უძლიერესი ერთეულის დიაუხის წინააღმდეგ მიმართავენ.

ურარტუს მეფეების (კერძოდ, მენუასა და არგიშთი I-ის) წარწერებში დიდი ადგილი უკავია დიაუხის სამეფოსთან ბრძოლის აღწერებს. უკვე მეფე მენუა (810—781) არზრუმის რაიონში დატოვებულ ერთ თავის წარწერაში ლაპარაკობს დიაუხის „ძლიერი ქვეყნისაკენ“ გალაშქრების შესახებ. ნათქვამია, რომ მან დაიპყრო დიაუხის ქვეყანა, ბრძოლით აიღო მისი სამეფო ქალაქი შაშილუნი, დაარბია ქვეყანა და სხვ. დიაუხის მეფე უტუფურშინი დამორჩილებია ურარტუს მეფეს, ხარკი მიურთმევია მისთვის და მენუას მისთვის შემდეგშიც ხარკის ხდის ვალდებულება დაუკისრებია.

იშფუინისა და მენუას ხანაში (IX ს. დასასრულსა და VIII საუკუნის დასაწყისში) წყაროებში პირველად ჩნდება ცნობები დიაუხის გარდა სამხრეთ ამიერ-კავკასიის სხვა ერთეულების შესახებ. იშფუინისა და მენუას თანამმართველობის დროის რამდენიმე წარწერაში ლაპარაკია სამხრეთ ამიერ-კავკასიის ტერიტორიაზე ლუშას, ქათარზას და ვიტერუხის ქვეყნების დამორჩილების შესახებ. ძნელია კატეგორიულად თქმა თუ გვიანდელი ნომენკლატურით რომელი ტერიტორიის, ამიერ-კავკასიის რომელი რაიონის შესახებ არის აქ ლაპარაკი. ზოგი მკვლევარი „ქათარზას“ სახელს ქართულ „კლარჯეთი“-ს სახელს უკავშირებს და ამ საფუძველზე ფიქრობა, რომ ეს ლუშას, ქათარზას და ვიტერუ(ხი)ს ქვეყნები სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე იყოო.

სამხრეთ ამიერ-კავკასიის ტერიტორიაზე, რომელსაც ურარტელები „ეთიუნის“ ზოგად სახელს უწოდებდნენ, იშფუინისა და მენუას ხანაში, ეტყობა, ეს ლუშა, ქათარზა და ვიტერუხი

ყოფილან უმნიშვნელოვანესი ერთეულები (დიაუხის სამეფოს გარდა), რომელთა გარშემო შემოკრებილან ამიერ-კავკასიის სხვა ერთეულები ურარტუს წინააღმდეგ საბრძოლველად. იშფუინი და მენუა როდესაც ლაპარაკობენ ლუშას, ქათარზასა და ვიტერუხის დამარცხებაზე, დასძენენ, რომ მათ სძლიეს აგრეთვე ეთიუნის (ე. ი. სამხრეთ ამიერ-კავკასიის) მეფეები, რომლებიც მათ დასახმარებლად მოსულიყვნენ („ეთიუნი" სამხრეთ ამიერ-კავკასიის თითქმის მთელი იმ ტერიტორიის ზოგადი სახელი იყო, რომელიც არეკლილია ურარტულ წყაროებში).

მენუას წარწერები ლაპარაკობენ სამხრეთ ამიერ-კავკასიის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ერთეულის შესახებ. ესაა ერქუა, რომელიც არარატის მთის რაიონში მდებარეობდა. მისი მოსახლეობა ურარტუს ცენტრალური რაიონების მოსახლეობასთან ეთნიკურად, ტომობრივად ახლო იდგა. ერქუას ქვეყნისა და მისი დედაქალაქის ლუხიუნინის დამორჩილების შესახებ მენუას არა ერთი წარწერა მოგვითხრობს.

ურარტელები აქ მარტოოდენ დარბევით როდი კმაყოფილდებოდნენ. ერქუას დედაქალაქ ლუხიუნინის (რომელიც არარატის ჩრდილო ფერდობზე, სოფელ ტაშბურუნთან უნდა ყოფილიყო) რაიონში მენუამ ციხე-სიმაგრე და ხალდისადმი მიძღვნილი საკულტო ნაგებობა ააშენა. მენუამ აქ ურარტული ქალაქი-ურარტელთა დასაყრდენი პუნქტი შეჰქმნა, რომელსაც მენუახინილი დაარქვა. აქ იქნებოდა ურარტული გარნიზონის ადგილსამყოფელი, ურარტელი მმართველის რეზიდენცია და სხვ. ამრიგად, უკვე მენუას ხანაში, ადგილი აქვს ვანის ტბის ჩრდილოეთით მდებარე ზოგიერთი რაიონის (მაგალითად, არარატის მთის მიდამოების) ურარტუს იმპერიის შემადგენელ ნაწილად, ურარტელთა პროვინციად ქცევას. ოაც შეეხება უფრო ჩრდილოეთით, არაქსს გადაღმა მდებარე მიწებს, აქ, საფიქრებელია, იშფუინი-მენუას ხანაში ურარტელები მხოლოდ დამრბევი ექსპედიციების მოწყობით კმაყოფილდებოდნენ. ურარტუს მეფეთა ასეთ სათარეშო ექსპედიციებს სამხრეთ ამიერ-კავკასიის მოსახლეობა, როგორც დავინახეთ, ხშირად დიდ კოალიციებად გაერთიანებული ხვდებოდა (იშფუინისა და მენუას ლაშქარს ამიერ-კავკასიაში ერთი ასეთი

გალაშქრებისას „ეთიუნის“ ბევრ სხვადასხვა მეფესთან უხდება ბრძოლა, რომლებიც გაერთიანებულან ლუშას, ქათარზასა და ვიტერუხის მსხვილ გაერთიანებათა გარშემო).

მენუას მემკვიდრის, არგიშთი I-ის (781—760) ხანაში ურარტელთა ექსპანსია სამხრეთ ამიერ-კავკასიის ხალხების მიმართ უფრო ინტენსიური ხდება. მაშინ, როდესაც აქამდე (იშფუინისა და მენუას დროს) წყაროებში სამხრეთ ამიერ-კავკასიის ქვეყნებიდან „მხოლოდ დიაუხი, ლუშა, ქათარზა, ვიტერუხი და ერეუა იხსენიებოდა, ახლა, არგიშთის დროს, ჩვენი თვალთახედვის არეზე ჩნდება ამიერ-კავკასიის ბევრი სხვა „ქვეყანა“ იმასთან დაკავშირებით, რომ ისინიც ურარტელთა ექსპანსიის ობიექტებია. არგიშთის დროს ურარტელთა ექსპანსიის ობიექტებს კვლავ წარმოადგენენ ლუშა, ქათარზა და ვიტერუხი (სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე?), რომელთა დაპყრობას იკვეხნიან უკვე იშფუინი და მენუა. დღევანდელი სარიყამიშის რაიონში არგიშთი იპყრობს ქალაქების აშტუხინისა და ახურიანის მიდამოებს. არგიშთი დალაშქრავს აგრეთვე ურარტუს ცენტრიდან შორეულ ჩრდილო-დასავლეთში, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მდებარე ზოგ სხვა მსხვილ ერთეულს, კერძოდ ზაბახეს ქვეყანას (ამ ქვეყნის სახელი ქართული „ჯავახეთი“-ს სახელში შემოინახა; ურარტული ხანის ზაბახეს ეკავა დღევანდელ ჯავახეთზე ცოტა უფრო სამხრეთით მდებარე ტერიტორია, თუმცა იგი, შეიძლება, უკვე ამ დროს თანამედროვე ჯავახეთის ტერიტორიამდეც ვრცელდებოდა) და იგანის (ქალაქ მაკალთუნით—ეს ერთეული ჩილდირის ტბის რაიონში მდებარეობდა).

თუ ცოტა უფრო აღმოსავლეთით გადაკინაცვლებთ, არარატის ოლქსა და ლენინაკანის რაიონშიც არგიშთის დროს ურარტელთა ექსპანსიის ობიექტად ბევრი სხვადასხვა ქვეყანა იხსენიება: ერიახისა და იშკიგულუს ქვეყნები (დღევანდელი ლენინაკანის რაიონი) კულიაინის ქვეყანა ქალაქ დურუბანით (გულიჯანის რაიონი), ულუანის ქვეყანა, ქალაქ დარანის ქვეყანა (ელარის რაიონი ერევნის მახლობლად), აბილიანიხი, კუარზანი, ულთუზაინი, გულუთახი, ანიშთირგა (არარატის ველზე?).

არგიშთის დროს ურარტელთა ჯარები სევანის ტბის რაიონშიც გამოჩნდნენ. სევანისპირა რაიონს, კერძოდ სევანის ტბის დასავლეთ სანაპიროზე მდებარე ტერიტორიას, ურარტელები უდური-ეთიუნის ზოგად სახელს უწოდებდნენ. აქ, სევანის ტბის ჩრდილო-დასავლეთ სანაპიროზე, ორდაკლუს რაიონში,



ურარტუს მეფის მუზარადი (ნაპოვნია კარმირ-ბლურის გათხრების დროს).

არგიშთი მეფემ დაიპყრო ქალაქების კიეხუნისა და იშთიქუნივის ქვეყნები.

ამიერ-კავკასიაში არგიშთიმ საბოლოო ლახვარი ჩასცა დიაუხის სამეფოს ძლიერებას. დიაუხი ამ დროს იმ ძალად გადაიქცა, რომლის გარშემოც იკრიბებოდნენ სამხრეთ ამიერ-კავკასიის

ტომები ურარტულ ექსპანსიისათვის წინააღმდეგობის გასაწევად. არგიშთი ამბობს, რომ მან დიაუხის მეფესთან ერთად დაამარცხა დიაუხის საშველად მოსული, ამიერ-კავკასიის ისეთი მნიშვნელოვანი ერთეულების მეფეები, როგორიც იყვნენ ლუშა, ქათარზა, ვიტერუხი, ერიახი, გულუთახი... ამასთან კავშირში არგიშთი იხსენიებს აგრეთვე აფუნისა და იგას (იგანის) ქვეყნების ძლევას.

არგიშთის დროისათვისაც დიაუხის სამეფო ჯერ კიდევ მსხვილ გაერთიანებას წარმოადგენდა: არგიშთიმ ამ ქვეყნის ერთ ნაწილში „105 სასახლე" (ე. ი. ციტადელი, ციხე-სიმაგრე დაანგრია და 453 „ქალაქი" (დასახლებული პუნქტი) ცეცხლს მისცა. დიაუხის ქვეყანაში არგიშთიმ დაატყვევა 15.181 ბავშვი, 2.734 მამაკაცი, 10.604 დედაკაცი, ხელთ იგდო 4.426 ცხენი, 10.478 ხარი, 73.770 ცხვარი. დიაუხის მეფისაგან მან ხარკის სახით მიიღო 41 მინა (ე. ი. 21 კილოგრამამდე) ოქრო, 37 მინა ვერცხლი, რამდენიმე ათი ათასი მინა სპილენძი, 900 ცხენი, 300 ხარი, რამდენიმე ათი ათასი სული ცხვარი. ყოველწლიური ხარკის სახით არგიშთიმ დიაუხის ქვეყანას დააკისრა დიდი ოდენობით ოქრო, 10.000 მინა სპილენძი, აგრეთვე ხარების, ძროხების, ცხენების გადახდა. ყოველივე ამის მიხედვით ჩანს, რომ დიაუხის სახით ჩვენ ამ დროსაც მსხვილ და ეკონომიურად შეძლებულ ერთეულთან გვქონია საქმე.

დიაუხის ეს მსხვილი გაერთიანება არგიშთიმ საფუძვლიანად დაარბია. ამიერ-კავკასიელმა მოკავშირეებმა, ეტყობა, ვერაფერი უშველეს დიაუხის სამეფოს. არგიშთი აქ არ დაკმაყოფილდა ქვეყნის დარბევით, ნადავლის ხელთგდებით, ტყვეების წამოყვანით, ხარკის დადებით. იგი ცდილობდა დიაუხის ქვეყანა, მისი ერთი ნაწილი მაინც, ურარტულ პროვინციად ექცია. დიაუხის ქვეყანაში ადგილობრივი მმართველი, მეფე, დასტოვა, მაგრამ აქვე დასვა ურარტუს მეფის ნაცვლებიც, პროვინციათა გამგებლები. არგიშთის ლაშქრობებმა საბოლოო ლახვარი ჩასცეს ამიერ-კავკასიის ამ უძველესი და უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური ერთეულის ძლიერებას. ამის შემდეგ დიაუხის სამეფოს ერთი ნაწილი ურარტუს პროვინცია გახდა,



ურარტუს მეფის მუზარადზე მოთავსებულ გამოსახულებათა დეტალები

పాలకుర్తి సోమనాథ దేవాలయం గర్భగుడిలో శివలింగం, దీనిలోపల పాలరాతి నందీశ్వరుడి విగ్రహం ఉంది

ხოლო დიაუხის გაერთიანებაში შემავალი ბევრი სხვა ერთეული დამოუკიდებელი შეიქმნა, ან კიდევ სხვა მსხვილი გაერთიანების ფარგლებში მოექცა. ასე მაგალითად, ხუშანის ქვეყანა, რომელიც არგიშთის წარწერებში ორგზის იხსენიება დიაუხისთან კავშირში, არგიშთის მემკვიდრის, სარდური II-ის, დროს კულხას გაერთიანების შემადგენლობაში შესული ჩანს. არგიშთის შემდეგ ურარტულ წყაროებში საერთოდ არაფერი ისმის დიაუხის შესახებ. ამ ძველი ძლიერი სამეფოს ნაშთი ურარტუს ვასალის სახით შეიძლება კვლავ განაგრძობდა არსებობას, მაგრამ ეტყობა, არაფერს მნიშვნელოვანს აღარ წარმოადგენდა.

არგიშთის მეფობაში ურარტელების მიერ გარკვეულად აღებულია გეზი ამიერ-კავკასიის სამხრეთი რაიონების ურარტულ პროვინციად ქცევაზე. ამიერ-კავკასიის დალაშქვრისას არგიშთი ბევრს ლაპარაკობს ამ ტერიტორიის დარბევის (დასახლებული პუნქტებისა და ციხე-სიმაგრეების დანგრევა და მათთვის ცეცხლის წაკიდება), დიდძალი ნადავლის (ძირითადად პირუტყვის) ხელთგდებაზე, დიდი ოდენობით ტყვე მამაკაცებისა და ქალების წამოყვანის შესახებ, ამიერ-კავკასიის დამორჩილებულ ხელისუფლებზე ხარკის დადების შესახებ და სხვ., მაგრამ ჩანს, რომ ურარტელები ამიერ-კავკასიის დაპყრობილ ტერიტორიას უყურებდნენ არა მარტო როგორც რბევათარეშის ობიექტს, არამედ სურდათ საკუთარი ქვეყნის ნაწილად ექციათ იგი: ამიერ-კავკასიის ტერიტორიაზე ააგეს დასაყრდენი პუნქტები, ციხე-სიმაგრეები, დასტოვეს აქ ურარტელი მმართველები, ურარტუს მეფის ნაცვლები, შეჰქმნეს მსხვილი სამეფო სახელმწიფო მეურნეობები და სხვ.

მენუას დროს ამიერ-კავკასიაში ურარტელთა მფლობელობის ცენტრი იყო მენუახინილი, დაფუძნებული მენუას მიერ არარატის მთის ჩრდილოეთ ფერდობზე. არაქსის მარჯვენა ნაპირზე, სოფელ ტაშბურუნთან. არგიშთის დროს ასეთმა ცენტრმა ჩრდილოეთით გადაინაცვლა, არაქსის მარცხენა ნაპირზე არგიშთის მიერ აგებულ არგიშთიხინილიში. ეს უკანასკნელი გაშენებული იყო გორაკზე დღევანდელ სოფ. არმავირთან (ყოფილი კურდუკლუ). აქ დღესაც ჩანს ურარტულ ნაგებობა-

თა ნაშთები. არმავირის გორაკის რაიონიდან 15-მდე ურარტული წარწერაა მოღწეული, რომელთაგან უძველესნი არგიშთი I-ის მეფობის ხანას ეკუთვნიან, ყველაზე გვიანდელი კი ურარტუს ერთი-ერთი უკანასკნელი მეფის, რუსა ერიმენას-ძის (VI ს. დასაწყისი ჩ. წ-მდე) ხანისაა. ეტყობა, ამ პუნქტს თავისი მნიშვნელობა არ დაუკარგავს ურარტუს სამეფოს არსებობის ბოლო ხანამდე (ოუმცა შემდეგ სამხრეთ ამიერ-კავკასიაში ჩნდება ურარტელთა ბევრი სხვა ციხე-სიმაგრე). არმავირის რაიონში არგიშთი მეფის მიერ დატოვებული წარწერები თითქმის ყველა საალმშენებლო ან საკულტო ხასიათისაა: არგიშთი აღნიშნავს, რომ მან ააგო ციტადელი, ციხე-სიმაგრე, რომელსაც არგიშთიხინილი უწოდა, ააგო სასახლე და ბევრი სხვა ნაგებობა; მდ. არაქსიდან მას აქ ოთხი არხი გაუყვანია, გაუშენებია ბაღ-ვენახები და სხვ.

არგიშთიხინილის მახლობლად არგიშთიმ ურარტელთა მეორე ნნიშვნელოვანი ცენტრი შეჰქმნა: ერევნის მახლობლად, დღევანდელ არინ-ბერდის გორაკის მიდამოებში მას დაუფუძნებია ქალაქი ირუნი „ბიაინის ქვეყნის ძლიერებისათვის და ჩტრუღი ქვეყნის დასათრგუნავად“, როგორც ის ამბობს. აქ მას დაუსახლებია ცუფანისა და ხეთების ქვეყნიდან წამოყვანილი 6.600 ჰეომარი (ე. ი. ტყვე-მონა), როგორც ჩანს, დიდ სამეფო მეურნეობაში სამუშაოდ, რომელიც ჩვეულებრივ არსებობდა ხოლმე ასეთ ურარტულ ციხე-ქალაქებთან.

მიუხედავად იმ დიდი წარმატებისა, რომელიც არგიშთის დროს მოიპოვეს ურარტელებმა სამხრეთ ამიერ-კავკასიის დამორჩილების საქმეში, მაინც ამიერ-კავკასიის სამხრეთი რაიონების პროვინციად ქცევის ამოცანა არგიშთის დროს ჯერ კიდევ შორს იყო განხორციელებისაგან. არგიშთის მემკვიდრის, სარდური II-ის (760—730) დროსაც ამიერ-კავკასიის სამხრეთში მრავლად მოჩანდა მსხვილი პოლიტიკური ერთეულები, რომლებიც სასტიკ ბრძოლას აწარმოებდნენ ურარტელთა წინააღმდეგ. ჩრდილო-დასავლეთში სარდურის დროს განადგურებული დიაუხის ნაცვლად თავი იჩინა კულხას მსხვილმა გაერთიანებამ. აქვე ურარტელებს კვლავ მოუხდათ ბრძოლების წარმოება: იგანიე-

ხისთან (ჩილდირის ტბის რაიონში), კურიანის ქვეყანასთან (შეიძლება, მდინარე მტკვრის სათავეებში), უხიმესთან (ჩილდირის ტბის რაიონში) რუიშიანისთან და სხვ.

სამხრეთ ამიერ-კავკასიის შუაგულ რაიონებში სარდური მეფეს განსაკუთრებით ინტენსიური ბრძოლები ჰქონდა ერიახიში (ლენინაკანის რაიონი) და აბილიანიხიში (არარატის ველზე, არაქსის მარცხენა ნაპირზე, დღევანდელ ყაღიზმანთან).



სარდური II-ის თასი
(ნაპოვნია კარმირ-ბლურის გათხრების დროს)

უფრო ინტენსიური გახდა ურარტელთა ექსპანსია სევანის ტბის რაიონში. სევანის ტბის სამხრეთ-დასავლეთ სანაპიროზე, ადიამანთან, სარდურმა დაიპყრო ლუეხუხის ქვეყანა; დასავლეთ სანაპიროს ცენტრში, დღევანდელი ნორ-ბაიაზეთის რაიონში, სარდურმა დაამარცხა უელიქუხის ქვეყნის მეფე მურინუნი, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე, ზაღალუს რაიონში, სარდურმა დაიპყრო არკუკინისა და ურტახინის ქვეყნები. სარდურის ანალებში ამათ გარდა, იხსენიება სევანის ტბის რაიონში მდებარე კიდევ არა ერთი სხვა ქვეყნის დაპყრობა.

ამიერ-კავკასიაში სარდურის ამ მრავალრიცხოვანი ლაშქრობების ერთ-ერთ მიზანს, რა თქმა უნდა, ნადავლისა და ტყვეშონების მოპოვება წარმოადგენდა. მაგრამ, სარდურის დროს უფრო მძლავრად, ვიდრე მის წინამორბედ მეფეთა დროს, იგრძნობა ამიერ-კავკასიის დაპყრობილი ადგილების პროვინციად ქცევისაკენ ლტოლვა. ააგეს აქ ციხე-სიმაგრეები, სადაც სტოვებდნენ ურარტულ გარნიზონს, სვამდნენ ურარტელ მმართველს და სხვ. ასე მაგალითად, ერიახის ქყეყნის ერთ-ერთი დალაშქვრის ამბის გადმოცემისას სარდური აღნიშნავს, რომ მან იქ (დაპყრობილ ტერიტორიაზე) ციტადელები ააგო და ეს ქვეყანა თავის ქვეყანას მიუმატა. ვიტერუხის ქვეყნის ქალაქ ურაიანიშიც სარდურმა ციტადელი ააგო, ამ ქვეყანაში თავისი ნაცვლები—ოლქის მმართველები დანიშნა და სხვ.

აოგიშთიხინილი (დღევ. არჰავირი) სარდურის დროსაც დარჩა ამიერ-კავკასიაში ურარტელთა მფლობელობის ადმინისტაციულ ცენტრად. სარდური მეფისაგან არმავირში მოღწეულია ისეთივე ხასიათის (საღმშენებლო, საკულტო) წარწერები, როგორიც გვაქვს ჩვენ ამ რაიონში მისი მამის, არგიშთი მეფისაგან. სარდურმა აქ ააგო სასახლე, ხალდისადმი მიძღვნილი საკულტო ნაგებობები, გაიყვანა არხი, გააშენა ბაღ-ვენახები და სხვ. კიდევ არა ერთი, ურარტელთა სხვა მნიშვნელოვანი დასაყრდენი პუნქტი იყო მის დროს ამიერ-კავკასიის ტერიტორიაზე.

სარდური II-ის შემდეგ ცნობები ამიერ-კავკასიის შესახებ ურარტულ წყაროებში მცირდება. სარდურის მემკვიდრის რუსა I-ის (730—714) ხანისათვის ჩვენ გვაქვს მხოლოდ ცნობები ურარტელთა აქტივობის შესახებ სევანის ტბის რაიონში. შეიძლება ეს შემთხვევითი გარემოებაა, იქნებ ჩვენამდე არ მოაღწია რუსა I-ის იმ წარწერებმა, სადაც ლაპარაკი იყო ურარტელთა ბრძოლების შესახებ ამიერ-კავკასიის სხვა რაიონებში, მაგრამ შეიძლება ისიც ვიფიქროთ, რომ რუსა I-ის ხანისათვის მისი წინაპრების, არგიშთისა და სარდურის საქმიანობის შედეგად სამხრეთ ამიერ-კავკასიის ძირითადი რაიონები უკვე პროვინციად ქცეული იყვნენ და ურარტელთა ხელისუფლება აქ განმტკიცებული იყო. ისიც შეიძლება გავიხსენოთ,

რომ რუსა I-ის საგარეო პოლიტიკის სიმძიმის ცენტრი ამიერ-კავ-
კასიიდან შორს სამხრეთში, ურმიისპირა რაიონში იმყოფებო-



წარწერა სარდური II-ის თასზე

და, სადაც ასურეთის ძლიერ მეფე სარგონთან ჭიდილში
ურარტუს ძლიერების ბედ-იღბალი წყდებოდა.

რუსა I-საგან ჩვენამდე მოაღწია სევანის ტბის რაიონში დატოვებულმა ორმა წარწერამ. ორივე ეს წარწერა მოწმობს, რომ ასეთ შორეულ რაიონებშიც კი ამ დროს ურარტელთა მიერ გეზი აღებული იყო დაპყრობილი ადგილების პროვინციად ქცევისაკენ. სევანის ტბის დასავლეთ სანაპიროზე, ნორ-ბაიაზეთთან, იმდროინდელი უელიქუხის ქვეყნის ტერიტორიაზე, დატოვებულ წარწერაში რუსა I ამბობს, რომ მან დაიმორჩილა უელიქუხის ქვეყნის მეფე და ტყვედ წაიყვანა იგი მისი ქვეყნიდან (ჩანს, რომ ურარტელები ხარკის დადებით აღარ კმაყოფილდებოდნენ, ადგილობრივ „მეფეებს" ველარ ითმენდნენ!); რუსამ იქ დიდი ციხე სიმაგრე ააგო და მას „ხალდის ქალაქი" უწოდა, აქვე ააგო ხალდისადმი მიძღვნილი საკულტო ნაგებობა, დასვა აქ თავისი ნაცვალი-ოლქის მმართველი და სხვ.

ურარტუს ამავე მეფის მიერ სოფელ ცოვინართან, სევანის ტბის სამხრეთ სანაპიროზე დატოვებული წარწერა კი სევანის ტბის რაიონის 23 ქვეყნის დაპყრობის შესახებ მოგვითხრობს. ოთხ ამათგანს სევანის ტბის დასავლეთი და სამხრეთი სანაპიროების გასწვრივ მდებარე ტერიტორია ჰქონია დაკავებული (ადახუნი, უელიქუხი, ლუეხუნი, არკუკინი), დანარჩენი 19 კი, სევანის ტბის აღმოსავლეთით, დღევანდელი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე, მცირე კავკასიონის მთიანეთში უნდა ყოფილიყო. დამახასიათებელია, რომ ამ წარწერაშიც რუსა მეფე იხსენიებს (წარწერის რაიონში) ციხე-სიმაგრის აგებას, რომლისათვისაც მას „თეიშებას ქალაქი" დაურქმევია. დღესაც ჩვენ როგორც ცოვინარის, ისე ნორ-ბაიაზეთის მიდამოებში ვხვდებით ურარტული ხანის ციხე-სიმაგრეთა ნაშთებს.

* * *

აქამდე ჩვენ ვსაუბრობდით ურარტუს სამეფოსა და სამხრეთ ამიერ-კავკასიის ხალხთა ურთიერთობის შესახებ, დავახასიათეთ, თუ როგორი იყო ეს ურთიერთობა. ბუნებრივად ისმის კითხვა: ვისთან ჰქონდათ საქმე ურარტუს მეფეებს სამხრეთ ამიერ-კავკასიაში, ეთნიკურად, ტომობრივად რა ხალხი ცხოვრობდა აქ ამ დროს?

ამ საკითხზე პასუხის გაცემა საკმაოდ რთული საქმეა. ჩვენ არ გვაქვს ამიერ-კავკასიის იმდროინდელ მცხოვრებთა ენებზე ნაწერი ძეგლები, რომლის მიხედვით შესაძლებელია გარკვეული წარმოდგენის შექმნა იმაზე, თუ ენობრივად, ეთნიკურად რას წარმოადგენდა სამხრეთ ამიერ-კავკასიის ამდროინდელი მოსახლეობა. ჩვენს ხელთ არის მხოლოდ ონომასტიკური მასალა, ურარტუსა და ასურეთის მეფეთა წარწერებში დაცული სახელები ამ ადგილების „ქვეყნების", „მეფეების", „ქალაქების", ცალკეულ პიროვნებებისა და სხვ. აი, ამ სახელების შესწავლის საფუძველზე უნდა დავასკვნათ, თუ რა ენობრივი წრის ხალხებთან გვაქვს საქმე ურარტუს მეფეთა ხანის სამხრეთ ამიერ-კავკასიაში (ე. ი. სამხრეთ ამიერ-კავკასიის იმ რაიონებში, რომლებიც არეკლილია ასურულ და ურარტულ წარწერებში).

სამხრეთ ამიერ-კავკასიის ტერიტორიაზე დამოწმებული ეს სახელები თავისი აგებულებით პირველ შეხედვისთანავე მსგავსებას ამჟღავნებენ ურარტულ (და მის მონათესავე ხურიტულ) ენობრივ სამყაროსთან. ის დაბოლოებანი (სუფიქსები), რომელთა გამოყოფაც ჩვენ შეგვიძლია ამიერ-კავკასიის ტერიტორიაზე დამოწმებულ სახელებში, თითქმის ყველა დამახასიათებელია ხური-ურარტული ენობრივი სამყაროსათვის. ეს ითქმის, პირველ ყოვლისა, — ნი, ან — ხი სუფიქსების მიმართ, რომლებსაც ჩვენ ვხვდებით ამ სახელთა უდიდეს ნაწილში, ამასთანავე ჩანს, რომ მეტწილად ეს სუფიქსები ურარტელებს კი არ დაურთავთ, არამედ უნდა ყოფილიყო ამ სახელწოდებათა ადგილობრივესავე ფორმებში. სხვა სუფიქსებიც, რომელთა გამოყოფა შეიძლება ამ სახელებში (მაგალითად: — ქი (გი), — ში, — ზი, — ზა, — რი), აგრეთვე დამახასიათებელია ხურიტული ენობრივი სამყაროსათვის.

მაგრამ სუფიქსებს გარდა ურარტული ხანის ამიერ-კავკასიის ბევრი სახელი მთლიანად ან რომელიმე შემადგენელი ელემენტით კავშირს ავლენს ხური-ურარტულ ენობრივ სამყაროსთან. ამასთანავე ხურიტული ელემენტები ძირითადად სამხრეთ ამიერ-კავკასიის დასავლეთ პერიფერიაზე ჩანს (არზრუმი-ყარსის რაიონი და მეზობელი ადგილები). ძირეული ელემენტით, ან სუფიქსით ხურიტული ელფერის სახელებია

სამხრეთ-დასავლეთ ამიერ-კავკასიის უმნიშვნელოვანესი ერთეულების: კულხას, ზაბახეს, დიაუხის ქვეყნების სახელები; ამავე რაიონში მყოფი ქალაქების: უტუხაის, აშტუხინის, ილდამუშას, შაშილუნის სახელები; ცალკეული პიროვნებების დიუცინის, სიენის, ასიას სახელები, სატომო სახელი შაშქი და სხვ.

ურარტულ წყაროებში არეკლილი სამხრეთ ამიერ-კავკასიის ცენტრალურ და აღმოსავლეთ რაიონებში (არარატის დაბლობი, სევანის ტბის რაიონი) დამოწმებულ სახელებში კი, პირიქით, უფრო ხშირად ურარტული ელემენტები გვხვდება. აქ ურარტული ელფერისაა მსხვილი ერთეულების აბილიანიხისა და უელიქუხის ქვეყნების, აგრეთვე ერიელტუაინისა და შანათუაინის ქვეყნების სახელები, ქალაქ ლუხიუნინის სახელი, მეფეების მურინინისა და მურინუნის სახელები და სხვ.

ასურული და ურარტული ხანის სამხრეთ ამიერ-კავკასიის სახელებში ისე მრავალრიცხოვანი და ორგანიული ჩანს ხური-ურარტული ელემენტები, რომ ძნელია ისინი მარტოოდენ მეზობელი ხური-ურარტული სამყაროს პოლიტიკური თუ კულტურული გავლენის შედეგად მივიჩნიოთ. ისინი უფრო აქაური მოსახლეობის ეთნიკურ ხასიათზე მიგვითითებენ და იმას ლაპარაკობენ, რომ ასურულსა და ურარტულ წყაროებში არეკლილი ამიერ-კავკასიის სამხრეთი რაიონების მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს ხური-ურარტელი ტომები შეადგენდნენ. ამრიგად, სამხრეთ ამიერ-კავკასიის ეს რაიონები ამ ხანაში პირდაპირ აგრძელებენ სამხრეთის ხური-ურარტული მოსახლეობის ხაზს.

სამხრეთ ამიერ-კავკასიაში უძველეს ხანებში მცხოვრებ ხურიტულ ტომებში უნდა ვეძებოთ ჩვენ აგრეთვე ქართველებისა და სომხების ზოგი უძველესი მითოლოგიური წარმოდგენის წყარო. ასეთთა რიგს ეკუთვნის ქართველებსა და სომხებში ფართოდ გავრცელებული წარმოდგენა ვეშაპების შესახებ. ქართული და სომხური ფოლკლორი, როგორც ცნობილია, ვეშაპებს გვიხატავს უზარმაზარ, ბოროტ, მხეცის მსგავს არსებებად. ამას გარდა, საქართველოსა და სომხეთის ტერიტორიაზე ჩვენ ბევრგან ვხვდებით ქვის დიდ სტელებს, რომელთაც თევზის მოყვანილობა აქვთ ან თევზის გამოსახუ-

ლებას შეიცავენ. ადგილობრივი მოსახლეობა მათაც „ვეშაპებს“ უწოდებს. ამ ქვის სტელებმა უკანასკნელი ათეული წლების შანძილზე მეცნიერთა დიდი ყურადღება მიიპყრო. ისინი იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ „ვეშაპების“ სახით ჩვენ ძველისძველი წარმართული რელიგიის ღვთაებებთან უნდა გვქონდეს საქმე, რომლებიც ახალი რელიგიის მიღების შედეგად ხალხის წარმოდგენაში ბოროტ არსებებად ქცეულან (ცნობილია, რომ ქრისტიანობის ხანაში ასეთი ბედი ეწია წარმართობის დროინდელ ბევრ ღვთაებას). ამასთან დაკავშირებით უკანასკნელ ხანებში ყურადღება მიაქციეს იმას, რომ ხურიტებთან ჩვენ ვხვდებით მსგავსი სახელის მქონე ღვთაებას — ღმერთი ვეშაშაფ საერთო-ხურიტული პანთეონის ღმერთი იყო. ეს ღვთაება, რა თქმა უნდა, თაყვანცემული იქნებოდა ამიერ-კავკასიის ხურიტებს შორისაც; ვეშაპებზე ქართველთა და სომეხთა წარმოდგენის წყაროსაც შეიძლება სწორედ ამ უკანასკნელთა რელიგია წარმოადგენს.

* * *

როგორც დავინახეთ, IX საუკუნის დასასრულსა და VIII საუკუნის პირველ ნახევარში, მეფეების — იშფუინის, მენუას, არგიშთი I-ისა და სარდური II-ის დროს ურარტუს მეფეთა ხელში მოექცა უზარმაზარი ტერიტორია. ურარტუს იმპერიის ტერიტორია ჩრდილოეთით დღევანდელი არზრუმის, ყარსის, ლენინაკანისა და სევანის ტბის რაიონებამდე აღწევდა, სამხრეთ-აღმოსავლეთით ურმიის ტბის სამხრეთით მდებარე რაიონებამდე, სამხრეთ-დასავლეთით კი, იგი ჩრდილოეთ მესოპოტამიისა და ჩრდილოეთ სირიის ბევრ რაიონს მოიცავდა.

რასაკვირველია, მთელი ეს ტერიტორია ერთნაირ დამოკიდებულებაში არ იყო ტუშფას მეფეების მიმართ. იმპერიის ყველაზე პრივილეგიურ ნაწილს სამეფოს ცენტრალური ნაწილი, ბიაინი წარმოადგენდა, რომლის მოსახლეობაც იძლეოდა ურარტუს მეფეთა ლაშქრის ძირითად მასას და სადაც მოედინებოდა დაპყრობილი ქვეყნების დოვლათი და ტყვეები. იყო, ალბათ, რაიონები, რომლებიც ბიაინისავით პრივილეგიურ მდგომარეობაში არ იყვნენ, მაგრამ არც დამორჩილე-

ბულთა მდგომარეობაში იმყოფებოდნენ, ხარკს არ უხდიდნენ ტუშფას სამეფო კარს. იმპერიის დაპყრობილ-დამორჩილებულ ადგილებშიც იყო განსხვავება. ბევრი რაიონი, რომლის დაპყრობაზეც ლაპარაკობენ ურარტუს მეფეები (განსაკუთრებით სიშორისა თუ რელიეფის გამო ძნელად ხელმისაწვდომნი), შეიძლება მხოლოდ ურარტუს ლაშქრის რბევის ობიექტს წარმოადგენდა; ამ ადგილების მოსახლეობა ურარტელთა ლაშქრის მათი ქვეყნიდან წასვლის შემდეგ კვლავ ძველებურად დამოუკიდებელი რჩებოდა. მაგრამ ბევრი ადგილი (რომელსაც რჩებოდა ადგილობრივი მმართველი) მოხარკე ხდებოდა, ვასალურ დამოკიდებულებაში ექცეოდა ურარტუს მიმართ; დაბოლოს, სადაც კი ამას შეძლებდნენ ურარტუს მეფეები, ისინი დაპყრობილ ადგილებს ურარტულ პროვინციად აქცევდნენ (აუქმებდნენ ადგილობრივი მმართველის ხელისუფლებას, მმართველად სვამდნენ ურარტელ მოხელეს, აგებდნენ ციხე-სიმაგრეს, სადაც ურარტულ გარნიზონს სტოვებდნენ და სხვ.).

ყაჩაღური ექსპედიციებისა და დაპყრობილი ადგილების ექსპლოატაციის შედეგად ბიაინიში დიდძალი დოვლათი მოედინებოდა, დიდი ოდენობით ტყვეები მოჰყავდათ. ასეთი ვითარების გამო ბიაინი თანდათან სამხედრო-პარაზიტულ სახელმწიფოდ იქცა, რომელიც მეზობლების ძარცვითა და ექსპლოატაციით ცხოვრობდა. სახელმწიფოს სათავეში იდგა მეფე-დესპოტი, რომელიც სამხედრო და მოხელე არისტოკრატიის მრავალრიცხოვანი ფენით იყო გარშემორტყმული; ამათგან ურარტუს მეფე ნიშნავდა თავისი იმპერიის ცალკეული ნაწილების, პროვინციების, მმართველებს. მოგვიანო ხანებში, კერძოდ რუსა I-ის დროს (VIII ს. დასასრული ჩ. წ-მდე) ასეთ პროვინციის მმართველთა შორის აშკარად იჩენს თავს ცენტრალურ ხელისუფლებისაგან განცალკევების ტენდენცია, ადგილი აქვს მეფის წინააღმდეგ აჯანყებებს, რომელშიც ზოგჯერ ტუშფას სამხედრო არისტოკრატიაც იღებს მონაწილეობას.

ურარტუ-ბიაინის ამ არისტოკრატიულ ზედაფენას გააჩნდა კერძო მფლობელობაში მყოფი მამულები. რაც შეეხება რიგით თავისუფლებს, მათი ძირითადი მასა, უეჭველია, ჯერ კიდევ

ძირითადად თემური მიწისმფლობელობის პირობებში ცხოვრობდა.

ქვეყანა მოფენილი იყო სამეფო-სახელმწიფო მამულებით. ასეთი მამულები, როგორც წესი, თითქმის ყოველ სამხედრო-ადმინისტრაციულ ცენტრთან ეწყობოდა. ამ სამეფო მეურნეობებისათვის ურარტუს მეფეები აგებდნენ უზარმაზარ საწყობებს—ბეღელს, მარანს და სხვ. ურარტუს ტერიტორიაზე ასეთ უზარმაზარ საწყობებს მრავლად იხსენიებენ ასურული წყაროებიც. არქეოლოგიურმა გათხრებმაც ნათელჰყო ასეთ დიდ სახელმწიფო მეურნეობათა არსებობის ფაქტი. ამ დიდ სამეფო მეურნეობებში ძირითადად მონები მუშაობდნენ. ურარტუ — მონათმფლობელური სახელმწიფო იყო. მუდმივი ომები ბლომად იძლეოდა ტყვეებს. მონების მოპოვების ძირითად წყაროს სწორედ ომი წარმოადგენდა. მეფე ათასობით ასახლებდა ხოლმე ტყვეებს ამა თუ იმ ადგილას და მონებად იყენებდა სამეფო მამულებში ისევე, როგორც სხვა სამუშაოების შესასრულებლად. უმთავრესად მონური შრომით სრულდებოდა ის მონუმენტალური სამუშაოები (გრანდიოზული საარხო სისტემა, კლდეებში უზარმაზარი დარბაზები, სასახლეები, ტაძრები, ციხე-სიმაგრეები), რომელთა ჩვენამდე მოღწეული ნაშთები დღესაც მაყურებლის გაოცებას იწვევს. სამეფო-სახელმწიფოებრივი ხელისუფლების მხრით გარკვეულ ექსპლოატაციას განიცდიდნენ აგრეთვე სასოფლო თემებში გაერთიანებული რიგითი თავისუფლებიც. ისინიც, უეჭველია, მთელ რიგ ვალდებულებებს ასრულებდნენ სახელმწიფოს მიმართ (ირიგაცია, აღმშენებლობა, გადასახადები, სამხედრო ვალდებულება და სხვ.).

მონებს ფლობდნენ, რა თქმა უნდა, არა მარტო მეფეები. დიდი რაოდენობით ფლობდნენ მათ აგრეთვე სამხედრო არისტოკრატიის წარმომადგენლები. ომი ნადავლისა და მონების მოპოვების წყარო იყო არა მარტო მეფისათვის, არამედ მოლაშქრეებისათვისაც. თავის წარწერებში ურარტუს მეფეები არა ერთხელ აღნიშნავენ, რომ ნადავლის ნაწილი მეფეს ხვდა, ნაწილი კი მეომრებმა წაიღეს. აღნიშნულია ხოლმე ისიც, რომ ტყვეთა გარკვეული ნაწილი მეფემ მეომრებს მიუძღვნა. ურარტუს მეფეთა საომარ ტექსტებში მოყვანილი უზარმაზარი რიცხ-

ხვები ტყვეებისა გვიჩვენებს, რომ მონათა რიცხვი ურარტუში საკმაოდ დიდი უნდა ყოფილიყო (არგიშთი I-ის მატიანეში იხსენიება რამდენიმე წლის განმავლობაში 250 ათასზე მეტი ტყვის ხელში ჩაგდება, სარდური II-ის მატიანეში კი, აგრეთვე რამდენიმე წლის მანძილზე, 200 ათასამდე ტყვის ხელთგდება).

თემური მიწისმფლობელობის, სამეფო-სახელმწიფო მამულებისა და არისტოკრატიის კერძო მამულების გარდა ურარტუში იყო, აგრეთვე, დიდი სატაძრო მეურნეობები. ჩვენ ვიცით, ყოველ შემთხვევაში, თუ რა ზღაპრული სიმდიდრის მქონე იყო ხალდის ტაძარი ქალაქ მუსასირში. ვიცით ისიც, რომ ამ ტაძარს ურარტუს მეფეები ათასობით პირუტყვს და მრავალგვარ განძეულობას სწირავდნენ... რა თქმა უნდა, სატაძრო მამულები იყო ურარტუს კიდევ ბევრ სხვა პუნქტში.

5. ასურეთის ხელახალი გაძლიერება. ურარტუს მარცხები (ტიგლათფილესერ III-ისა და სარგონ II-ის ხანა)

745 წელს ჩ.-წ-მდე ასურეთის სამეფო ტახტზე ადის ტიგლათფილესერ III (745 — 727) — ასურეთის სახელმწიფოს ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო ორგანიზატორი. ტახტზე მისი ასვლის ჟამს ასურეთის მდგომარეობა ვერ იყო სახარბიელო. ურარტუს მოძალებით მას დაკარგული ჰქონდა მთელი თავისი ჩრდილოეთის სამფლობელოები და ბევრი სხვა ოლქიც ჩამოშორდა. ტიგლათფილესერ III გაატარა მთელი რიგი რეფორმებისა, განსაკუთრებით სამხედრო ორგანიზაციის სფეროში. ლაშქრის ტექნიკური ორგანიზაციის გაუმჯობესებასთან ერთად, მან მოახდინა საერთოდ არმიის რეორგანიზაცია. სახალხო ლაშქრის გვერდით, სადაც გამოდიოდა საკუთარი შეიარაღებით ყველა ასურელი მამაკაცი, მან შექმნა რამდენიმე ათი ათასიანი მუდმივი ჯარი და მასში გზა გაუხსნა გაღატაკებულ გლეხობასაც, რომელსაც საკუთარი ხარჯით არ შეეძლო შეიარაღება — ტიგლათფილესერ III-ემ ისინი სახელმწიფოს ხარჯზე შეაიარაღა.

ტიგლათფილესერ III-ის მიერ გატარებული ამგვარი რეფორმების წყალობით ასურეთის სახელმწიფოს ძლიერება მნიშვნელოვნად განმტკიცდა, მას საშუალება მიეცა კვლავ ძველე-

ბურ დაპყრობათა გზას დადგომოდა. ასურელებმა ყოველი მხრით მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს, დაიპყრეს სირია, დაიმორჩილეს ბაბილონეთი...

განახლდა ასურელთა ლაშქრობები ნაირის მხარეშიც. ასურულ წყაროებში ჩნდება ცნობები ასურელების წარმატებული ლაშქრობების შესახებ ჩრდილო-აღმოსავლეთით, ურმიის ტბის რაიონში. ტიგლათფილესერ III-ის მეფობის დასაწყისიდანვე ადგილი ჰქონდა შეტაკებებს, აგრეთვე, ურარტუსთან, სადაც ამ დროს სარდური II (760—730) მეფობდა.

უკვე მეფობის მე-3 წელს ტიგლათფილესერმა გაილაშქრა სირიაში და იქ გამარჯვება მოიპოვა ურარტუს ლაშქარზე. ამ დროს ურარტელებს ჩრდილოეთ სირიაში მტკიცედ ჰქონდათ ფეხი მოკიდებული. სარდურმა ჩრდილოეთ სირიის მსხვილი ერთეულების მონაწილეობით შექმნა დიდი კოალიცია ასურეთის წინააღმდეგ, რომელშიც შედიოდნენ: აგუსის ქვეყნის მმართველი. მატიილუ, მელიდის (მალატიის) მეფე სულამალი, გურგუმის მმართველი თარხულარა და კუმუხის მეფე კუშტაშფი. ამ დიდ კოალიციასთან ტიგლათფილესერ III-ეს 735 წელს მოუხდა შეტაკება. ბრძოლა კვლავ ჩრდილოეთ სირიაში მოხდა. ასურელებმა გაიმარჯვეს, ურარტუს მეფე კი თავისი ლაშქრის ნარჩენებით სასწრაფოდ თავისი ქვეყნის შუაგულისაკენ გაემართა და დედაქალაქ ტუშფას ციტადელში ჩაიკეტა. ტიგლათფილესერის ლაშქარი შეიჭრა ურარტუში, მიადგა ტუშფას და ალყა შემოარტყა. ასურელებმა დაარბიეს ციტადელთან გაშენებული ქალაქი, მაგრამ თვით ციტადელის აღება ვერ მოახერხეს. ტიგლათფილესერმა ქალაქის კარიბჭის პირისპირ თავისი გამოსახულება დაადგმევინა და დაბრუნდა ასურეთში. ტიგლათფილესერ III იკვეხნის, რომ ურარტუს ბევრი ოლქი მან ასურეთის ტერიტორიას შეუერთა.

ტიგლათფილესერ III-ის ამ სამხედრო წარმატებებით ურარტუს ძლიერებამ საგრძნობი დარტყმა განიცადა. ურარტუმ დაჰკარგა ზოგი პერიფერიული რაიონი, გამოიდევნა ჩრდილოეთ მესოპოტამიისა და ჩრდილოეთ სირიიდან. მერყევი გახდა მისი პოზიციები ურმიისპირა რაიონშიც (მანა, მუსასირი). სახელმწიფო ცენტრალიზაციის საქმესაც ამით დიდად ეშნო:

ურარტუს ცალკეული ოლქების მმართველებმა (არა მარტო დამორჩილებული ქვეყნების ვასალურ დამოკიდებულებაში ჩაყენებულმა ხელისუფლებმა, არამედ ურარტუს მეფეთა მიერ პროვინციათა მმართველებად დაყენებულმა ურარტელმა სარდლებმაც) ცენტრალურ ხელისუფლების წინააღმდეგ დაიწყეს ბრძოლა, რათა მისი ხელქვეითობიდან გამოსულიყვნენ.

ასურეთი კიდევ უფრო გაძლიერდა სარგონ II-ის (722 — 705) მეფობაში, რომლის დროსაც ბრძოლა ასურეთსა და ურარტუს შორის უფრო გამწვავდა. სარგონის ეპოქაში ასურეთისა და ურარტუს ინტერესთა დაპირისპირების უმთავრეს ასპარეზს წარმოადგენდა ურმიის ტბის რაიონი, ბრძოლა მათ შორის ძირითადად ამ რაიონის ფონზე გაიშალა.

აქ, ურმიის ტბის სამხრეთითა და აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორიაზე, როგორც ვიცით, იყო მანაელ ტომთა მსხვილი გაერთიანება — მანას სამეფო. მისი დედაქალაქი იყო ქალაქი იზირთა, ამ გაერთიანებას ქალაქ იზირთას მმართველები ედგნენ სათავეში. ჩვენ უკვე ვიცნობთ, თუ როგორი იყო დამოკიდებულება მანასა და ურარტუს შორის IX ს. დასასრულსა და VIII ს-ის პირველ ნახევარში, ურარტუს ძლევამოსილების ხანაში. ამ დროს მანას უმთავრეს მოწინააღმდეგეს ურარტუ წარმოადგენდა. ურარტუსთან ბრძოლების შედეგად მანას სამეფომ დაჰკარგა ბევრი თავისი რაიონი, რომელიც ურარტელთა მფლობელობაში გადავიდა. ასე მაგალითად: ასურეთის მეფე სარგონი ამბობს, რომ მანას ერთ-ერთი ოლქი უიშდიში (ურმიის ტბის აღმოსავლეთით) ურარტუს შეფემ ურსამ (რუსა I) მიიტაცაო. უფრო ჩრდილოეთით, ურმიის ტბის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე მანაური სუბის ოლქი კიდევ უფრო ადრე მიუტაციათ ურარტუს მეფეებს.

მაგრამ მანასა და ურარტუს შორის თითქმის მთელი საუკუნის განმავლობაში მიმდინარე ამ სასტიკ ბრძოლებს მანას მხრით მარტო ამა თუ იმ ტერიტორიის დაკარგვა როდი მოჰყვა შედეგად, არამედ იზირთას ჰეგემონობით ჩამოყალიბებულმა მანაელ ტომთა გაერთიანებამ შლა იწყო.



ᲐᲡᲣᲠᲔᲗᲘᲡ ᲯᲐᲠᲘᲡ მიერ მანაელთა ციხე-სიმაგრის აღება 716 Წ. (გამოსახულება სარგონ II-ის სასახლის რელიეფზე).

ურარტუსთან ბრძოლაში განცდილმა მარცხებმა საფუძ-ვლიანად შეარყია აქ იზირთას ერთეულის, როგორც მანაელ ტომთა გაერთიანების ჰეგემონის, პოზიციები. ბრძოლა ჰეგე-მონობისათვის აქ უფრო და უფრო მწვავდებოდა. იზირთას მეფეთაგან ჩამოშორებას იწყებდა გაერთიანების ბევრი მსხვი-ლი ერთეული (ეტყობა, იმ დროსაც, როდესაც გაერთიანების შიგნით იზირთას ხელმძღვანელი პოზიციები ჯერ კიდევ მტკი-ცე იყო, ეს გაერთიანება არ წარმოადგენდა ეკონომიურად და პოლიტიკურად მჭიდროდ შეკავშირებულ ორგანიზმს, რა-მაც, რასაკვირველია ხელი შეუწყო სწრაფ დაშლას). სარგონ II-ის (722 — 705) დროის წყაროებიდან ჩვენ ვიგებთ, რომ მანას გაერთიანების დაშლის პროცესი უკვე ძალზე შორს წა-სულა: მანა, ე. ი. ტერიტორია, რომელიც ისევ იზირთას მე-ფეების მფლობელობაში იმყოფება, ამ ხანაში ყოველი მხრი-დან გარშემორტყმული ჩანს მტრულად განწყობილი პოლიტი-კური ერთეულებით. მანას ჩრდილოეთით (ურმიის ტბის აღ-მოსავლეთით) ჩვენ ვხედავთ უიშდიშის ქვეყანას, რომლის მმართველი ბაგდათიც 716 წელს აქტიურად მონაწილეობდა მანას მეფის აზას დამარცხებასა და მოკვლაში. ამავე ამბებში მონაწილეობდა მანას სხვა მეზობელი — მისიანდუს მმართ-ველიც. მანას სამხრეთით იყო ბით-დაიუქის ქვეყანა, რომლის მმართველმა დაიუქუმ 715 წელს ურარტუს მეფის ხელისშეწ-ყობით მიითვისა მანას გარკვეული ტერიტორია (22 ციხე-ქა-ლაქი). მანას აღმოსავლეთით იმყოფებოდნენ ზიქირთუსა და ანდიას ქვეყნები, რომლებიც სარგონის ხანაში, როგორც წყა-როებიდან ჩანს, მანას სამეფოს ყველაზე დაუძინებელ მტრე-ბად ითვლებოდნენ. მანას შემაწუხებელი ყველა ამ ერთეულის (კერძოდ ზიქირთუს, უიშდიშის, მისიანდუს, ბით-დაიუქის) მმართველები სარგონის წარწერებში მოიხსენებიან, როგორც მათი ბატონის — მანას-მეფის წინააღმდეგ მეამბოხენი, მისი ურჩი მსახურნი; მანას მეფე აზაზე გამარჯვებულ ზიქირთუს, უიშდიშისა და მისიანდუს მმართველებს სარგონი ეძახის „მა-ნას (მეფის) დიდ ნაცვლებს“ (ე. ი. მანას მეფის მოხელეებად განიხილავს); ბით-დაიუქის მმართველი დაიუქუც, სარგონის თქმით, „მანას (მეფის) ნაცვალია“. ზიქირთუს მეფის მითათის

მისამართით კი (რომელიც, როგორც წარწერებიდან ჩანს, უფრო ძლიერი ხელისუფალი იყო, ვიდრე მანას მეფე) სარგონი ამბობს, რომ იგი განუდგაო მანას მეფეს ულუსუნუს, თავის ბატონს, უარჰყო მისი სამსახურიო; უიშდიშის ქვეყნის მიმართ კიდევ სარგონი ამბობს, რომ ეს მანაა ოლქია, რომელიც ურარტუს მეფე რუსამ მიიტაცაო და სხვ. რასაკვირველია, სარგონი ყველა ამ შემთხვევაში მის მფარველობაში მყოფ მანას სამეფო სახლის პრეტენზიებს იმეორებს. ეს პრეტენზიები კი, ალბათ, იმ დროის გამოძახილია, როდესაც იზირთას მეფეთა ჰეგემონობით არსებული მანაელ ტომთა გაერთიანება შეიცავდა ყველა ამ, ახლა უკვე მანას მეფეთაგან დამოუკიდებლად ქცეულ, მსხვილ ერთეულს.

მანას გაერთიანების შიგნით მიმდინარე ეს ბრძოლა მჭიდროდ იყო გადანასკვული უცხო სახელმწიფოების, ასურეთისა და ურარტუს ბრძოლასთან მანას რაიონში ჰეგემონობისათვის. თავისი ძლიერების ხანაში, როდესაც ურარტუ გამუდმებულ და წარმატებით ომებს აწარმოებდა მანას სამეფოსთან, ურარტუს მეფეები ყოველნაირად აქეზებდნენ პარტიკულარისტულ, ცენტრისაგან ჩამოშორების ტენდენციებს მანას გაერთიანების წევრთა შორის. ამიტომაც, ბოლოს და ბოლოს იზირთას სამეფო სახლისაგან გამდგარი მანას გაერთიანების ყველა მსხვილი წევრი ურარტუს მეფეთა მფარველობაში მოექცა. სარგონის ეპოქაში ყველა ეს ზიქირთუ, უიშდიში, ბითდაიუქი, მისიანდუ და სხვანი მუდამ ურარტუს მბარდაჭერით სარგებლობდნენ. ასეთ ვითარებაში მანას სამეფო სახლი გარკვეულად იღებს ორიენტაციას ასურეთის მხარდაჭერაზე, მით უმეტეს, რომ VIII საუკუნის შუახანებიდან, როდესაც ასურეთის სამეფო ტახტზე ავიდა ტიგლათფილესერ III, ასეთი ორიენტაცია ასურეთზე უკვე პერსპექტივის მქონედ მოჩანდა. ტიგლათფილესერ III-ის (745 — 727) მეფობიდან, როგორც ვთქვით, ასურეთსა და ურარტუს შორის წარმოებულ ბრძოლაში გამარჯვების სასწორი უფროდაუფრო ასურეთის მხარეს გადაიხარა. ეტყობა, ტიგლათფილესერ III-ის დროსვე მანას მეფეები ასურეთის მეფეებს თავის სიუზერენებად სცნობ-

ენ, რაკი უკვე სარგონ II-ის (722—705) მეფობის დასაწყისში მანას მეფე ირანზე ასურელთა ვასალი მოჩანს.

სარგონის დროს ასურეთისა და ურარტუს მეტოქეობის უმთავრეს ასპარეზს, როგორც ვთქვით, მანას სამეფოს რაიონი წარმოადგენდა. ამ ბრძოლაში აქტიურად მონაწილეობდნენ ადგილობრივი ძალებიც: მანას სამეფო სახლი ასურეთის მხარეზე იყო, მანასაგან გამდგარი „ქვეყნები“ კი (მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანს ზიქირთუ და ანდია წარმოადგენდა) ურარტუს მხარეზე იმყოფებოდნენ. ბრძოლა ცვალებადი უპირატესობით მიმდინარეობდა. ერთხანს „ურარტული პარტია“ დიდ წარმატებას აღწევს: ურარტუს მეფის წაქეზებით (ეტყობა, ურარტელთა მონაწილეობა ამ ამბებში ამით ამოიწურა და ისინი მომხდარ შეტაკებაში უშუალოდ არ მონაწილეობდნენ), უიშდიშის, ზიქირთუს და მისიანდუს მმართველები აუჯანყდნენ ასურეთის ვასალს, მანას მეფეს აზას, დაამარცხეს და მოკლეს იგი. მანას სამეფო ტახტზე მათ დასვეს მოკლული მეფის ძმა ულუსუნუ, რომელიც აიძულეს ურარტუს მეფის ერთგულების ფიცი დაედო. ეს ნიშნავდა არა მარტო ასურეთის ერთგული მანას ლიკვიდაციას, არამედ ამავე დროს მოასწავებდა იმასაც, რომ თვით მანას ძველი გაერთიანების რაიონში იზირთას მმართველები ჰკარგავდნენ ჰეგემონობას. ასეთი ჰეგემონობა, რასაკვირველია, გადავიდოდა ურარტუს ძველი მოკავშირეების, კერძოდ ზიქირთუს ძლიერი ერთეულის ხელში. ყველაფერი ეს, ეტყობა, კარგად ესმოდა მანას მეფეს ულუსუნუს და მალე იგი, როგორც კი ამის შემთხვევა მიეცა, დაუბრუნდა თავისი წინაპრების პოლიტიკას — ასურულ ორიენტაციას.

მანას რაიონში ურარტუს მეფეთა პოზიციები, როგორც ვხედავთ, იმდენად ძლიერი იყო, რომ ხშირად აქ ურარტელთა სამხედრო ძალის უშუალო ჩარევის გარეშეც წარმატებით კეთდებოდა ურარტუს საქმე. ეს არ ითქმის ასურეთის მიმართ, რომლის მფარველობაში მყოფი მანას სამეფო სახლი თავისი საკუთარი ძალებით ზოგჯერ უძლური იყო გამკლავებოდა რამდენიმე აჯანყებულ ქალაქსაც კი, რომელთაც მხარს უჭერდა ზიქირთუს ლაშქარი. ურმიისპირა რაიონში ასურელთა

პოზიციების დასაცავად სარგონს სისტემატურად უხდება მანაში ლაშქრობათა მოწყობა. ასეთ ექსპედიციებს ადგილი ჰქონდა, კერძოდ, 719, 716, 715 და 714 წლებში. განსაკუთრებით საბედისწერო ურარტუსათვის იყო მანა-ურარტუს ტერიტორიაზე სარგონ II-ის 714 წლის ლაშქრობა. ამ ლაშქრობის დროს განცდილ მძიმე დამარცხებათა შედეგად ურარტუმ ვეღარ შესძლო თავისი ძველი ძლიერების აღდგენა და მეორეხარისხოვან სახელმწიფოდ იქცა. რადგან სარგონის ამ ლაშქრობას ასეთი დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ჩვენ მასზე უფრო დაწვრილებით შევჩერდებით.

714 წლის გაზაფხულის დასაწყისში სარგონის ლაშქარი სახედრებისა და აქლემების დიდი ქარავნით გაემართა სალაშქროდ ქალაქ კალხუდან ჩრდილოეთით, ურმიის ტბის მიმართულებით. მანას მეფემ ულუსუნუმ როგორც კი შეიტყო სარგონის ლაშქრის მიახლოების ამბავი თავისი დიდებულებით, უხუცესებით, მრჩევლებით (ყველა ისინი მისი გვარის წევრები ყოფილან) და აგრეთვე მრავალი მოხელითურთ გამოვიდა თავის დედაქალაქ იზირთადან, რათა სარგონს დახვედროდა. ქალაქ სინიხინისთან, მანას ერთ-ერთ სასაზღვრო ციხე-ქალაქთან, მანას მეფე მთელი თავისი ამალით გამოცხადდა ასურეთის მეფის წინაშე და მდიდარი ძღვენი მიართვა (ცხენები, ხარები, წვრილფეხა საქონელი).

სარგონის ლაშქარმა განაგრძო მოქმედება მანას საზღვრების რაიონში, ურმიის ტბის სამხრეთით მდებარე ტერიტორიაზე: ჯერ ალაბრიას ტერიტორიაზე გაიარა, შემდეგ ფარსუას ქვეყანაში გადავიდა. აქ სარგონმა ხარკი აიღო მანას მეზობლებისაგან: ალაბრიას მეფისაგან, ნამრის, სანგიბუთუს, ბით-აბდადანის, ელიფის და მიდიელთა ქვეყნის მმართველებისაგან (ცხენები, ჯორები, ხარები და წვრილფეხა საქონელი).

ამის შემდეგ სარგონის ლაშქარი კვლავ მანას ტერიტორიაზე გადავიდა, შევიდა მანას ქვეყნის ერთ-ერთ ოლქ „მისი“-ში. ულუსუნუ ამ ოლქის ერთ-ერთ ციხე სიმაგრეში სირდაქაში უცდიდა სარგონის ლაშქარს, აგროვებდა აქ ასურელთა ლაშქრისათვის საჭირო სურსათს. სარგონს მან თავისი უფროსი ვაჟიშვილი მისცა მძევლად მდიდარი ძღვენით, ამასთანავე

სპეციალური წარწერა გააკეთებინა თავისი ძისათვის მემკვიდრეობის უზრუნველსაყოფად (მანას სამეფოში ჩვენ სასტიკ ბრძოლებსა ვხედავთ ტახტის გარშემო; ასურეთში მძევლად მყოფი უფლისწულისათვის ტახტის წართმევა, ალბათ, განსაკუთრებით ადვილი იქნებოდა, რაც აიძულებდა ულუსუნუს დროულად ეზრუნა თავისი შვილისათვის მემკვიდრეობის შენარჩუნებაზე). აქვე ულუსუნუმ სარგონს დიდი ხარკი მიართვა: ცხენები, მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვი. ჯარისათვის კი ულუსუნუმ მას დაახვედრა უამრავი ფქვილი და ღვინო. ულუსუნუ და მისი დიდებულები, მიწაზე განრთხმულნი, ევედრებოდნენ მას, რომ დაეცვა ისინი ურარტელთა თარეშისაგან. სარგონმა მათ საზეიმო პირობა მისცა, რათა გააცამტვერებდა ურარტუს, აღადგენდა მათ (მანას ქვეყნის) საზღვრებს, მშვიდობას დაუბრუნებდა მანაელთა საბრალო ხალხს. აქ, მანას ქალაქ სირდაქაში, სარგონმა დიდი ნადიმი მოაწყო, რომელშიც ასურელთა გვერდით მანაელი დიდებულებიც მონაწილეობდნენ.

სირდაქადან წასული სარგონის ლაშქარი დიდხანს მიემართებოდა მანაელთა სასაზღვრო ზონით ბით-ქაბსისა და მიდიელთა ქვეყნების გასწვრივ და მიადგა მანას დიდ ციხე-სიმაგრეს, ფანზიშს, რომელიც მანას აღმოსავლეთით მდებარე ზიქირთუსა და ანდიას ქვეყნების წინააღმდეგ იყო აღმართული. აქედან სარგონი შევიდა ზიქირთუს ერთ-ერთ პერიფერიულ ოლქ აუქანეში. ზიქირთუს ცნობილმა მეფე მითათიმ, „ურარტული პარტიის“ ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელმა, დასტოვა თავისი დედაქალაქი ფარდა, აჰყარა და მთებში გახიზნა თავისი ქვეყნის ხალხი; ცხენები და მეომრები კი, სასწრაფოდ გაგზავნა ურარტუს მეფის რუსას დასახმარებლად. სარგონმა დაარბია მისი ქვეყანა: აქ იგი დაეუფლა 12 ციხე-ქალაქს მათ გარშემო მდებარე 84 სხვა ქალაქთან ერთად, დაანგრია მათი გალავანი, ცეცხლი წაუკიდა სახლებს და სხვ. ზიქირთუს ამ ოლქ აუქანედან სარგონი გადავიდა მანას ოლქ უიშდიშში, რომელიც რუსა მეფეს მიუტაცნია მანასაგან (ახლა უკვე სარგონის ლაშქარი ურმიის ტბის აღმოსავლეთით მოქმედებდა). აქ, უიშდიშის ქვეყანაში, უაუშის მთაზე (დღევ-

სოხენდი) მოხდა გენერალური შეტაკება სარგონის ლაშქრისა ურარტუს მეფე რუსასა და მისი მოკავშირეების (ზიქირთუს მეფე მითათის და სხვათა) ლაშქართან. ასურელებმა გადამწყვეტ გამარჯვებას მიაღწიეს. რუსა მეფემ გაქცევით უშველა თავს. სარგონის წარწერა ძალზე დიდ მნიშვნელობას აძლევს ამ გამარჯვებას: ნათქვამია, რომ ამით განთავისუფლდაო მანას ხალხი, ფეხი აეკვეთაო მტრებს (ურარტუს, ზიქირთუს, ანდიას) მათი ქვეყნიდან და სხვ.

უიშდიშის ოლქში სარგონი დაეუფლა ხორბლეულის მრავალ დიდ ბეღელს. საერთოდ, ურმიის ტბის აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორია სარგონის ამ ტექსტის მიხედვით მდიდარ სამიწათმოქმედო რაიონს წარმოადგენდა.

უიშდიშიდან წასული სარგონი მიადგება ურარტუს საზღვარზე მდებარე დიდ ციხე-სიმაგრე უშკაიას. ეს უკანასკნელი, როგორც ფიქრობენ, დღევანდელ ქალაქ თავრიზის რაიონში (სპარსეთში) უნდა ყოფილიყო. ასურელები ახლა სუბის ოლქში იმყოფებოდნენ, რომელსაც, სარგონის თქმით, ურარტელები, აგრეთვე მანას ეძახდნენ (ალბათ იმის გამო, რომ ამ ადგილების მოსახლეობაც ეთნიკურად მანაური იყო, თუმცა იგი შეიძლება არც ემორჩილებოდა ოდესმე მანას მეფეებს). ეს ტერიტორია (საქმე ეხება ურმიის ტბის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე მიწებს) ადრიდანვე ურარტუს სამეფოს ფარგლებში მოქცეული ჩანს.

სუბის მოსახლეობა მთელ ურარტუში განთქმული ყოფილა ცხენების მოშენებით. აქედან მიჰყავდათ თურმე ცხენები ურარტუს მეფის ჯარისათვის. აქაურობის დარბევის შემდეგ სარგონი ურარტუს სხვა ოლქში, ბარის ოლქში გადავიდა, რომელსაც აგრეთვე სანგიბუთუს ეძახდნენ (ესაა ურმიის ტბის ჩრდილოეთით მდებარე ტერიტორია). აქ სარგონი ჯერ მოქმედებდა გამაგრებული ქალაქების თარუისა და თარმაკისას რაიონში, მერე კი ქალაქ ულხუს რაიონში. ეს უკანასკნელი დღევანდელი მარანდის რაიონში უნდა ყოფილიყო. სარგონის ტექსტი ვრცელად აგვიწერს, თუ როგორ გადაუქცევია ურარტუს მეფე რუსას ეს უწყლო და ხრიოკი ადგილი მშვენიერ წალკოტად: გაუყვანია არხები, გაუშენებია

ბაღები, გაჩენილა მშვენიერი საძოვრები პირუტყვისათვის და სხვ. ულხუდან წასული სარგონი სანგიბუთუს კიდევ სხვა ციხე-ქალაქების რაიონში მოქმედებდა, სადაც იგი დიდძალ მარცვლეულს დაეუფლა.

სანგიბუთუდან სარგონის ლაშქარმა აღმოსავლეთისაკენ გაუხვია და ურარტუს ცენტრალურ რაიონებში შეიჭრა. ასურელებმა გვერდი აუარეს დედაქალაქ ტუშფას (ეტყობა, ჯერ კიდევ ახსოვდათ 735 წელს ტუშფას უშედეგო გარემოცვა). სარგონის ლაშქარმა გაიარა ვანის ტბის სამხრეთ სანაპიროზე გადაჭიმული აიადის ოლქი, შემდეგ კი, სამხრეთისაკენ იბრუნა პირი და სამშობლოსაკენ გაემართა. თვითონ სარგონმა დაიტოვა ათასკაციანი რაზმი და გადასწყვიტა მუსასირზე გალაშქრება.

სარგონი ვრცლად აგვიწერეს, თუ რა ძნელი გზის გავლა დასჭირდა მას იმისათვის, რომ მუსასირისათვის მიეღწია. სარგონის ლაშქარმა გადაიარა მდ. ზედა ზაბი, რომელსაც ამ რაიონში მცხოვრები ნაირის (ე. ი. ხუბუშქიას) და ხაბხის ხალხი თურქე ელამუნიას ეძახდა და მრავალი დიდი მთის გადალახვის შემდეგ მიაღწია ქალაქ მუსასირს (დღევანდელ ქალაქ როვანდუზის რაიონში). მუსასირის მეფე ურზანას არ უცდია თავისი ქალაქის დაცვა, მან გაქცევით უშველა თავს და თავისი დედაქალაქი სარგოხს მიუტოვა დასარბევად. სარგონმა აქ ხელთ იგდო, სხვათა შორის, ურზანას ცოლ-შვილი, ათასობით მცხოვრები, აგრეთვე, დიდი ოდენობით პირუტყვი (ჯორები, სახედრები, მსხვილფეხა და წვრილფეხა რქოსანი პირუტყვი) და სხვ. ასურელებმა ძირფესვიანად გაძარცვეს ურზანას სასახლე, სადაც მათ ზღაპრული სიმდიდრე ჩაუვარდათ ხელში: დაახლოებით 1040 კილოგრამი ოქრო, 5061 კილოგრამი ვერცხლი, ხელთ იგდეს დიდი ოდენობით აგრეთვე სპილენძი, ტყვია და ძვირფასი ქვები. აქვე ასურელებმა გაძარცვეს ურარტუს უზენაესი ღვთაება ხალდის ცენტრალური ტაძარი, სადაც ასურელებს აგრეთვე დიდძალი სიმდიდრე ჩაუვარდათ ხელში: დიდი ოდენობით ოქრო, დაახლოებით 4918 კილოგრამი ვერცხლი, 109 080 კილოგრამი სპილენძი. ასურელებს აქ ხელში ჩაუვარდათ სხვათა შორის 6 ოქროს ფარი,

12 ვერცხლის ფარი, რომლებიც მოსართავის სახით ჩამოკიდებული ყოფილა ტაძრის კედლებზე. აქვე ხელთ იგდეს ასურული, ურარტული და ხაბხური ბრინჯაოს სხვადასხვა ნაწარმი. ხალდის ტაძარში მდგარა ურარტუს მეფეებისა თუ ურარტუს სამეფო სახლის სხვა წარმომადგენლების (იშფუინის ვაჟის სარდურის, არგიშთი და რუსა მეფეების) ბრინჯაოს უზარმაზარი ქანდაკებები და კიდევ სხვა დიდი ქანდაკებები. ამავე ტაძრიდან ასურელებმა წაიღეს ურარტუს უზენაესი ღვთაება ხალდისა და „მისი მეუღლის“, მუსასირის უზენაეს ქალღმერთის ბაგმაშთუს ქანდაკებები. ეს ღვთაებათა დატყვევებას ნიშნავდა.

* * *

სარგონის ამ გრანდიოზული ლაშქრობის შედეგები ძალზე დიდი მნიშვნელობისა იყო. სარგონის ლაშქარმა ცეცხლითა და მახვილით გადაიარა ურარტუს ტერიტორიაზე; სარგონი იკვეხნის, რომ მან დაარბია ურარტელ ურსას (ასე ეძახდნენ ასურელები რუსას) ქვეყანა, დაიპყრო მისი 7 ოლქი და 430 ქალაქი. სარგონის ამ ლაშქრობამ ურარტუს ძლიერებას სერიოზული ლახვარი ჩასცა. გარეშე მტრებთან დამარცხებებმა ხელ-ფეხი აუხსნეს იმპერიის შიგნით ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართულ ძალებს: ურარტუს სამეფო შინაურმა არეულობამ მოიცვა. რუსას აუჯანყდნენ ურარტუს პროვინციათა გამგებლები. აჯანყებას სათავეში ჩაუდგა ურარტელთა ტურტანი (მთავარსარდალი) კაკადანუ და აჯანყებულებებს ურარტელთა ლაშქრის ნაწილიც მიემხრო. აჯანყებამ იფეთქა ოვით დედაქალაქ ტუშფაშიც, მაგრამ ურარტუს მეფემ მაინც მოახერხა ამ ამბოხებათა ჩაქრობა.

ამასობაში ურარტუს სხვა მხრითაც უჩნდება სერიოზული მოწინააღმდეგე. VIII საუკუნის დასასრულს ურარტუს საზღვრებზე გამოჩნდნენ ჩრდილოეთ-კავკასიის ველებიდან ამიერკავკასიის გამოვლით წინა აზიაში შემოსეული კიმერიელების ტალღები. ურარტელებს კიმერიელებთან შეტაკება მოუხდათ უკვე რუსა მეფის დროს. ეს შეტაკება ურარტელების დამარცხებით დასრულებულა: როდესაც ურარტუს მეფეს გაულაშ-

ქრია კიმერიელთა წინააღმდეგ, რომლებიც ამ დროს ურარტუს ჩრდილო-დასავლეთ პერიფერიაზე ჩანან, ურარტუს ლაშქარს სასტიკი მარცხი განუცდია — ლაშქრის დიდი ნაწილი კიმერიელებს გაუქლეტიათ, რამდენიმე სარდალი მოუკლავთ, ხოლო ურარტუს მეფეს გაქცევით გადაურჩენია თავი.

სარგონის დროს ასურელებთან ბრძოლაში განცდილი მარცხების შედეგად ურარტუმ საბოლოოდ დაჰკარგა თავისი ძლიერების ხანაში, მენუა-არგიშთი-სარდურის ეპოქაში, მოპოვებული რიგი ტერიტორიებისა, კერძოდ, ურარტუ განდევნილ იქნა ჩრდილოეთ მესოპოტამიისა და ჩრდილოეთ სირიის მთელ რიგ რაიონებიდან, განდევნილ იქნა იგი აგრეთვე ურმიისპირა რაიონიდან, სადაც ერთ დროს ურარტელებს მტკიცედ ჰქონდათ ფეხი მოკიდებული.

ასურეთის იმპერიის შემადგენელ ნაწილად ხდება ამის შემდეგ აქამდე ურარტუს იმპერიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ცენტრი — მ უ ს ა ს ი რ ი. თავის მე 8 (714 წლის) ლაშქრობის აღწერაში, მუსასირის დარბევის აღწერის დასასრულს სარგონი ამბობს: „მუსასირის ოლქის მოსახლეობა ასურელებს მივათვალე, საცხედრო და საალმშენებლო ვალდებულება, ასურელთა მსგავსად, დავაკისრე მე მათ“. ეტყობა, დაპყრობილი მუსასირი ასურეთის ერთ-ერთ რაიონად აქციეს, ხოლო მისა მოსახლეობა კი, ასურელებს გაუთანაბრეს. ყველა დაპყრობილი ქვეყნის მიმართ ასეთი რამის ჩადენა, ცხადია, არ შეიძლებოდა. ეტყობა, მუსასირში ამის საფუძველი არსებობდა: კერძოდ, როგორც აღვნიშნეთ, მუსასირში სავარაუდებელია ასურული ენისა, რელიგიისა და კულტურის ფართო გავრცელება, ასურეთის მოსაზღვრე რაიონებთან მჭიდრო ეკონომიური, საალებმიცემო ურთიერთობის არსებობა და სხვ.

714 წლის ომის შემდეგ ურარტუს მეფეებს, როგორც ჩანს, ხელი აღარ მიუწვდებოდათ მუსასირზე. მუსასირი ასურეთის მეფეთა იმპერიის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილად იქცა. ერთ ასურულ ძეგლში, რომელიც 714 წლის ომის შემდგომ ხანას უნდა ეკუთვნოდეს, იხსენიება ვინმე „ანალუკუნუ, ქალაქ მუსასირის მმართველი“. აქ მუსასირის ასურელ მმართველზე უნდა იყოს ლაპარაკი: თვითონ სარგონიც თავის

ანალებში, როდესაც ამთავრებს 714 წლის ექსპედიციის დროს მუსასირის დარბევის ამბის გადმოცემას, ამბობს, რომ დაპყრობილი ტერიტორია (აქ, პირველ ყოვლისა, სწორედ მუსასირის სამთავროს ტერიტორია იგულისხმება) ასურეთის ქვეყანას მივუმატე და ერთ-ერთ ასურელ მოხელეს ჩავაბარე სამართავად. მალე მუსასირის ტერიტორიაზე, ეტყობა, ცალკე საგამგებლო ოლქი შეიქმნა, რომლის მმართველი უნდა ყოფილიყო ზემოხსენებული „ანალუკუნუ, ქალაქ მუსასირის მმართველი“.

ასურეთის მეფეთა საისტორიო წარწერებში მუსასირი სარგონის შემდეგაც იხსენიება. მაგ ვხვდებით, მაგალითად, ასარქადონ მეფის (681 — 668) ერთ-ერთ წარწერაში. ტექსტი ძალზე დაზიანებულია, თუმცა ჩანს, რომ აქ ლაპარაკია ასარქადონის აღმშენებლობათა შესახებ. „მუსასირი“ აქ მოხვდა, ალბათ, როგორც ასურეთის მეფეთა იმპერიის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი, რომელმაც გარკვეული მონაწილეობა მიიღო წარწერაში მოთხრობილ აღმშენებლობაში. ამრიგად, მუსასირი, რომელიც სარგონ II-ის ხანამდე ურარტუს შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა, ამის შემდეგ ასურეთის შემადგენელ ნაწილად იქცა.

სარგონ II-ის 714 წლის ლაშქრობას მნიშვნელოვანი შედეგები მოჰყვა აგრეთვე მანასათვისაც. ამ ლაშქრობის შედეგად, როგორც ვთქვით, ურარტუ წელში იქნა გატეხილი, რითაც მანას მეტად საშიში მეზობელი ჩამოსცილდა. სარგონის სამხედრო წარმატებათა მეოხებით მანას მეფეები ახერხებენ თავისი სამეფოს ტერიტორიის გარკვეულ გაფართოებას. სარგონი აღნიშნავს, რომ მან მანას მეფე ულუსუნუს დაუბრუნა მანას ოლქი უიშდიში, მიტაცებული მანასაგან ურარტუს მეფის მიერ. სარგონი, ამასთანავე, კანონიერად სთვლიდა მანას მეფეთა პრეტენზიებს მეზობელ ზიქირთუსა და ზოგ სხვა ქვეყანაზე. სარგონის გამარჯვებათა შედეგად, ალბათ, მანას აღმოსავლეთით მდებარე ამ ზიქირთუს, ანდიას და სხვათა ტერიტორია ან მისი მნიშვნელოვანი ნაწილი მართლაც კვლავ მანას მეფეების მფლობელობაში მოექცა. ამრი-

გად, ასურეთთან კავშირის მეოხებით მანას ქვეყნის მმართველებმა საგრძნობლად გაიფართოეს თავისი სამეფოს ტერიტორია და განიმტკიცეს თავისი შერყეული პოზიციები.

6. ნაირი-ურარტუს მხარე VII საუკუნეში ჩ. წ-ედ

სარგონ II-ის თანამედროვე ურარტუს მეფე რუსა I-ის შემდეგ ურარტუ მართალია საგრძნობლად დასუსტდა, მაგრამ თავისი პოლიტიკური დამოუკიდებლობა მას არ დაუკარგავს საუკუნეზე მეტ ხანს. ამ პერიოდში ურარტუში მეფობდნენ: არგიშთი რუსას-ძე (714 — 685), რუსა არგიშთის-ძე (685 — 645), სარდური რუსას-ძე (645 — 625), ერიმენა (625 — 605), რუსა ერიმენას-ძე (605 — 585).

ამ ეპოქაში ურარტუს ისტორიის შესახებ ჩვენ ძალიან ცოტა რამ ვიცით. ურარტუს ჩამოთვლილ მეფეთაგან მხოლოდ ზოგიერთისაგან (არგიშთი რუსას-ძის, რუსა არგიშთის-ძის, რუსა ერიმენას-ძისაგან) არის მოღწეული ჩვენამდე თითო-ოროლა წარწერა, რომლებიც ძირითადად ამ მეფეთა სამშვიდობო საქმიანობის შესახებ ბოგვითხრობს. ზოგი მათგანის (არგიშთი რუსას ძის, რუსა არგიშთის-ძის, სარდური რუსას-ძის) შესახებ მცირეოდენი ცნობები დაცულია თანადროულ ასურულ წყაროებშიც.

სარგონი სასტიკად გაუსწორდა ურარტუს მეფეთა მოკავშირეებს ჩრდილოეთ სირიაში. 713 წელს სარგონმა ილაშქრა ტაბალის მეფის ამბარისისა და მუშქების მეფის მითას წინააღმდეგ — ურარტუს მეფის რუსას ძველი მოკავშირეების წინააღმდეგ. 712 წლისათვის ასურული წყაროები იხსენიებენ სიმაგრეების აგებას მუშქებისა და ურარტელთა სამფლობელოების საზღვარზე.

708 წელს სარგონი გაუსწორდა კუმუხის მეფეს — მუთალუს, რომელიც ძღვეინსა და ყოველწლიურ ხარკს უგზავნიდა რუსა I-ის მემკვიდრეს, ურარტუს მეფე არგიშთის. ეტყობა, კუმუხში განსაკუთრებით ძლიერად ჰქონიათ ფეხი მოკიდებული ურარტუს მეფეებს. ურარტუს მეფე არგიშთი თანამედროვე იყო ასურეთის მეფე სინაქერიბისა. სინაქერიბის წარწერებში არაფერია ნათქვამი ამ დროის ურარტუსთან ასურე-

ლთა საომარი შეტაკების შესახებ. 681 წლის სასახლის გადატრიალების დროს მოჰკლეს ასურეთის მეფე სინაქერიბი, რომლის მკვლელი მისი ვაჟებიც, ბიბლიური ტრადიციის მიხედვით, ურარტუს ქვეყანაში გაიქცნენ.

სინაქერიბის მემკვიდრის, ასარქადონის (681 — 668) ხანაში ურარტუში მეფედ უკვე ამ არგიშთის ძე რუსა ჩანს (რ უ ს ა II). რუსა II-ეს ხშირად ურარტუს სახელმწიფოს რესტავრატორს ეძახიან. ჩვენამდე მოაღწია მისმა რამდენიმე წარწერამ, სადაც იგი მის მიერ სამეფოს სხვადასხვა რაიონში (ვანის ტბის ჩრდილო-დასავლეთ სანაპიროზე, დღევანდელ სოფ. ადილჯევაზის რაიონში, ამიერ-კავკასიაში — არარატის ველზე, ვანის ტბის ჩრდილო-აღმოსავლეთით — მაქუს რაიონში) წარმოებულ ფართო სააღმშენებლო საქმიანობის, არხების გაყვანის, ბაღ-ვენახების გაშენების შესახებ ლაპარაკობს. ამასთანავე ჩნდება ცნობები ურარტელთა სამხედრო აქტივობის შესახებ ისეთ შორეულ რაიონებშიც კი, როგორიცაა ჩრდილოეთი სირია და მცირე აზიის აღმოსავლეთი ნაწილი. რუსა II-ის დროს ურარტელებს წარმატებით გაულაშქრიათ ხეთებისა (ჩრდ. სირია) და მუშქების წინააღმდეგ.

შეიძლება, რუსა II-ის ხანაში ურარტუს გაძლიერება ნაწილობრივ მაინც ამ ხანებში ურარტელების მიერ სკვითებისა და კიმერიელების დაქირავებული რაზმების ფართოდ გამოყენების შედეგს წარმოადგენს. ამგვარი ვითარების არსებობაზე მიგვითითებს ასურეთის მეფის ასარქადონის ერთი რელიგიური ტექსტი, სადაც ღვთაება შამა'მისადმი მიცემული სამისნო შეკითხვით ასარქადონს სურს შეიტყოს ასურეთის წინააღმდეგ ურარტელ რუსასა და გიმირუს ხალხის (კიმერიელთა) განზრახვები.

მაინც, ეტყობა, არც რუსა II არგიშთის-ძის (685 — 645) დროს მომხდარა საომარი შეტაკებანი ასურეთსა და ურარტუს შორის. ყოველ შემთხვევაში ამის შესახებ არაფერი ისმის წყაროებში. პირიქით, როდესაც ასარქადონმა ურარტუს სამეფოს სამხრეთ-დასავლეთით მდებარე შუფრიაზე ილაშქრა (673 — 672 წ. წ.) და ურარტელი ლტოლვილები ჩაუვარდა ხელში, ისინი მან ურარტუს მეფეს დაუბრუნა.

ასარქადონის მემკვიდრის ასურბანიპალის (668 — 626) მეფობაში, 654 წელს, ასურეთის სამეფო კარს ურარტუს მეფე რუსა II-ისაგან ელჩები სწვევია. „იმ დროს, — ამბობს ასურბანიპალი, ურარტუს მეფემ რუსამ გაიგო ჩემ ღვთაებათა ძლევამოსილება და ჩემი უდიდესებულების შიშმა სძლია იგი. მან გამომიგზავნა არბელაში თავისი მთავრები ჩემს მისასალმებლად“. ურარტუს ეს ელჩები გამოსახული არიან კუიუნჯიკის სასახლის რელიეფებზედაც.

ასურბანიპალის ანალები 639 წლისათვის აღნიშნავენ ურარტუს მეფის სარდურის ელჩების მოსვლას ასურეთის სამეფო



რუსა ერიმენას-ძის ბრინჯაოს ფარზე ამოკვეთილი გამოსახულებანი

კარზე: „სარდურმა (ურარტუს მეფემ), გაიგო რა ძლევამოსილებისა და საგმირო საქმეთა შესახებ, რომელნიც მე განმი-

კუთვნეს დიადმა ღმერთებმა, მიესალმა (ჩემს) უდიდესებულებას, როგორც ძე მამას, და ამასთან ერთად მწერდა: „სალამი მეფეს, ჩემ მეუფეს“; თავდაბლადა და ქედმოდრეკით მძიმე ძღვენი გამომიგზავნა მე მან“. როგორც ვხედავთ, ამ დროისათვის ურარტუს ტახტზე რუსა II არგიშთის-ძე ამ სარდურს (სარდური III) შეუცვლია.

ურარტუს ამ ნეფის შემდეგ ჩვენ გვაქვს ცნობები კიდევ ურარტუს ერთი მეფის — რუსა III ერიმენას-ძის შესახებ. ჩვენამდე მოაღწია დედაქალაქ ტუშფაში აღმოჩენილმა მისმა რამდენიმე წარწერამ ფარებზე და აგრეთვე ერთმა საალმშენებლო წარწერამ ამიერ-კავკასიიდან, არმავირის რაიონიდან.

* *
*

როგორც ვხედავთ, VII საუკუნის მანძილზე ასურეთსა და ურარტუს შორის ძირითადად მშვიდობიანი ურთიერთობა სუფევდა. არაფერი ისმის მათ შორის საომარი შეტაკებების შესახებ. პირიქით, ზოგჯერ, როგორც დავინახეთ, ურარტუს მეფეთა ელჩები ასურეთის სამეფო კარზე ცხადდებოდნენ მდიდარი ძღვენით, ასურეთის მეფისადმი თავისი პატივისცემის დასადასტურებლად. ეს, რასაკვირველია, იმას არ ნიშნავს, რომ ურარტუ ამ დროს მოხარკე იყო ასურეთისა ან პოლიტიკურად ასურეთისადმი დაქვემდებარებულ ერთეულს წარმოადგენდა. ურარტუ ასურეთის კეთილგანწყობასა და ასურეთთან მეგობრობას ალბათ სულ სხვა მიზეზით ეძებდა: ამ დროს ურარტუს ახლო მეზობლად გაჩნდნენ საშიში მტრები, რომელთა წინააღმდეგაც ურარტუ მხარდაჭერას ეძებდა ამ თავის ყოფილ მოწინააღმდეგესთან. ჩრდილოეთიდან, ჩრდილოეთ კავკასიიდან შემოსეული სკვითები და კიმერიელები დათარეშობდნენ ურარტუს საზღვრებზე და სერიოზულ საფრთხეს უქმნიდნენ ურარტუს სამეფოს, კერძოდ, მის ჩრდილოეთ რაიონებს. ამას გარდა, ურარტუს მეზობლად ძლიერდება და საშიშ ძალად იქცევა მ ა ნ ა ს ს ა მ ე ფ ო ც, რომელიც ამ დროს ძლევამოსილი ასურეთისათვისაც კი სერიოზულ მოწინააღმდეგედ იქცა, უმთავრესად სკვით-კიმერიელებთან კავშირის მეოხებით.

სარგონ II-ის (722 — 705) დროს და სარგონის იარაღის შემწეობით მანამ, როგორც ვთქვით, მნიშვნელოვან გაძლიერებას და თავისი ტერიტორიის გაფართოებას მიაღწია. ამის შემდეგ მანა, ეტყობა, ცოტა ხანს რჩება ლოიალური ასურეთის მიმართ. მალე ძლიერი მანა ვეღარ შეეგუა ასურეთის მორჩილებას და მასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს (ასურელებმა მანას სამეფოს, სხვათა შორის, ხარკის ხდის ვალდებულებაც დააკისრეს). მანამ სარგონის შემდეგ მალე აღარ იცნო ასურელთა ბატონობა, ხარკი არ გადაიხადა და, პირიქით, ასურეთის შევიწროება დაიწყო. სარგონის დროინდელი მეგობრობა ახლა მტრობით შეიცვალა. უკვე სარგონის მემკვიდრე მეფე სინაქერიბი (705 — 681) ჩიოდა, რომ მანას ხალხი არ იყო ჩემი უღლის მორჩილიო. სინაქერიბი იკვეხნიდა, რომ მან ეს ურჩი მანას ხალხი წამოიყვანა თავისი ქვეყნიდან (ტყვეების წამოყვანაზეა ლაპარაკი) და აგურებს აზიდვინებდა, მშენებლობებზე ამუშავებდა.

დამახასიათებელია, რომ VII საუკუნის მანძილზე მანა ასურულ წყაროებში მეტად ხშირად იხსენიება კიმერიელებსა და სკვითებთან კავშირში: ასარქადონის (681 — 668) ხანის რელიგიურ ტექსტებიდან ვიგებთ, რომ ქარ-ქაშის მმართველ ქაშთარითის მეთაურობით ასურეთის წინააღმდეგ მოწყობილა დიდი კოალიცია, სადაც მიდიელებთან, კიმერიელებთან და ზოგ სხვა ხალხთან ერთად ვხედავთ მანაელებსაც. ასურეთის სამეფო კორესპონდენციაში დაცული ერთი ტექსტი იხსენიებს კიმერიელთა გალაშქრებას ურარტუზე მანას ქვეყნიდან. ამავე სამეფო კორესპონდენციაში დაცული სხვა წერილებიდან, რომელიც ასარქადონისადმია მიმართული, ვიგებთ, რომ კიმერიელები აქტიურად ერეოდნენ მანასა და ასურეთს შორის მიმდინარე ბრძოლაში მანას მხარეზე. ამ გარემოებამ თავი იჩინა მაშინაც, როდესაც ასარქადონმა გაგზავნა დამსჯელი ექსპედიცია მანას მეფის ახსირის წინააღმდეგ, რომელთანაც შემდეგში ბრძოლა მოუხდა ასარქადონის მემკვიდრე ასურბანიპალსაც. თავის ანალებში კიდევ ასარქადონი იკვეხნის, რომ მან გაჰფანტა ურჩი მანაელები და სკვითი

იშფაქაი მახვილით დაამხო, რომლის მოკავშირეობამაც ვერ იხსნა მანაელები დამარცხებისაგან.

როგორც ასურეთის მეფეთა ზოგი რელიგიური ხასიათის წარწერიდან ჩანს, სკვითების ნაწილი ასარქადონის დროს მანას ტერიტორიაზე დასახლებულა. მანას ხელისუფალთ, ეტყობათ, ჩრდილოეთიდან მათ ქვეყანაში შემოსულ კიმერიელებთანა და სკვითებთან შტრობა არ დაუწყიათ; პირიქით, ისინი მათ მოკავშირეებად გაიხადეს, დაასახლეს თავისი სამეფოს ფარგლებში, ცდილობდნენ გამოეყენებინათ მათი რაზმები ასურელებთან ბრძოლაში (და, შეიძლება, შინაური მტრების წინააღმდეგაც). ალბათ სწორედ სკვით-კიმერიელების დაქირავებული რაზმების გამოყენების მეოხებითაა, რომ მანას მეფეები არა მარტო ეფექტურად იცავდნენ თავს ძლიერების ზენიტში მყოფ ასურეთისაგან, არამედ ავიწროებდნენ კიდეეაც მას და ზოგ ტერიტორიას ართმევდნენ: ასურბანიპალი, მაგალითად, ჩივის, რომ მანაელები არ იხდიდნენ ხარკს მის წინაპარ მეფეთა დროს, რომ მათ წაართვეს ასურეთს საკმაოდ მსხვილი პუნქტი შარრუ-იკბი და ზოგი სხვა ქალაქი.

ასურეთის მეფე ასურბანიპალმა (668 — 626) თავისი მეფობის დასაწყისშივე დიდი ლაშქრობა მოაწყო მანას წინააღმდეგ. ასურელთა ლაშქარს აქ სასტიკი ბრძოლების გადახდა მოუხდა მანას მეფე ახშერის ლაშქართან. ასურელებმა მოწინააღმდეგეს ბევრი მეომარი დაუხოცეს, ხელთ იგდეს მანაელთა ბევრი ციხე-ქალაქი უამრავ სხვა მცირე „ქალაქთან“ ერთად. ასურბანიპალი დაეუფლა მანას დედაქალაქ იზირთას, აგრეთვე დიდ ციხე-ქალაქებს: ურმეთეს, უზბიას და სხვ. მანას მიერ მიტაცებული ქალაქები მან ასურეთს დაუბრუნა. მანაში ასურელებს დიდძალი ნადავლი ჩაუვარდათ ხელში (ცხენები, სახედრები, წვრილფეხა და მსხვილფეხა პირუტყვი); აქედან მათ, სხვათა შორის, ტყვეებიც წაიყვანეს...

ახშერი მეფის ამ მარცხით უსარგებლიათ მანაში გარკვეულ წრეებს, რომლებიც ალბათ სხვადასხვა მიზეზით უკმაყოფილონი იყვნენ ახშერის მმართველობისა. უკმაყოფილების ერთ-ერთ მიზეზს, შეიძლება, წარმოადგენდა მანას მეფეების გატაცება სკვით-კიმერიელებთან კავშირით, ამ უკანასკნელთა

მანას მიწა-წყალზე დასახლება (რამაც, შეიძლება, საგრძნობი ზიანი მოუტანა მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს) და სხვ. ასურბანიპალი მოგვითხრობს, რომ დამარცხებულ ახშერის მისი ქვეყნის ხალხი ასჯანყებია, იგი მოუკლავთ, გაუჟლეტიათ მისი ძმები და მისი ოჯახი. მანას ტახტზე ახშერის ვაჟი უალი დამჯდარა, რომელმაც როგორც ჩანს, მისი წინაპრების საგარეო პოლიტიკა ძირფესვიანად შესცვალა, დაემორჩილა ასურელებს, ნინევიაში მძევლად თავისი ვაჟი ერისინი გაგზავნა, ხოლო ასურბანიპალის ჰარამხანაში კი — თავისი ქალი. ასურელებისათვის მიურთმევია მას, აგრეთვე, ძველი ხარკი, რომელსაც ასურბანიპალის წინაპარ მეფეთა დროს მანას მეფეები არ უგზავნიდნენ ასურეთის ხელისუფალთ. ასურბანიპალი ამბობს, რომ მან ძველ ხარკს კიდევ 30 ცხენის გაგზავნის ვალდებულება მიუმატა.

რაც შეეხება სარგონის შემდგომ ხანაში, VII საუკუნეში ჩ. წ-მდე, მანას ურთიერთობას ურარტუსთან, ამის შესახებ ჩვენ თითქმის არაფერი არ ვიცით. საფიქრებელია, რომ ამ დროს როლები შეიცვალა და შემტევ მხარედ ურარტუს ნაცვლად მანა იქცა. მანას ამ დროს ურარტუს იმპერიის მიწების ხარჯზე ჟნდა გაეფართოებინა ჩრდილოეთით თავისი ტერიტორია. ჩრდილოეთით მანას სამფლობელოები ამ დროს, ალბათ, შორ მანძილზე ვრცელდება. ირკვევა, რომ VII საუკუნეში ჩ. წ-მდე მანა ნაირის მხარეში ყველაზე მნიშვნელოვან პოლიტიკურ ერთეულს წარმოადგენდა, ამ დროს იგი უფრო მეტი ძალისა და მნიშვნელობის ერთეული იყო ვიდრე ურარტუს სამეფო.

7. ურარტუსა და მანას სამეფოების დაცემა

როგორც ვთქვით, ურარტუს უკანასკნელი მეფე, რომლის შესახებაც ჩვენ ცნობები მოგვეპოება არის **რუსა ერიმენას-ძე.**

ურარტუს ეს უკანასკნელი მეფე მოესწრო მისი ქვეყნის მრავალსაუკუნოვანი მტრის, დიდი ასურეთის დაცემას. ასურეთის სამეფო ბაბილონეთისა და მიდიის კოალიციის მსხვერპლი შეიქმნა. 614 წელს მიდიელებმა აიღეს და დაანგრიეს ქალაქი ასური. 612 წელს მოკავშირეების მიერ ხანგრძლივი

ალყის შემდეგ დაეცა ასურეთის მეორე დედაქალაქი — ნინევია. 605 წელს კი დაეცა ასურელთა უკანასკნელი ციხე-სიმაგრე კარხემიში. ეს მომენტი ასურეთის სამეფოს დაცემის მომენტად ითვლება. ასურეთის იმპერიის ტერიტორია გაინაწილეს მოკავშირეებმა, ბაბილონმა და მიდიამ.

ჩვენ ვიცით, რომ ასურეთის იმპერიის არსებობის უკანასკნელ წლებში მანას სამეფოს სრულიად შეუცვლია თავისი დამოკიდებულება ასურეთისადმი, წინანდელი მტერი ახლა მეგობრად ევლინება ღონემიხდილ ასურეთს. ბაბილონური ქრონიკა მოგვითხრობს, რომ ბაბილონის მეფე ნაბუპალასარმა თავისი მეფობის მე-10 წელს ქალაქ ქაბლინისთან დაამარცხა ასურელთა ლაშქარი. აქ მას დიდი ოდენობით ხელთ უგდია ტყვეები, მათ შორის ყოფილან ასურელთა დასახმარებლად მოსული მანაელებიც. ამ დროს მანასათვის, რა თქმა უნდა, ბევრად უფრო საშიში მტერი იყო მეზობელი მიდია, ვიდრე ასურეთი. ამიტომ გაკვირვებას არ იწვევს, როდესაც ამ ხანაში მანაელებს ჩვენ ასურელთა მოკავშირეებად ვხედავთ (ეგვიპტემაც ამ დროს ასევე შეიცვალა თავისი დამოკიდებულება ასურეთისადმი).

ჩვენ არავითარი ცნობა არ გვაქვს ამის შესახებ, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ ალბათ ურარტუც ამ დროს ასურეთის დამხმარეთა ბანაკში იმყოფებოდა. ყოველ შემთხვევაში ბაბილონური ქრონიკიდან ჩვენ ვიგებთ, რომ ასურეთის ერთ-ერთ მესაფლავეს, მიდიის მეფეს კიაქსარს 609 წელს, ე. ი. ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ასურელები აქა იქ კიდევ წინააღმდეგობას უწევდნენ ბაბილონ — მიდიის კოალიციას, გაულაშქრია ურარტუზე.

მაგრამ, როგორც დავინახეთ, ასურეთს ვერაფერმა უშველა და მას ბოლო მოუღეს ბაბილონმა და მიდიამ. მიდიის მეზობელი მანას სამეფოს ტერიტორიაც ამ დროს, უეჭველია, ძლიერი მიდიის ფარგლებში მოექცა. შემდეგ კი, როდესაც სპარსეთმა ბოლო მოუღო მიდიის დამოუკიდებლობას (550 წ. ჩ. წ-მდე), მანას ხალხიც სპარსეთის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა. ამ ამბებმა, უეჭველია, ძალზე დააჩქარეს უკვე ასურულ ხანაში დაწყებული მანას მოსახლეობის ირანიზაციის პროცესი.

მანას ხალხის ერთი მნიშვნელოვანი ნაკადი თანდათან განიცდის სპარსელ ტომებთან სრულ ასიმილაციას.

მიდიელებს ბოლო უნდა მოეღოთ აგრეთვე ნაირის მეორე უმნიშვნელოვანესი ერთეულისათვის—ურარტუს სამეფოსათვის. ფიქრობენ, რომ 585 წელს მიდიის ლაშქარმა, რომელიც ლიდიის ლაშქართან შესაბრძოლებლად მიემართებოდა მცირე აზიისაკენ, გადაიარა ურარტუს ცენტრალურ რაიონებზე, დაანგრია და გადასწვა ურარტუს დედაქალაქი ტუშპა, რასაც ურარტუს სამეფოს დაცემა მოჰყვა. ამის შემდეგ ურარტუს ცენტრალური რაიონები მიდიის მფლობელობაში მოექცა.

8 ნაირი-ურარტუს ხალხების კულტურა

ა) მატერიალური კულტურა

ზემოთ ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ ნაირი-ურარტუს ხალხების სამეურნეო საქმიანობის შესახებ და აღვნიშნეთ, რომ აქ ბუნებრივი პირობების შესაბამისად ზოგ რაიონში ვხვდებით მიწათმოქმედების, ზოგან კი მეცხოველეობის უპირატესად განვითარებას. ყურადღებას იქცევს ისიც, რომ აქ მაღალგანვითარებული მოჩანს სოფლის მეურნეობის ისეთი ინტენსიური დარგები, როგორიცაა მებაღეობა და მევენახეობა. სოფლის მეურნეობა ურარტუში მაღალ დონეზე იდგა, რაზედაც მიგვითითებენ არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული სასოფლო-სამეურნეო იარაღები.

ურარტუს რიგ რაიონებში მიწათმოქმედების განვითარება აუცილებლად მოითხოვდა განვითარებული სარწყავი, საირიგაციო სისტემის მოწყობას. ურარტუში ჩვენ მართლაც **ირიგაციის** მაღალ განვითარებას ვხედავთ. საირიგაციო სისტემაზე ურარტელთა დიდი ზრუნვის შესახებ მოგვითხრობენ როგორც **ურარტული**, ისე ასურული წყაროები.

ასურეთის მეფის სარგონ II-ის ერთ წარწერაში მოიპოვება ვრცელი აღწერა იმ დიდი საირიგაციო სამუშაოებისა, რომელიც ჩაუტარებია ურარტუს მეფეს რუსა I-ს ურმიის ტბის ჩრდილოეთით მდებარე ქალაქ ულხუს (დღევანდელი მარანდის) რაიონში, რითაც უწყლო და ხრიოკი ადგილი

მშვენიერ წალკოტად გადაუქცევია. ამას გარდა, ჩვენამდე მოაღწია ურარტუს მეფეთა ათეულობით სხვადასხვა წარწერამ, სადაც არხების გაყვანის შესახებაა ლაპარაკი. ასეთი არხები ურარტუს მეფეებს გაჰყავდათ როგორც იმპერიის ცენტრალურ ნაწილში, ისე პერიფერიაზე. ურარტუს მეფეთა მიერ გაყვანილი ზოგი არხი დღესაც კი გამოყენებულია საირიგაციო მიზნებისათვის.

არხების გაყვანის ტექნიკა ურარტუში საკმაო სიმაღლეზე მდგარა. არხები გაჰყავდათ როგორც მიწაში, ისე კლდოვან ადგილებში; კლდეში სპეციალურად გამოკვეთილ გვირაბებშიც კი გაჰყავდათ ხოლმე არხის კალაპოტი. ურარტული ხანის არხების ნაშთები, რომლებიც ჩვენ დროამდეა მოღწეული, მრავალრიცხოვანია და გრანდიოზული.

არხებს გარდა ურარტელები ჰქმნიდნენ ხელოვნურ ტბებსაც. ასე მაგალითად, ხელოვნურ ტბას წარმოადგენს ქალაქ ვანის აღმოსავლეთით შექმნილი ქეშიშ-გიოლის ტბა, რომელიც „რუსას ქალაქის“-რუსახინილის წყლით მომარაგების მიზანს ემსახურებოდა. არხები ურარტელებს მარტო მორწყვის მიზნით რომ გაჰყავდათ, ხშირად ისინი ამა თუ იმ უწყლო ადგილისათვის სასმელი წყლის მიწოდების მიზანსაც ემსახურებოდნენ.

ურარტული ხანის არხებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მეფე მენუას მიერ გაყვანილი დიდი არხი, რომელიც ურარტუს დედაქალაქ ტუშფას სასმელსა და სარწყავ წყალს აწოდებდა (ვანის ტბის წყალი თავისი მარილიანობის გამო ამ მიზნებისათვის გამოუსადეგარია). დღეს ადგილობრივი მოსახლეობა ამ არხს ლეკენდარული დედოფლის შამირამის არხს ეძახის. ამ არხის სიგრძე 70-80 კილომეტრს უდრიდა, სიგანე 4 $^1/_2$ მეტრს, ხოლო სიღრმე — 1 $^1/_2$ მეტრს. დღეისათვის ცნობილია 13 ურარტული ლურსმული წარწერა, რომელიც მენუას მიერ ამ არხის გაყვანის შესახებ მოგვითხრობს. მენუა ამ წარწერებში სხვათა შორის გვამცნობს, რომ მას ამ არხისათვის „მენუას არხი“ დაურქმევია.

დიდად განვითარებული იყო ნაირი-ურარტუს ხალხებში ლითონის დამუშავებაც. ამას მოწმობს როგორც წერილობითი წყაროები, ისე არქეოლოგიური კვლევა-ძიებით მოპოვე-

ბული მასალები. ურარტუში ჩვენ ვხედავთ მაღალგანვითარებულ ბრინჯაოს მეტალურგიასა და სხვა ქვეყნებთან შედარებით რკინის დამუშავების ადრე დაწყებას.

ურარტუში მეტალურგიის ფართო განვითარების შესახებ ლაპარაკობს სხვათა შორის ასურეთის მეფის სარგონ 11-ის 714 წლის ლაშქრობის ანგარიში, ე. წ. „ლუვრის ფირფიტის“ ტექსტი, სადაც ჩამოთვლილია ურარტუს იმპერიის

ოქროს მედალიონი, მოპოვებული ურარტუს დედაქალაქ ტუშფას გათხრების დროს

ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ცენტრში, ქალაქ მუსასირში, ასურელების მიერ ხელთგდებული ნადავლი. ამ ნადავლში იხსენიება მრავალფეროვანი ლითონის ნაწარმი უზარმაზარი ოდენობით, ხშირად სპეციალურად იმისი აღნიშვნით, რომ ესა თუ ის ნივთი ადგილობრივი წარმოებისა იყო; ეს ბევრ მკვლევარს საბაბს აძლევდა ეფიქრა, რომ მეტალურგიის დარგში ურარტუს იმ დროინდელ მსოფლიოში წამყვანი ადგილი ეჭირა. არქეოლოგიური კვლევა-ძიებაც (გათხრები ურარტუს დედაქალაქში — ვანში, ამიერ-კავკასიაში კარმირ-ბლურის გორაკზე და სხვ.) სავსებით ადასტურებს მოსაზრებას ურარტუში

მეტალურგიის მაღალ განვითარების შესახებ: მოპოვებულია ლითონის ნაწარმის უდიდესი ოდენობა, ამასთანავე ყურადღებას იქცევს ლითონის დამუშავების მაღალი ტექნიკა, მაღალი მხატვრული გემოვნება. საყურადღებოა ისიც, რომ ურარტუში მოგვიანო ხანებში მაინც რკინის მეტალურგიის გაფურჩქვნას ვხედავთ; აქ შრომისა თუ საომარი იარაღების უმთავრეს მასალას უკვე რკინა წარმოადგენს, ბრინჯაო კი მეორეხარისხოვან როლს ასრულებს.

ურარტული მეტალურგია უზრუნველყოფილი იყო ადგილობრივი მადნით. რკინის ბევრი საბადოებია განსაკუთრებით ურარტუს ცენტრალურ ნაწილში (მუშის, ბითლისისა და ვანის რაიონები, ურმიის ტბის დასავლეთით მდებარე მთიანეთი), აქ არის სპილენძის საბადოებიც, მოიპოვებოდა, აგრეთვე, ტყვია და კალა.

წერილობითი წყაროებითა და არქეოლოგიური კვლევა-ძიების მასალებითაც მტკიცდება, რომ ურარტუში განვითარებული იყო ძვირფასი ლითონების (ოქროს, ვერცხლის) დამუშავებაც.

თავისი სტილით ურარტული ლითონის ნაწარმი ახლოდგას ასურულთან. ასურული გავლენა აქ ძნელი უარსაყოფია, მაგრამ ურარტული ხელოვნება ასურულის მონურ გამეორებას სრულიადაც არ წარმოადგენს. იგი თავისებურ სახეს ატარებს.

განვითარებული იყო ურარტუში ქვის დამუშავებაც, რაც ბუნებრივია ქვით მდიდარი ამ ქვეყნის მცხოვრებლებისათვის. ქვისაგან აქ აკეთებდნენ საყოფაცხოვრებო ნივთებს, სამკაულებს, ქვაზე აკეთებდნენ წარწერებს, ქვით აშენებდნენ სახლებს, სასახლეებს, ტაძრებსა და ციხე სიმაგრეებს. ურარტული ციხე-სიმაგრეების ნაშთებით დღესაც მოფენილია ძველი ურარტუს ტერიტორია. ისინი სხვადასხვა სახისანი არიან. როგორც წესი, მათ დიდი გალავანი აქვთ შემოვლებული, გალავანს შიგნით კი ციტადელია აგებული. ურარტული დიდი ციხე-ქალაქებისათვის დამახასიათებელი იყო კოშკები, რომელთა გამოსახულებებსაც ჩვენ ასურულ მონუმენტებზეც ვხვდებით, სადაც მოცემულია ურარტული ციხე-სიმაგრეების აღების სცენები. ციხე-სიმაგრეთა აგების ტექნიკა ურარტუში ძალზე მაღალი იყო. საკმარისია აღვნიშნოთ, რომ ურარტუს

დედაქალაქ ტუშფას ციტადელის აღება თვით ასურეთის ძლევამოსილმა ლაშქარმაც ვერ შესძლო.

ურარტუსგან ჩვენამდე მოაღწია კლდეზე ამოკვეთილი რელიეფებისა და ქვისაგან გამოკვეთილი ქანდაკებების ცალკეულმა ნიმუშებმაც.

ცალკე უნდა აღინიშნოს ის განსაკუთრებული ხელოვნება, რომელსაც ვხვდებით ურარტუს მიწა წყალზე კლდეში ნაგებობათა გამოკვეთის დარგში. ვანის (ურარტუს ძველი დედაქალაქის ადგილი) კლდე ამ მხრივ დღესაც გაკვირვებას იწვევს: აქ კლდეში გამოკვეთილია კიბეები, მოედნები, ოთახები, ფართო დარბაზები, გამოქვაბულები. ასეთი კლდეში გამოკვეთილი ნაგებობანი საერთოდ მრავლადაა თითქმის მთელი ურარტუს ტერიტორიაზე. ეს ხელოვნური გამოქვაბულები, კლდეში გამოკვეთილი ნაგებობანი, სხვადასხვა დანიშნულების უნდა ყოფილიყო. ზოგი მათგანი, ალბათ, რელიგიურ-საკულტო დანიშნულებისა იყო, ზოგიც შეიძლება მეფეთა განსასვენებელ ადგილს წარმოადგენდა, სადაც იდგმებოდა გარდაცვლილ მეფეთა სარკოფაგები...

ურარტუში ჩვენ ვხვდებით აგრეთვე მაღალ განვითარებულ კერამიკას. იგი ყურადღებას პირველ ყოვლისა თავისი მრავალფეროვნებით იქცევს. განვითარებული იყო ურარტუში, რასაკვირველია, მატერიალური წარმოების ბევრი სხვა დარგიც. აქ ჩვენ მხოლოდ ზოგიერთის, ყველაზე მნიშვნელოვანის შესახებ გვქონდა საუბარი.

* * *

ურარტული ხანიდან მოღწეული მატერიალური კულტურის ბევრ ძეგლს ხალხი ლეგენდარულ დედოფალ შამირამს მიაწერს. ზემოთ ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ურარტუს მეფეთა მიერ გათხრილი არხებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მენუა მეფის მიერ გაყვანილი არხი, რომელიც დედაქალაქ ტუშფას სასმელი და სარწყავი წლით ამარაგებდა. ამ არხის სიგრძე 70 — 80 კილომეტრს უდრის და დღესაც გამოყენებულია მოსახლეობის მიერ. ადგილობრივი მოსახლეობა ამჟამად

მას „შამირამის არხს“ ეძახის. ხალხური ლეგენდები დედოფალ შამირამს მიაწერენ, აგრეთვე, ურარტული ხანის ბევრი ციხე-ქალაქის აგებას, მათ შორის ურარტუს დედაქალაქ ტუშფას (დღევ. ვანის) ციხე-ქალაქის აღმშენებლადაც მას სთვლიან.

ლეგენდის მიხედვით, შამირამმა ასურეთიდან მოიყვანა აქ ოცი ათასი შავი მუშა და ექვსი ათასი საუკეთესო ხელოსანი და ქალაქის მშენებლობას შეუდგა. რამდენიმე წლის მუშაობის შემდეგ მან დაასრულა დიდებული გალავნის შენება, რომელიც ქალაქს გარს უნდა შემორტყმოდა. ამ გალავანს მან აქა-იქ სპილენძის ჭიშკრები გაუკეთა. გალავნის შიგნით შამირამმა ააშენებინა ბევრი ლამაზი ორ-სამ სართულიანი აივნიანი შენობა, ააშენა აბანოები და გაიყვანა ფართო ქუჩები. მდინარის წყალი მან არხების საშუალებით მიუშვა ბაღებისა და ქალაქის გარშემო მდებარე მინდვრების მოსარწყავად. ქალაქის განაპირა უბნებში მან მრავალი ბაღი და ვენახი გააშენა და დიდძალი ხალხი დაასახლა მის მიერ აგებულ ქალაქში. მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი რაც შამირამმა აქ მოიმოქმედა, ლეგენდის მიხედვით, იყო ის, რომ მან ქალაქის ნაწილსმთის ნწვერვალს, რომელზედაც ფოფხვითაც კი არავის შეეძლო ასვლა, მან კედელი შემოავლო და მასზე საიდუმლოებით მოცული სამეფო სასახლე ააგო. როგორ ან რისთვის იყო იგი აშენებული — არავინ იცის. ყოველივე იმისაგან, რაც ოდესმე რომელიმე მეფეს შეუქმნია, შამირამის ეს ქმნილება ითვლებოდაო ყველაზე დიდებულ რამედ.

ლეგენდა ასევე შამირამის სახელს უკავშირებს ვანის კლდეში დარბაზების გამოკვეთას და ამავე კლდეზე „უცნაური წარწერების“ (ე. ი. ურარტუს მეფეთა ლურსმული წარწერების) ამოჭრას.

საინტერესოა, რომ ჩვენამდე სპარსული გზით მოაღწია ერთმა ლეგენდამ, რომელიც მევენახეობის წარმოშობასაც შამირამის სახელს უკავშირებს. [1]. ეს ლეგენდა XI-XII ს-ის ცნობილი სპარსელი პოეტის ომარ ხაიამის ერთ თხზულებაშია და-

---

[1]) აღნიშნულ ლეგენდაზე ჩვენი ყურადღება მიაქცია პროფ. გ. ხიტაიამ.

ცული. იგი დიდი ხანი არ არის რაც აღმოჩნდა. მართალია ლეგენდას მასში მოთხრობილი ამბების ასპარეზი სპარსეთში გადააქვს, მაგრამ ჩვენთვის საინტერესოა, რომ ლეგენდა ვა-ზის კულტურის, მევენახეობის გაჩენას ქალაქ შემირანსა და მეფე შემირანს უკავშირებს. რა თქმა უნდა, აქ ჩვენ წინაშეა იმავე შამირამის სახელი, რომელიც, როგორც დავინახეთ, ორგანიულად უკავშირდება ურარტულ სამყაროს, რომელსაც მიეწერება ზემომოყვანილი ლეგენდებით ურარტუს დედაქა-ლაქის აგება, დიდი არხების გაყვანა და სხვ. ამიტომაც ეს ლეგენდა შეიძლება თავდაპირველი სახით მევენახეობის სამ-შობლოდ სწორედ ძველი ურარტუს მიწა-წყალს მიიჩნევდა. ასეთი მოსაზრება მით უფრო დასაშკებია, რომ ბიბლიური ტრადიციის მიხედვითაც მევენახეობის სამშობლოს არარატის ქვეყანაში (ასე ეძახდნენ ძველი ებრაელები ურარტუს) ეძებენ და ჩვენ ასურული და ურარტული წყაროებიდანაც კარგად ვიცით, თუ რა ძლიერ იყო განვითარებული ურარტუში მე-ვენახეობა.

აღნიშნული ლეგენდა მოგვითხრობს, რომ იყო ძველად ერთი ძლიერი და მდიდარი მეფე, რომელსაც სახელად შემი-რანი ერქვა. მან ააგო ქალაქი შემირანი. მეფე შემირანს ჰყა-ვდა ვაჟი ბადამი, რომელიც მეტად მამაცი, უშიშარი და ღო-ნიერი იყო. იმ დროს თურმე მასზე უკეთესი მშვილდოსანი არ არსებობდა.

ერთხელ დიდებულებით გარშემორტყმული მეფე შემირანი იჯდა სათვალთვალო კოშკზე. აქვე იყო მისი ვაჟი ბადამი. ამ დროს უცბად გამოჩნდა საიდანლაც არწივი, საშინლად წამო-იკივლა და მეფის ტახტის მახლობლად მიწაზე დაეშვა. რო-დესაც მეფე შემირანმა თვალი მოავლო მას, დაინახა გველი, რომელიც არწივს კისერზე შემოჰხვეოდა და ის-ის იყო უნდა დაეკბინა იგი. მაშინ მეფე შემირანმა თქვა: „მამაცო ადამია-ნებო! ვინ იქნება თქვენ შორის ისეთი, ვინც ისრის ერთი გა-სროლით არწივს გველისაგან გაათავისუფლებს?“. ბადამმა უპასუხა: „სხვა რა არის შენი მსახურების მოვალეობა?“ შემ-დეგ მან სტყორცნა ისარი და გველის თავი მიწაზე დაანარ-ცხა ისე, რომ არწივს არავითარი ზიანი არ მიაყენა. განთა-

ვისუფლებული არწივი აფრინდა, უტრიალა ერთხანს ამ ადგილს და შემდეგ გაუჩინარდა.

სწორედ ერთი წლის შემდეგ, როდესაც მეფე შემირანი შემთხვევით ასევე თავის სათვალთვალო კოშკზე იჯდა, მოფრინდა არწივი და დაიწყო ნავარდი სივრცეში მეფის შორიახლოს. შემდეგ იგი დაეშვა მიწაზე და ნისკარტიდან რაღაცა გადმოაგდო სწორედ იმ ადგილას, სადაც ერთი წლის წინათ ბადამის ისარმა მოჰკლა გველი. ამის შემდეგ არწივმა რამდენიმეჯერ დაიკივლა და გაფრინდა. მეფემ, რომელიც ამ ამბავს უყურებდა, უთხრა მის ირგვლივ მდგომთ — „მე ვფიქრობ, რომ ეს იგივე არწივი იყო, რომელიც ჩვენ გველისაგან გავათავისუფლეთ. ალბათ, წელს იგი ამ ადგილას კვლავ იმიტომ მოვიდა, რომ მადლობა გამოეთქვა და ჩვენთვის საჩუქარი მოეტანა, რომელიც მან თავისი ნისკარტიდან მიწაზე გადმოგვიგდო. წადით და მოიტანეთ აქ, რასაც იპოვით!“.

ორი თუ სამი კაცი გაემართა იქითკენ და ვერაფერი ნახეს გარდა რამდენიმე მარცვლისა, რომელიც იქ ეგდო. მათ ეს აიღეს და მეფე შემირანს მიართვეს. მეფემ დაკვირვებით გასინჯა ეს მარცვლები, მოუხმო სწავლულ კაცებს, რომელნიც კი იყვნენ მის ქვეშევრდომთა შორის და უთხრა — „არწივმა ეს მარცვლები ჩვენ საჩუქრად მოგვიტანა. რა აზრისა ხართ თქვენ, რა უნდა ვუყოთ ჩვენ ამ მარცვლებს?“ სწავლული კაცები ერთი აზრისანი იყვნენ, რომ საჭიროა ეს მარცვლები დაითესოს, რათა გაიგონ თუ მომავალ წელს რა ამოვა მათგან. მაშინ გადასცა მეფემ ეს სათესლე მარცვლები თავის მებაღეს და უთხრა: — „დათესე ისინი ბაღის ერთ კუთხეში და კარგად შემოზღუდე ეს ადგილი ისე, რომ არც ოთხფეხმა შეაღწიოს შიგ და არც რომელიმე ფრინველმა შესძლოს მისი დაზიანება! დროდადრო მომახსენე ხოლმე ნათესის მდგომარეობა!“ მებაღეც ასე მოიქცა. გაზაფხულზე მიწიდან ამოაღწია პატარა შტოებმა იმ ადგილას, სადაც ეს მარცვლები დათესეს. მებაღემ მაშინვე მოახსენა მეფეს ამის შესახებ. მეფემ აჩვენა ეს ახლადაღმოცენებული მცენარე თავის დიდებულებსა და სწავლულ კაცებს, მაგრამ ყველამ განაცხადა, რომ მათ ამის მსგავსი მცენარე არსად არ უნახავთ.

გავიდა კიდევ კარგა ხანი და ამოსული შტოები გაიზარდა, ფოთლები გაუმკვრივდა და მტევნები გამოისხა ამ მცენარემ. მაშინ კვლავ მივიდა მებაღე მეფესთან და მოახსენა მას: — „არც ერთი მცენარე არა ხარობს ბაღში ისე, როგორც ეს მცენარე". მეფე წავიდა ბაღში სწავლულ კაცებთან ერთად მის სანახავად. მან დაინახა, რომ ეს მცენარე ხედ გადაქცეულა და თქვა: — „საჭიროა მოვითმინოთ, ვიდრე ეს ხე სხვა ხეების ტოლი გახდება, რომ გავიგოთ, თუ რას წარმოადგენს მისი ნაყოფი".

როდესაც შემოდგომამ მოაღწია, მეფე და სწავლული კაცები ბაღში მივიდნენ; მათ დაინახეს, რომ ერთი მარცვალი ამ მცენარიდან ძირს ჩამოვარდნილიყო და წვენი გამოსვლოდა. ამის მიხედვით დაასკვნეს, რომ ალბათ, სწორედ ეს არისო ამ ხის ნაყოფი, ის უკვე დამწიფებულა და დროა მოიკრიფოსო. ამასთანავე დაასკვნეს, რომ ამ ნაყოფის სარგებლობა მის წვენში უნდა მდგომარეობდესო. მართლაც, მთელ მოკრეფილ ნაყოფს გამოადინეს წვენი და ის ერთ ჭურჭელში ჩაასხეს, რომ ენახათ, თუ რას წარმოადგენდა მისი წვენი. თვითონ ნაყოფის პირთან მიკარებას კი ვერავინ ბედავდა, რადგანაც ყველას ეშინოდა, რომ იგი შხამიანი არ ყოფილიყო და ადამიანი არ მოეკლა. ჭურჭელი ბაღში დატოვეს და წავიდნენ.

გავიდა ხანი და მებაღემ დაინახა, რომ წვენმა ჭურჭელში დუღილი დაიწყო. მაშინათვე მან ეს მეფეს მოახსენა. მეფემ უბრძანა — „როდესაც კი სითხე დუღილს შეწყვეტს და დაშოშმინდება, მაშინვე მომახსენე მე!".

ერთ დღეს მებაღემ დაინახა, რომ სითხეს ჭურჭელში დუღილი შეუწყვეტია და გამჭვირვალე გამხდარა. მაშინათვე მოახსენა მან ეს მეფეს, რომელიც თავის სწავლულ კაცებთან ერთად გამოემართა მის სანახავად. ამ უკანასკნელებმა, შეხედეს თუ არა, ყველა იმ აზრს იზიარებდა რომ ამ ხის ნაყოფის მნიშვნელობა სწორედ მის წვენშია, მაგრამ შოახსენეს მეფეს, რომ მათ არ შეუძლიათ თქმა, თუ როგორია ეს სითხე — შხამიანია თუ არა იგი. ბოლოს და ბოლოს გადასწყვიტეს, რომ გამოიყვანონ საპყრობილედან ერთ-ერთი ტუსაღი — კა-

ცისმკვლელი — და მას დაალევინონ ეს სათხე, რათა გაიგონ, თუ რა მოჰყვება ამას შედეგად.

მართლაც ასე მოიქცნენ. ერთ-ერთ კაცისმკვლელს დაალევინეს ეს სასმელი. როდესაც მან იგი დალია, ცოტაოდენ მოიკუნტნა. მას ჰკითხეს — „გსურს კიდევ დალიო?" მან მიუგო — „დიახ!" მაშინ მას მისცეს მეორე სასმისი, რომლის გამოცლის შემდეგ მან იწყო გამხიარულება, შეუდგა სიმღერასა და ხუმრობას. მეფის დიდებულება მის თვალში სასაცილო შეიქნა და მან სთქვა — „მომეცით მე კიდევ ერთი სასმისი და შემდეგ, რაც გინდათ ის მიყავით!" მისცეს მას მესამე სასმისი, რომლის გამოცლის შემდეგაც მას თავი დაუმძიმდა, ჩაეძინა და მეორე დღემდე უგონოდ იწვა. როდესაც გონს მოვიდა, იგი მეფის წინ მიიყვანეს და ჰკითხეს: „რა იყო ის, რაც შენ გუშინ დალიე და რას გრძნობდი მაშინ, როდესაც მას სვამდი?" მან მიუგო: — „მე არ ვიცი, თუ რა დავლიე, მაგრამ ის კი შემიძლია ვთქვა, რომ იგი სასიამოვნო რამ იყო. აჰ, რომ შეიძლებოდეს დღესაც მე სამი ასეთი თასი მივიღო დასალევად! როდესაც პირველი თასი დავლიე, იგი მწარე იყო, მაგრამ როგორც კი სასმელმა მუცელს მიაღწია, ჩემმა სხეულმა მეორე თასი მოითხოვა. როდესაც მე ესეც დავლიე, კმაყოფილებამ და სიხარულმა დაისადგურა ჩემს გულში. განაჩენის აჩრდილი მოსცილდა ჩემს თვალებს და ცხოვრება მსუბუქად წარმომიდგა. მე წარმოვიდგინე, რომ ჩემსა და მეფეს შორის არავითარი განსხვავება არ არის და ყველა ადამიანური მწუხარება მოსცილდა ჩემს გულს. ამის შემდეგ შევავი მესამე თასი და სასიამოვნო ძილი დაეუფლა მე".

შემირან მეფის სწავლულმა კაცებმა ამის შემდეგ აღიარეს ღვინის უპირატესობა ყველა სხვა საკმელ-სასმელთან შედარებით და მეფემაც მუდმივი წეს-ჩვეულების სახით შემოიღო ღვინის სმისა და ნადიმების მოწყობა. აქედან, ამბობს ლეგენდა, ვაზის კულტურა შემდეგ სხვაგანაც გავრცელდაო.

ბ. რელიგია

ურარტელთა უზენაესი ღვთაება იყო ხალდი. ხალდის კულტის უმთავრეს ცენტრად ითვლებოდა ქალაქი მუსასირი, რომელიც ვანის ტბის სამხრეთ-აღმოსავლეთით, დღევანდელი

როვანდუზის რაიონში მდებარეობდა. მუსასირში იყო ხალდის უმთავრესი ტაძარი, სადაც თაყვანისსაცემად ურარტუს ყოველი მხრიდან მოედინებოდა ხალხი. აქ ხშირად მოდიოდნენ ურარტუს მეფეებიც. ისინი აქ მსხვერპლს სწირავდნენ ღვთაებას, სწირავდნენ ათასგვარ განძეულობას, აშენებდნენ საკულტო ნაგებობებს, ხალდის ტაძარში დგამდნენ ხოლმე თავის ქანდაკებებს და სხვ. ხალდის ამ ტაძარში მდგარა ხალდის ქანდაკება—ღვთაების განსახიერება. როდესაც ასურეთის მეფე სარგონ II 714 წელს მუსასირი აიღო და დაარბია, მან ასურეთში წაიღო ხალდის ეს ქანდაკება, რაც ურარტუს უზენაესი ღვთაების დატყვევებას ნიშნავდა. ეს, როგორც ჩანს, დიდ უბედურებად ითვლებოდა, რაკი სარგონი ურარტუს მეფის რუსას თვითმკვლელობის ერთ-ერთ მიზეზად სწორედ მუსასირის აოხრებასა და „ხალდის წაყვანას“ (ე. ი. ასურელთა მიერ ხალდის ქანდაკების წაღებას) ასახელებს. არის ცნობები, რომ ხალდის კულტი ურარტელებს გარდა გავრცელებული ყოფილა ზოგ მეზობელ ტომში (ძველაღმოსავლურ საგყაროში საერთოდ ჩვეულებრივი ამბავია საკუთართან ერთად მეზობელი ხალხების ღმერთების თაყვანისცემა).

ღვთაება ხალდი ცის ღმერთი იყო.

ურარტუს ღვთაებათა პანთეონში მეორე ადგილი ეკავა ღვთაება თ ე ი შ ე ბ ა ს. იგი ამინდის, ჭექა-ქუხილის, ქარიშხლის ღვთაება იყო. ურარტელების მონათესავე ხურიტებში ეს ღვთაება (რომელსაც ისინი „თეშუბ“-ს უწოდებდნენ) უმაღლესი ღვთაება იყო, საერთო ხურიტული პანთეონის სათავეში იდგა. ურარტელთა ღვთაება თეიშებას კულტის უმთავრესი ცენტრი იყო ქალაქი კუმენუ, რომელიც მუსასირივით ვანის ტბის სამხრეთით მდებარეობდა. მესოპოტამიის სემიტებთან (ბაბილონელებთან, ასურელებთან) ამ ღვთაების შესატყვისი იყო ღვთაება ადადი—ჭექა-ქუხილის, ამინდის განმგებელი ღვთაება.

ურარტუს ღვთაებათა შორის მესამე ადგილზე იდგა მზის ღვთაება შ ი ვ ი ნ ი. ურარტელთა მონათესავე ხურიტებთან მზის ღვთაება მსგავს სახელს ატარებდა, „შიმიგი“ ერქვა. მესოპოტამიის პანთეონში (ბაბილონელებთან, ასურელებთან)

ამ ღვთაებას შეესატყვისებოდა მზის ღვთაება შამაში. ურარტელთა მზის ღვთაება შივინის კულტის უმთავრესი ცენტრი ძველიდანვე იყო ქალაქი ტუშფა, რომელიც შემდეგში ურარტუს დედაქალაქი შეიქნა.

ეს სამი ღვთაება შეადგენდა ურარტელთა ღმერთების უზენაეს ტრიადას (სამებას). თავისი წარწერების შეურაცხმყოფელთა დასასჯელად ურარტუს მეფეები მოუწოდებდნენ ხოლმე მხოლოდ ამ ღვთაებებს, ობში წასვლის წინაც შველისათვის ისინი კონკრეტულად მხოლოდ ამ სამებას ასახელებენ.

სამივე ეს ღმერთი ცის ღმერთებად, ციურ ღვთაებებად ითვლებოდა. მეფე მენუა თავის ერთ-ერთ წარწერაში სწყევლის ყველა მას, ვინც მის წარწერას რაიმეს დაუშავებს და დამნაშავის დასასჯელად მოუწოდებს ხალდს, თეიშებას, შივინის (და) „მიწის ღმერთებს". როგორც ვხედავთ, პირველ სამს (რომელიც ციურ ღვთაებათა ჯგუფს ჰქმნიდა) უპირისპირებდნენ „მიწის ღმერთებს", ე. ი. მიწიურ მოვლენათა განმასახიერებელ ღმერთებს.

ღვთაებათა ამ უზენაესი ტრიადის გვერდით ურარტელები თაყვანს სცემდნენ კიდევ ბევრ სხვა ღვთაებას. ურარტულ წარწერებში ათეულობით სხვადასხვა ღვთაება იხსენიება. ასე მაგალითად, თაყვანცემულნი იყვნენ ღმერთები: ხუტუინი, ტურანი, უა, ნალაინი, შებითუ, არსიმელა, ანაფშა, დედუაინი, შელარდი (მთვარის ღმერთი), ათბინი, კუერა, ურა, არციბედინი, არტუარასაუ, შუბა, ელია, თალაფურა, კილიბანი, აუი, აია, სარდი, ცინუიარდი, იფხარი, ბარცია, სილია, არა, ადია, უია, აინაუ, არდი, ინუანაუ და სხვ. ღვთაებათა სახით თაყვანცემული იყო, აგრეთვე „მიწა", „მთა", „ზღვა", და სხვ.

ურარტუში ფართოდ გავრცელებული იყო ღვთაებებისათვის მსხვერპლის შეწირვა. შესაწირავს უმთავრესად პირუტყვი (ხარი ან ბატკანი) წარმოადგენდა, თუმცა როგორც წერილობითი წყაროები, ისე არქეოლოგიური გათხრების მასალები, შესაძლებელს ხდის ვიფიქროთ, რომ ურარტუში უნდა

ყოფილიყო, აგრეთვე, ადამიანის (ტყვეების) მსხვერპლად შეწირვის ჩვეულებაც.

ურარტუს ტერიტორია მოფენილი იყო ღვთაებათა (განსაკუთრებით უზენაესი ღვთაება ხალდის) ტაძრებით, საკულტო ნაგებობებით. საკულტო ადგილების ერთ-ერთ ძალზე გავრცელებულ სახეს წარმოადგენდა კლდეში გამოკვეთილი ნიშები.

ურარტული ხანის ზოგი ასეთი ნიშის შესახებ ხალხში შემდეგ მრავალი ლეგენდა შეიქმნა. ეს ითქმის, მაგალითად, ქალაქ ვანის მახლობლად კლდეში გამოკვეთილი დიდი ნიშის შესახებ, რომლის სიმაღლეც 5 მეტრს აღემატება. ნიშს კარის ფორმა აქვს და მის ერთ კედელზე ურარტუს მეფეების იშპუინისა და მენუას საკულტო შინაარსის ვრცელი წარწერაა ამოკვეთილი. ვანის მცხოვრებლები ამ ნიშს ჩვეულებრივ „მხერკაპუსის“ ეძახიან, რაც „მხერის კარს“ ნიშნავს. მის შესახებ ადგილობრივი მცხოვრებლები ევროპელ მოგზაურებს სხვადასხვა ლეგენდებს მოუთხრობდნენ.

ერთი ლეგენდა ამ „კარს“ (ნიშს) ჩობან-კაპუსის („მწყემსის კარს“) ეძახის და მოგვითხრობს, თუ რატომ მიიღო მან ეს სახელი. ამ ლეგენდის მიხედვით ერთ მწყემსს, რომელსაც დაუძინია ამ კლდესთან, სიზმარში შეუტყვია მაგიური სიტყვა, რომლითაც მას შეეძლო კლდეში შესვლა, სადაც თურმე დიდძალი განძეულობა ყოფილა შენახული. გახარებულ მწყემსს გამოეღვიძა და როდესაც წარმოსთქვა სიზმარში გაგებული მაგიური სიტყვა, უმალ მის წინაშე კლდეში კარი გაჩნდა და გამოჩნდა უზარმაზარი დარბაზი, აღსავსე ათასგვარი განძეულობით. როდესაც იგი ამ დარბაზში შევიდა, კლდე მის უკან მაშინვე დაიხურა. მწყემსმა მოაგროვა დიდძალი განძეული, რის წამოღებაც კი შეეძლო ტომრით, რომელიც თან ჰქონდა, წარმოსთქვა მაგიური სიტყვა და გამოვიდა კლდიდან. მაგრამ ამ დროს მას მოაგონდა, რომ კლდეში კომბალი დარჩა. მაშინ მან მესამედ წარმოსთქვა მაგიური სიტყვა; კლდეში მყოფი კარი კვლავ გაიღო მის წინ და ის შევიდა კლდეში. ამ ჯერაც, როგორც კი შევიდა იგი კლდეში, მის უკან კლდე კვლავ დაიხშო. მან მოძებნა თავისი კომბალი, მაგრამ ამასობაში

დაავიწყდა ის მაგიური სიტყვა, რომლითაც იღებოდა კლდე და გამოსვლა ვეღარ შესძლო. ერთგულმა ძაღლმა, რომელიც გარეთ დარჩა, დიდხანს უცადა პატრონს, შემდეგ კი წაიღო მწყემსის მიერ კლდიდან გამოტანილი ოქროულით სავსე ტომარა პატრონის სახლში და კლდესთან მწყემსის ცოლი მიიყვანა. ქალს ესმოდა კლდიდან თავისი ქმრის გულგამგმირავი ყვირილი, მაგრამ არაფრით არ შეეძლო ეშველა მისთვის. ლეგენდა ამბობს, რომ ზოგჯერ ახლაც ისმისო კლდეში შემწყვდეული მწყემსის ხმა.

ამ ლეგენდის მიხედვით, როგორც ვთქვით, ამ ნიშს „მხერ-კაპუსის“ გვერდით მეორე სახელიც, ჩობან-კაპუსი („მწყესის კარი“) რქმევია. რაც შეეხება სახელწოდებას—„მხერის კარი“ (მხერ-კაპუსი)—იგი ურარტული დროის ამ საკულტო ძეგლს შერქმევია ლეგენდარული დევ-კაცის მხერის სახელის მიხედვით. ლეგენდა მოგვითხრობს, რომ ერთხელ, როდესაც მხერი თავისი მშობლების სასაფლაოზე მისულა, მას მამის სამარიდან ხმა მოსვლია—„გეყოფა, მხერ, სიარული ამ ქვეყანაზე... შენი ადგილია აკროპეს ქვა; როდესაც ქვეყნიერება დაინგრევა და კვლავ აღსდგება, თუ მაწა შესძლებს შენი ცხენის ზიდვას, ქვეყნიერება შენი იქნება“. მხერი გაემართა ქალაქ ვანისაკენ. გზაზე მან ისარი სტყორცნა ყვავს, მაგრამ ვერ მოკლა, მხოლოდ დასჭრა. დაჭრილი ყვავის დევნისას მხერმა უცბად იგრძნო, რომ ხდება საოცარი რამ: მიწას ვეღარ უჭირავს გოლიათი მხერი. შემდეგ მხერი მივიდა ერთი მთის ძირას ვანის ახლოს და იქ შავი კლდე შენიშნა. მაშინ თქვა მხერმა:—„მოდი, დავკრავ მახვილს ამ კლდეს, თუ გაიპობა, ეს იმის ნიშანი იქნება, რომ მე უცოდველი ვარ, ხოლო თუ არ გაიპობა, ეს იმას ნიშნავს რომ ცოდვილი ვყოფილვარ“. როგორც კი დაჰკრა მან მახვილი კლდეს, კლდე მაშინათვე გაიპო ორად. მხერი თავისი ცხენით შევიდა კლდეში და მის უკან კლდე კვლავ შეიკრა. აქედან დაერქვაო ამ ადგილს „მხერის კარი“.

* *
*

თავის ღმერთებს ურარტელები გამოსახავდნენ ადამიანების სახით, თუმცა აქა-იქ ჩანს ნაშთები ძველი ტოტემური მდგო-

მარეობის—ცხოველთა ან ფრინველთა სახით გამოსახვისა (რქები, ფრთები იჩენს ხოლმე თავს აქა-იქ ღვთაებათა გამოსახვისას).

ურარტული სახვითი ხელოვნების ძეგლებში დამოწმებულია ზოგი ისეთი კულტი, რომელიც არაა დამოწმებული წერილობითი წყაროების მიხედვით. ფართოდ გავრცელებული მოჩანს მაგალითად, წმინდა ხის კულტი. ურარტულ ბეჭდებზე გამოსახულია მრავალი სხვადასხვა რელიგიურ-მითოლოგიური სცენა. ფანტასტიური არსებები და სხვ. ურარტუში, რა თქმა უნდა, იქნებოდა მითები. მაგრამ ურარტული მითოლოგიისა ჩვენ არაფერი ვიცით, რაკი საამისო ძეგლებს ჩვენამდე არ მოუღწევიათ. როგორც ყველა ძველაღმოსავლურ ქვეყანაში, ურარტუს რელიგიაშიც დიდი ადგილი უნდა სჭეროდა მაგიას, მისნობას.

მიუხედავად იმისა, რომ ენობრივად, ეთნიკურად, ურარტუს იმპერიის მნიშვნელოვანი ნაწილი ერთმანეთთან ახლო მონათესავე ტომებს ეკავათ, იმპერიის ცალკეული რაიონების მოსახლეობა მაინც მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან რელიგიური წარმოდგენების თუ კულტურის მხრით. ასე მაგალითად: ზემოთ ჩვენ დავინახეთ, რომ იმპერიის რელიგიურ ცენტრში, უზენაესი ღვთაება ხალდის კულტის უმთავრეს ცენტრ ქალაქ მუსასირში, უზენაესი ქალღმერთის სახით თაყვანსა სცემდნენ უცხო, ირანული ტომის ღვთაება ბაგმაშთუს, რომელსაც ურარტუს ცენტრალური რაიონების მოსახლეობის პანთეონში ვერ ვხვდებით. ამას გარდა, ირკვევა, რომ იმპერიის ზოგი ნაწილის მოსახლეობაში მიცვალებულის კრემაციის (დაწვის) ჩვეულება იყო გავრცელებული, მაშინ როდესაც იმპერიის სხვა რაიონებში მიცვალებულის მიწაში დამარხვის ჩვეულებას ვხედავთ.

გ. დამწერლობა და მწერლობა

ურარტელებმა მეზობელი ასურეთიდან გადმოიღეს ლურსმული დამწერლობა. დასაწყისში ისინი ამ დამწერლობით სწერდნენ ასურულ ენაზე (ურარტუს ერთ-ერთი პირველი მე-

ფის სარდური ლუთიფრის-ძის წარწერები ასურულ ენაზეა შედგენილი), მაგრამ უკვე მალე, ამავე სარდურის ვაჟის ი"შფუ-ინის მეფობაში (IX საუკუნის დასასრული ჩ. წ-მდე) იწყება წერა ადგილობრივ, ურარტულ ენაზე. მაგრამ ამის შემდეგაც ურარტუს მეფეები ზოგჯერ თავის წარწერებს ორ ენაზე—ასურულსა და ურარტულზე ადგენდნენ.

ასურულ ლურსმულ დამწერლობაში, რომელიც ურარტელებმა შეითვისეს, უმარტივეს ელემენტს ლურსმის მოხაზულობის ნიშანი წარმოადგენს. ლურსმების სხვადასხვა კომბინაციით შედგენილია აქ 400-მდე სხვადასხვა ნიშანი, რომლებიც აღნიშნავენ ან ცნებებს (მაგალითად: „ღმერთი", „ქვეყანა", „ქალაქი", „მდინარე", „წყალი"...), ან მარცვლებს თუ ცალკეულ ხმოვნებს. ამასთანავე, ამა თუ იმ ნიშანს შეიძლება ჰქონდეს როგორც იდეოგრაფული (ე. ი. ცნების აღმნიშვნელი), ისე ფონეტიკური (მარცვლის ან ხმოვანი ბგერის) აღმნიშვნელი რამდენიმე ღირებულება. არის ამ დამწერლობაში კიდევ ე. წ. დეტერმინატივები, ნიშნები, რომლებიც ისმის გარკვეული კატეგორიის სახელების წინ (მაგალითად, ქვეყნების სახელების წინ დაისმის ხოლმე ქვეყნების სახელთა დეტერმინატივი, ღმერთების სახელთა წინ ღვთაებათა სახელების დეტერმინატივი და სხვ.). ურარტელებმა, შეითვისეს რა ასურელებისაგან ეს ლურსმული დამწერლობა, საკმაოდ გაამარტივეს იგი: მაშინ, როდესაც ასურულ ლურსმულ დამწერლობაში ამა თუ იმ ნიშანს შეიძლება ჰქონდეს ათზე მეტი სხვადასხვა მნიშვნელობა (სხვადასხვა მარცვლის აღნიშვნა ან სხვადასხვა ცნების აღნიშვნა), ურარტულ დამწერლობაში ამა თუ იმ ლურსმულ ნიშანს აქვს ჩვეულებრივ ერთი ან ორი მნიშვნელობა. ამასთანავე ურარტულში გადმოსული ნიშნების რიცხვიც ბევრად უფრო მცირეა, ვიდრე მათი რიცხვი ასურულში. ურარტელებმა მხოლოდ ნიშნების გარკვეული ოდენობა ისესხეს და არა ყველა ნიშანი. ნიშნების მოხაზულობაშიც ურარტელებმა რიგი ცვლილებები შეიტანეს.

ურარტელები უმთავრესად ქვაზე სწერდნენ: ჩვენამდე მოღწეული ურარტული წარწერების უდიდესი ნაწილი კლდეებზე ან ქვებზეა ამოკვეთილი. ბოლო ხანებში წარმოებული გათხრების

შედეგად მოპოვებული მასალა საშუალებას იძლევა ვიფიქროთ, რომ ფართოდ გავრცელებული ყოფილა წარწერების გაკეთება აგრეთვე სხვადასხვა ნივთებზე, საქმიანი ურთიერთობის მიზნებისათვის კი გამოყენებული ყოფილა თიხის ფირფიტებზე წარწერების კეთება.

ურარტელებიდან მოღწეული წარწერების ოდენობა ოთხასამდე აღწევს. მათი უდიდესი ნაწილი ურარტუს ამა თუ იმ მეფის სახელით შედგენილ ტექსტს წარმოადგენს. ურარტუს მეფეთა წარწერები ძირითადად სამი სახისაა: საომარი, საალმშენებლო და საკულტო. ურარტუს მეფეთა საომარი და საალმშენებლო წარწერები ღვთაებისათვის ანგარიშის ჩაბარების სახეს ატარებდნენ: მეფე აცნობდა ღვთაებას მისი მეოხებით ან მისთვის ჩადენილ საქმეებს (უცხო ქვეყნების დაპყრობა, რაიმეს აგება და სხვ.).

ამასთანავე, ურარტუს ტერიტორიაზე მრავლად ვხვდებით წარწერიან სტელებს, სადაც არც ომზეა ლაპარაკი და არც აღმშენებლობაზე, არამედ უბრალოდ ნათქვამია, რომ ამა და ამ მეფემ დაუდგა ეს სტელა ამა და ამ ღვთაებას ამ მეფის „სიცოცხლისა, სიხარულისა (და) დიდებისათვის". წარწერიანი სტელა ურარტუში, როგორც ჩანს, გამოყენებული იყო ღვთაებისადმი ერთგვარი ლოცვისათვის, მისგან წყალობის გამოსათხოვად. არის ისეთი წარწერიანი სტელებიც, სადაც ლაპარაკია მარტოოდენ ამა თუ იმ ღვთაებისათვის სტელის (წარწერის) დადგმაზე, ხოლო მიზანი (ღვთაებისათვის წყალობის თხოვნა) უკვე აღარაა აღნიშნული (ეტყობა თავისთავად იგულისხმებოდა). როგორც ჩანს, წარწერიან სტელას ურარტუში გარკვეული საკულტო დანიშნულება ჰქონდა: წარწერები კეთდებოდა ღვთაებისათვის მოწყალებისა და მფარველობის თხოვნის მიზნით; თუ წარწერა მოუთხრობდა მეფის მიერ წარმოებულ აღმშენებლობებზე და დაპყრობებზე, იგულისხმებოდა, რომ ყოველივე ეს მეფემ ღვთაებისათვის მოიმოქმედა, ამიტომ აცნობს იგი ღვთაებას თავის დამსახურებას მის წინაშე; ან უბრალოდ სტელის დადგმა იმის აღნიშვნით, თუ რომელმა მეფემ დაუდგა რომელ ღვთაებას, ეტყობა, საკმარისი იყო ღვთაების წყალობის, მფარველობის უზრუნველ-

საყოფად. დამწერლობას ურარტუში ძირითადად (უფრო მეტად ადრეულ ხანებში), ეტყობა, საკულტო-რელიგიური დანიშნულება ჰქონდა.

ურარტუს მეფეთა (განსაკუთრებით საისტორიო: საომარი და საალმშენებლო) წარწერები თავისი სტილით ძალზე ჰგვანან ასურეთის მეფეთა წარწერებს. ურარტუს მეფეებმა დამწერლობასთან ერთად, როგორც ჩანს, ასურეთიდან გადმოიღეს საისტორიო მწერლობის სტილიც. ერთგვარია, პირველ ყოვლისა, ურარტული და ასურული საომარი და საალმშენებლო წარწერების აგებულება, სახელდობრ: ასურულ წარწერებში: 1) თხრობა ღვთაებათადმი რელაციებით იწყება; 2) მერე მოდის წარწერის ავტორის—მეფის ხოტბა (მისი ტიტულატურა, გენეალოგია); 3) შემდეგ გადმოცემულია ამბავი: ომი, ნადირობა ან აღმშენებლობა; 4) წარწერას ამთავრებს წარწერის პატივისმცემლის დალოცვისა და შეურაცხმყოფელის წყევლის ფორმულა. ურარტულ წარწერებშიც: 1) თხრობა ღვთაებისადმი რელაციით, ღვთაების მოხსენიებით იწყება; 2) მერმე გადმოცემულია ამბავი: ომი ან აღმშენებლობა; 3) ამას ზოგჯერ მოსდევს წარწერის ავტორის—მეფის ხოტბა (ტიტულატურა—გენეალოგიით მისი დასახელება); 4) წარწერას ამთავრებს წარწერის შეურაცხმყოფელის წყევლის ფორმულა.

ამრიგად, ურარტული და ასურული საისტორიო წარწერების აგებულება ძირითადად ერთნაირია, თუმცა ურარტული წარწერები ზოგ თავისებურებას მაინც ავლენენ ასურულთან შედარებით.

სხვა მხრივაც ჩანს მათ შორის სიახლოვე: როგორც ასურულში (მასზე უფრო მეტადაც), ურარტულ წარწერებშიც ტრაფარეტი ბატონობს. არის ტრაფარეტული ფრაზების მთელი კომპლექსი, რომელიც საუკუნეთა მახძილზე, სხვადასხვა მეფის წარწერებში, უცვლელად მეორდება. როდესაც ვლაპარაკობთ ურარტულ წარწერათა სტილის შესახებ, უნდა გვახსოვდეს, რომ აქ ჩვენ საქმე გვაქვს უკვე ურარტული მწერლობის განთიადზე (იშფუინი—მენუას ხანაში) შემუშავებულ ტრაფარეტთან, რომელიც ძირითადად ძალაში რჩებოდა

ურარტუს ისტორიის სულ უკანასკნელ ხანებამდე. მართალია, მოგვიანო ხანებში თითქოს თავს იჩენს ამ ტრაფარეტიდან თავის დაღწევის ცალკეული ცდები, მაგრამ ძველი ტრაფარეტი მაინც ბოლომდე განაგრძობს არსებობას.

კონკრეტულადაც ურარტულ წარწერათა ტრაფარეტული ფრაზეოლოგია ძალზე ახლო დგას ასურული წარწერების ფრაზეოლოგიასთან. ურარტულ წარწერათა ტრაფარეტული ფორმულები ხშირად სათანადო ასურული გამოთქმების მექანიკურ გადმოღებას, პირდაპირ თარგმანს წარმოადგენენ. ასე მაგალითად: მექანიკურადაა შეთვისებული ასურულიდან მეფეთა ტიტულატურა, წარწერათა დამაბოლოვებელი წყევლის ფორმულა და სხვ. საომარი მოქმედებისა თუ საალმშენებლო საქმიანობის გადმომცემი ტრაფარეტული გამოთქმებიც ხშირად ასურული ფრაზების თარგმანს წარმოადგენენ.

ასურული საისტორიო წარწერების მხრით ასეთი ძლიერი გავლენის განხორციელება ურარტული წარწერების სტილის შემუშავებაზე შესაძლებელი გახდა იმიტომ, რომ ძალიან დიდი იყო ნათესაობა ამ ორ სახელმწიფოს შორის (ორივეგან ჩვენ სამხედრო-პარაზიტულ, მონათმფლობელურ სახელმწიფოსთან გვაქვს საქმე)—ერთნაირი იყო ორივეგან ღვთაების ადგილი ხალხის საზოგადოებრივ და სულიერ ცხოვრებაში, ძირითადად ერთნაირი ხელისუფალნი იყვნენ ასურეთისა და ურარტუს მეფეები (მხედართმთავარი, თვითმპყრობელი, დესპოტი), ერთნაირი იყო ასურეთისა და ურარტუს მეფეთა საომარი ექსპედიციების ხასიათი, მიზანი და სხვ.

ყურადღებას იქცევს ის გარემოებაც, რომ ურარტული წარწერების სტილში შეინიშნება ზოგი სიახლოვე ხეთურ საისტორიო წარწერათა სტილთანაც. შეიძლება მივუთითოთ მთელ რიგ ურარტულ ტრაფარეტულ ფორმულებზე, რომლებითაც ურარტული წარწერები უფრო მეტ სიახლოვეს იჩენენ ხეთურთან, ვიდრე ასურულთან. რა თქმა უნდა, აშკარად ჩანს, რომ ურარტულ საისტორიო წარწერათა სტილის შემუშავებაში გადამწყვეტი როლი ასურულ გავლენას ეკუთვნის, მაგრამ გამორიცხული არ არის აქ უშუალოდ ხეთურ ან უფრო მეტად ხურიტულ სამყაროდან მომდინარე გავლენის არსებობაც.

შესაძლებელია, რომ ურარტელ ქურუმთა გარკვეულ წრეებში ჯერ კიდევ ცოცხლობდა ძველი ხურიტული ან ხეთური მწერლობის ტრადიციები. როგორც ფიქრობენ, თვით ასურული საისტორიო წარწერების სტილიც ხეთური გავლენითაა შემუშავებული. თვით მესოპოტამიაში (ძველ ბაბილონეთში) ამ მხრივ ასურულ საისტორიო თხრობას წინაპარი არ ეძებნება. მაგრამ ხეთურ და ასურულ საისტორიო თხრობას შორის მაინც მნიშვნელოვანი განსხვავება ჩანს. ასურული საისტორიო თხრობა მუდამ ატარებს მითიურ-ეპიკურ სახეს, რასაც ხეთებთან ვერ ვხვდებით. ამიტომაც ფიქრობენ, რომ ამ სფეროში ხეთებსა და ასურელებს შორის სავარაუდებელია შუამავლის არსებობა და ასეთ შუამავლებად ხურიტები მიაჩნიათ. შესაძლებელია, ხეთებიდან ხურიტების გზით მომდინარე გავლენა პირდაპირ თავს იჩენს აგრეთვე ურარტულ მწერლობაშიც.

III. ნაირი-URARTUს მხარე URARTUს სამეფოს დაცემის შემდეგ

1. ქართველი ტომები URARTUს სამეფოს არსებობის ხანაში

ქართველი ტომები უძველეს დროიდან ცხოვრობდნენ დღევანდელ საქართველოს ტერიტორიაზე. ქართველთა მონათესავე ხალხები ძველაღმოსავლურ ხანაში საშხრეთითაც იყვნენ ფართოდ გავრცელებული—ძველი აღმოსავლეთის ბევრი დიდი სახელმწიფოს შემქმნელი ხალხები (სუმერები, ხეთების გარკვეული ნაწილი, ხურიტები, URARTELები, ელამელები და სხვ.) ეთნიკურად (ენით, კულტურითა და ფიზიკური აღნაგობით) დღევანდელი ქართველი და ჩრდილო-კავკასიური ტომების მონათესავენი უნდა ყოფილიყვნენ. მეცნიერთა მიერ შენიშნულია ბევრი ისეთი ფაქტი ქართულ ენასა და ქართველი ტომების მატერიალურ თუ სულიერ კულტურაში, რომელიც ქართველი ხალხის ამ ძველაღმოსავლურ ხალხებთან მონათესაობაზე მეტყველებს. მაგრამ ამ დარგში ჯერ კიდევ ძალიან ბევრია გასაკეთებელი მეცნიერების სხვადასხვა დარგის მუშაკების—ენათმეცნიერების, არქეოლოგების, ეთნოგრაფების, ისტორიკოსების მიერ, რომ უფრო მკაფიოდ გამოვლინდეს ქართველი ხალხის მონათესაობა ძველი აღმოსავლეთის ამ ხალხებთან.

უკვე ძველაღმოსავლურ ხანაში, დიდი ხეთურ-სუბარული სახელმწიფოების არსებობის ხანაში, ამიერ-კავკასიაში მცხოვრებ ქართველ ტომებს უნდა ჰქონოდათ თავისი ენობრივ-ტომობრივი ინდივიდუალობა, რაც მათ განასხვავებდა ძველი აღმოსავლეთის მონათესავე ხალხებისაგანაც კი.

საქართველოს ტერიტორიაზე წარმოებული არქეოლოგიური გათხრები გვიჩვენებს, რომ II—I ათასწლეულში ჩ. წ-მდე ქართველმა ტომებმა საკუთარი მაღალგანვითარებული კულტურა შექმნეს ამიერ-კავკასიის ტერიტორიაზე. კულტურულად განსაკუთრებით დაწინაურდნენ ქართველი ტომები II ათასწლეულის დასასრულისათვის, როდესაც საქართველოს ტერიტორიაზე შეიქმნა თავისებური, მაღალგანვითარებული ბრინჯაოს კულტურა. ამ დროს აქ ორი დიდი კულტურული წრე ჩამოყალიბდა: დასავლურ-ქართული და აღმოსავლურ-ქართული. საქართველოს გარდა ამ მაღალგანვითარებული კულტურის გავლენის სფეროში ექცევა სხვა ტომებით დასახლებული ზოგი მეზობელი ადგილი. საყურადღებოა, მაგალითად, რომ სამხრეთ ამიერ-კავკასიის იმ რაიონების მოსახლეობა, რომელიც ურარტუს იმპერიის ფარგლებში შედიოდა, თავისი კულტურით უფრო ჩრდილოეთის ქართულ რაიონებთან ამყლავნებს სიახლოვეს, ვიდრე სამხრეთის ხური-ურარტულ რაიონებთან, მიუხედავად იმისა, რომ ენობრივად, ეთნიკურად, ამ ადგილების მოსახლეობა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ახლო უნდა მდგარიყო სწორედ სამხრეთის ხური-ურარტულ მოსახლეობასთან. ეტყობა, რომ ვიდრე ეს ადგილები ურარტუს სახელმწიფოს ფარგლებში მოექცეოდა, ამ ადგილების მოსახლეობა ჩრდილოეთით არსებულ მსხვილ ქართულ გაერთიანებათა კულტურული და პოლიტიკური გავლენის სფეროში იმყოფებოდა.

ქართველი ტომების ეს მსხვილი გაერთიანებები, რომლებიც II ათასწლეულის დასასრულსა და I ათასწლეულის პირველ ნახევარში არსებობდნენ საქართველოს ტერიტორიაზე, ეტყობა, მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენდნენ. მათი წინააღმდეგობის გატეხვა ვერ მოახერხეს ურარტუს ძლევამოსილი სახელმწიფოს მეფეებმა. მართალია, IX—VII საუკუნეებში ურარტუს მეფეებმა შესძლეს ქართველი ტომების პოლიტიკური გავლენის სფეროდან გამოეგლიჯათ სამხრეთ ამიერ-კავკასიის მთელი რიგი რაიონები (სევანის ტბის რაიონი, არარატის ველი, ლენინაკანისა და ყარსის რაიონები და სხვ.), მაგრამ ამაზე უფრო,

ჩრდილოეთით მათ წამოსვლა ვერ შეძლეს, რა თქმა უნდა, სწორედ ქართული გაერთიანებების მიერ მათთვის გაწეული გადამწყვეტი წინააღმდეგობის გამო.

2. სკვითურ-სარმატული მოდგმის ტომები ამიერ-კავკასიაში

ამრიგად, ამიერ-კავკასიაში მცხოვრებ ქართველ ტომებს II—I ათასწლეულში სამხრეთიდან ეკვროდა ეთნიკურად მათი მონათესავე ხური-ურარტული მოსახლეობა. ჩრდილოეთითა და აღმოსავლეთით ამავე ხანებში ქართველი ტომების მეზობლად ცხოვრობდნენ ჩრდილო-კავკასიური მოდგმის ტომები.

სამხრეთ რუსეთისა და ჩრდილოეთ კავკასიის ველებზე მცხოვრებ ტომებს ძველი ბერძენი და რომაელი მწერლები „სკვითებს", „კიმერიელებს" ან „სარმატებს" ეძახდნენ. ეს სახელები და, პირველ ყოვლისა, მათ შორის ყველაზე უფრო გავრცელებული სახელი „სკვითი" არაა ტომობრივად ერთი რომელიმე ხალხის სახელწოდება. ესაა კრებითი სახელები, რომელთა ქვეშ იგულისხმება სულ სხვადასხვა მოდგმის ტომები. როგორც ირკვევა, განსაკუთრებით განსვენებული აკად. ივ. ჯავახიშვილის ბრწყინვალე გამოკვლევებით, ეს სახელები, პირველ ყოვლისა „სარმატების" სახელწოდება, ძირითადად ჩრდილო-კავკასიური, ადიღეურ-ჩაჩნურ-ლეკური მოდგმის ტომებს გულისხმობს. ამ ტომების უმთავრესი საცხოვრებელი ადგილი ძველ დროშივე კავკასიონის ჩრდილოეთით მდებარე ქვეყანა იყო, სადაც ისინი ძალზე დიდ ტერიტორიაზე იყვნენ გავრცელებული. ზოგიერთი მეცნიერი ფიქრობს, რომ ეს ჩრდილო-კავკასიური ტომები აქ კავკასიის სამხრეთით მდებარე ადგილებიდან უნდა გადასახლებულიყვნენ. მაგრამ, არქეოლოგიური მასალა, რომელიც ჩრდილოეთ კავკასიის ტერიტორიაზე ადგილობრივ, შორეული სამხრეთის რაიონებისაგან განსხვავებულ, განვითარების უწყვეტ ჯაჭვს ავლენს, ეწინააღმდეგება ამ მოსაზრებას. ეს მასალა შეუძლებელს ხდის, შედარებით გვიანდელი ხანისათვის მაინც, მაგალითად II—I ათასწლეულისათვის ჩ. წ-მდე, სამხრეთი-

დან—დიდ ძველაღმოსავლურ სახელმწიფოთა რაიონიდან—კავკასიონის იქითა მხარეს ხალხთა დიდი მასების გადასახლება დავუშვათ.

მაგრამ უკვე უძველეს ხანებში ჩრდილო-კავკასიური ტომები კავკასიონის ჩრდილოეთ მხარის გარდა გავრცელებული ჩანან ამიერ-კავკასიის მთელ რიგ რაიონებში და კიდევ უფრო სამხრეთითაც.

ეს ტომები კავკასიონის აქეთა მხარეზე მეტწილად სწორედ ჩრდილო კავკასიიდან გადმოსროლილი ჩანან სხვადასხვა დროს. კავკასიონის იქითა მხარე სისტემატურად ისროდა სამხრეთით ხალხთა ასეთ ტალღებს. ზოგჯერ ამას დიდი შემოსევის, ზოგჯერ კიდევ პატარ-პატარა ჯგუფების გადმოსვლის სახე ჰქონდა. ჩ. წ-მდე VIII საუკუნიდან დაწყებული, კავკასიონის იქითა მხარიდან ხალხთა მრავალი ასეთი ტალღის გადმოსროლა კარგადაა დამოწმებული წერილობითი წყაროებითაც. მაგრამ ასეთსავე გადმოსვლებს ადგილი ჰქონდა, უეჭველია, უფრო ადრეც. კერძოდ, ჩრდილო კავკასიიდან სამხრეთისაკენ ხალხთა მნიშვნელოვანი ნაკადის გადმოსროლა უნდა მომხდარიყო უკვე II ათასწლეულის შუახანებში ჩ. წ-მდე. ამ ამბავს უკავშირდება ამიერ-კავკასიის სამხრეთით მდებარე ადგილებში ჩრდილო-კავკასიური მოდგმის ტომების გაჩენა, რომელთაც ჩვენ ვხვდებით აქ II ათასწლეულის მე-2 ნახევარსა და I ათასწლეულის 1-ლ ნახევარში. ხეთების მეფეებს, მაგალითად, XIV—XIII საუკუნეებში დიდი ბრძოლები ჰქონდათ მათი სამეფოს ჩრდილოეთით, შავი ზღვის სამხრეთით, დამკვიდრებულ ქაშქების ხალხთან, რომელიც სწორედ ჩრდილო-კავკასიური წარმოშობისა უნდა ყოფილიყო. ეს ხალხი ასურულ წყაროებში ხან „ქაშქა“-სა და ხან „აბეშლა“-ს სახელით იხსენიება. ორივე ეს სახელი მათ ჩრდილო-კავკასიურ ტომებთან აახლოვებს: ჩერქეზებს მეზობლები გვიანდელ ხანაში „ქაშაგ“-ებს ეძახდნენ, ხოლო დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე ანტიკურ ხანაში ჩვენ ვხვდებით, როგორც ჩანს აგრეთვე ჩრდილო-კავკასიური მოდგმის, ტომს—აფშილებს. ან კიდევ: „წოვ“-ების ჩაჩნური ტომის სახელს ჩვენ I ათასწლეულის პირველ ნახევარში, ასურეთისა და

ურარტუს ხანაში, ვხვდებით ამიერ-კავკასიის სამხრეთით, ჩრდილო მესოპოტამიის ერთ-ერთი ქვეყნის სახელად (ურარტული წარწერების „ცოფ.ანი“, სომხური წყაროების „წოფქ“) და სხვ.

ჩრდილო კავკასიიდან გადმოსული ეს ტომები ალაგ-ალაგ სახლდებოდნენ ამიერ-კავკასიის, კერძოდ საქართველოს, ტერიტორიაზეც. არა ერთ მკვლევარს, მათ შორის აკად. ივ. ჯავახიშვილსა და აკად. ს. ჯანაშიას, აღნიშნული აქვს, რომ საქართველოს ბევრი სხვადასხვა ადგილისა თუ მდინარის სახელწოდება ჩრდილო კავკასიური ენებით შეიძლება აიხსნას. ეს სახელები, ეტყობა, ჩრდილო-კავკასიური წარმოშობის ხალხმა დატოვა აქ, რომელიც ალაგ-ალაგ საქართველოს ტერიტორიაზეც ცხოვრობდა. შემდეგში ყველა ისინი ამა თუ იმ ქართველ ტომში გაითქვიფნენ და გაქართველდნენ.

ჩრდილო-კავკასიური ტიპის ადგილთა სახელები ბლომადაა საქართველოს გარდა ამიერ-კავკასიის სხვა რაიონებშიც. განსაკუთრებით კომპაქტური მასის სახით ამიერ-კავკასიაში ჩრდილო-კავკასიური ტომები დამკვიდრებულან აღმოსავლეთ ამიერ-კავკასიაში, დღევანდელი საბჭოთა აზერბაიჯანის ტერიტორიაზე, რომელსაც ძველი ბერძნები და რომაელები თავის ნაწერებში ალბანეთს უწოდებდნენ. ბევრი მკვლევარი ფიქრობს, რომ ძველი ალბანელები ჩრდილო-კავკასიური მოდგმის ხალხი უნდა ყოფილიყო. როგორც ალბანეთის, ისე ამიერ-კავკასიის ბევრ სხვა ადგილას, ჩვენ გვიანდელ ხანაში ვხვდებით ცალკეული ოლქების არა ერთ სახელწოდებას, რომელიც ამა თუ იმ ჩრდილო-კავკასიურ ტომის სახელს უკავშირდება (მაგალითად, სახელები შირაქი, ნახიჩევანი, შაკაშენი და სხვა). ფიქრობენ, რომ აქ სწორედ ჩრდილო-კავკასიურ ტომებს უნდა ეცხოვრათ.

ამიერ-კავკასიასა და კიდევ უფრო სამხრეთით ჩრდილო-კავკასიური ელემენტების მნიშვნელოვანი ნაწილის გაჩენა უკავშირდება VIII—VII საუკუნეებში კავკასიონის იქითა მხარიდან ხალხთა დიდი მასების გადმოსვლას, რომელთაც ძველი დროის ავტორები კიმერიელებსა და სკვითებს უწოდებენ. ეს ხალხები ამიერ-კავკასიაზე გამოვლით შეესივნენ წინა აზიას,

მათ მცირე აზიის დასავლეთ საზღვრებს მიაღწიეს, სირიაპალესტინაშიც კი შეიჭრნენ და ეგვიპტის საზღვარს მიადგნენ. სკვით-კიმერიელებს, უეჭველია, შეეერთდნენ ამიერ-კავკასიის ტომებიც, რამაც ეს შეშფოთება კიდევ უფრო გააძლიერა. ჩრდილოეთიდან შემოსეული ეს ხალხები მალე დასახლდნენ სამხრეთის სხვადასხვა ადგილას, მათ შორის ამიერ-კავკასიასა და მის სამხრეთით მდებარე ზოგ პუნქტში.

VIII საუკუნიდან მოყოლებული სკვითები დიდ როლს თამაშობდნენ წინა აზიის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ეს უმთავრესად იმიტომ მოხდა, რომ სკვითების რაზმების გამოყენებას ურთიერთის წინააღმდეგ ხელი მიჰყვეს ძველაღმოსავლურმა სახელმწიფოებმა. ჩვენ გვაქვს ცნობები, რომ ასეთ ცდებს ადგილი ჰქონია ასურეთის, მიდიის, ურარტუს, მანას მეფეთა მხრით. მანას მეფეებმა, კერძოდ, რომლებმაც მრავლად დაასახლეს სკვითები თავის სამეფოს ტერიტორიაზე, სკვითების რაზმები თავის სამსახურში ჩაიყენეს და ამით დიდ წარმატებას მიაღწიეს—VII საუკუნეში მანა ნაირი-ურარტუს მხარეში უძლიერესი ერთეული გახდა, რომელიც ამ დროს თავისი ძლიერების მწვერვალზე მყოფ ასურეთსაც კი ავიწროებდა. ასევე, სკვით-კიმერიელთა დაქირავებულ რაზმებს ჩვენ ვხვდებით VII საუკუნეში ურარტუშიც.

ამრიგად, სკვითები მარტო დამპყრობელებად როდი მოევლინენ წინა აზიას, ისინი დიდ როლს თამაშობდნენ უმთავრესად როგორც ამა თუ იმ მსხვილი გაერთიანების ხელისუფლების დაქირავებული რაზმები. სკვითების ასეთი რაზმები, ეტყობა, ქართველ ტომთა გაერთიანებებშიც გაჩენილა. სკვითების შეიარაღებისათვის დამახასიათებელ ნივთებს ჩვენ ამ დროს ბევრ სამარხში ვხვდებით საქართველოს ტერიტორიაზეც, მათ შორის აღმოსავლეთ საქართველოს გულშიც, მცხეთის რაიონში. აქ გათხრილ ამ დროის ზოგ სამარხში მიცვალებულისათვის ჩატანებული თითქმის ყველა ნივთი „სკვითურია". ამრიგად ძველაღმოსავლური სახელმწიფოების დაცემის ეპოქაში საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ ქართულ გაერთიანებებში ჩვენ სკვითების რაზმებსაც ვხედავთ, რომლებიც ამ გაერთი-

ანებათა სამსახურში იყვნენ ჩაყენებულნი. ქართულ გაერთიანებებთან ერთად ამ სკვითებმაც აქტიური მონაწილეობა მიიღეს ურარტუს სამეფოს განადგურების საქმეში.

3. სამხრეთ ამიერ-კავკასიის ურარტული ცენტრების განადგურება და დიდი აღმოსავლურ-ქართული გაერთიანებების ჩამოყალიბება

როგორც ვთქვით, უკვე ურარტუს სამეფოს არსებობის ხანაში სამხრეთ ამიერ-კავკასიაში დამკვიდრებულ ურარტელებს ბრძოლები უნდა ჰქონოდათ ჩრდილოეთის დიდ ქართულ გაერთიანებებთან და ამ უკანასკნელთა მიერ გაწეული წინააღმდეგობის გამო ვერ შესძლეს სევანის ტბის, ლენინაკანისა და ყარსის რაიონების ჩრდილოეთით გადმოსვლა, სადაც ეტყობა გადიოდა ამ დროს აღმოსავლურ-ქართულ გაერთიანებათა მიერ დაკავებული ტერიტორიის სამხრეთი საზღვარი. მას შემდეგ, რაც VI საუკუნის დასაწყისში მიდიელებმა დაარბიეს ურარტუს ცენტრალური რაიონები, აღმოსავლურ-ქართულ გაერთიანებებს ხელ-ფეხი გაეხსნათ სამხრეთის მიმართულებით შეტევისათვის. ამის შემდეგ ისინი ადვილად ეუფლებიან ურარტუს ჩრდილოეთ პროვინციებს.

უკანასკნელ ხანებში წარმოებული არქეოლოგიური გათხრებით კარგად ჩანს, რომ მაშინ, როდესაც მიდიელებმა დაარბიეს ურარტუს სამხრეთი რაიონები, ურარტუს ჩრდილოეთ რაიონებში, სამხრეთ ამიერ-კავკასიაში, ურარტული ცენტრები სწორედ ჩრდილოეთიდან ამოძრავებულ ხალხებს უნდა გაენადგურებინათ. ურარტელთა ციხე-ქალაქ თეიშებაინის (რომელიც ერევნის მახლობლად, დღევანდელ კარმირ-ბლურის გორაკზე იმყოფებოდა) გათხრებით კარგად ჩანს, თუ რა სასტიკად დაურბევიათ ჩრდილოეთიდან მოსულ მტრებს ურარტელთა ეს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ცენტრი სამხრეთ ამიერ-კავკასიაში.

გათხრებისას აღმოჩენილი მცენარეულის ნაშთებით ირკვევა, რომ მტრები ამ ქალაქს აგვისტოს პირველ რიცხვებში დასხმიან თავს. არის ნიშნები, რომ მტრები ღამით მოულოდ-

კარმირ-ბლურის გათხრები. 1949 წელს გათხრილი ღვინის
დიდი მარანი

ნელად დასხმიან თავს ციხე-ქალაქს. იერიშის წინ მათ ცეცხლ-წამკიდი ისრები დაუშენიათ, რითაც ცეცხლი წაჰკიდებია ციხე-სიმაგრის ეზოში მყოფ საცხოვრებლებს. მათი სახურავები, რომელიც ხის მასალიდან იყო გაკეთებული, მალე დამწვარა, ჩაქცეულა და თავის ქვეშ მოუყოლებია ყველაფერი, რაც კი ამ სახლებში იყო. ცეცხლი წაჰკიდებია, აგრეთვე ურარტელი მმართველის სასახლეს, გაჩენილა ისეთი საშინელი ხანძარი, რომ კერამიკულ ნაწარმსაც კი დნობა დაუწყია. ხანძრის დროს სასახლის სახურავზე თავისი სადგომებიდან გამოსულ პირუტყვს დაუწყია სირბილი, მაგრამ სახურავის ჩაქცევასთან ერთად ეს პირუტყვიც ჩაცვივნულა ძირს და ცეცხლში დაღუპულა. მრავალ ადგილას პოულობენ ცხენებისა და სხვა პირუტყვის ცეცხლში დამწვარ ჩონჩხებს. აქვე ხშირად ხვდებიან მოკლული ადამიანების ჩონჩხების ნაშთებსაც. მთელი სასახლე საშინელმა ხანძარმა შთანთქა. სახურავებთან ერთად აქ ბევრი კედელიც ჩამოინგრა და ყველაფერი, რაც ოთახებში იყო, მოიყოლა. ამიტომაა, რომ დღეს ამ გათხრების დროს თითქმის ყველაფერს პოულობენ იმ მდგომარეობაში, როგორშიც ისინი ციხე-სიმაგრეზე მტრების თავდასხმის დროს ყოფილან. ხანძარს აქ ისეთი ძალით უმძვინვარია, რომ დღეს გათხრებზე მომუშავე მუშები ყოველდღე ტომრობით ეზიდებიან ხოლმე სახლში ამ 2500 წლის წინათ აქ ძლიერი ცეცხლისაგან ნახშირად ქცეულ ურარტული სასახლის ხის ნაწილებს.

გათხრების დროს დიდი რაოდენობით იქნა ნაპოვნი „სკვითური ტიპის“ ისრისპირები, ამასთანავე ჩანს, რომ ისინი მტრებს ეკუთვნოდა, რაც იმას მოწმობს, რომ ამ ურარტული ციხე-სიმაგრის განადგურებაში სკვითებსაც მიუღიათ მონაწილეობა.

ამრიგად, VI საუკუნის დასაწყისში ამიერ-კავკასიაში ურარტული ციხე-სიმაგრეები უნდა გაენადგურებინათ ჩრდილოეთის ქართულ გაერთიანებებს მათ სამსახურში მყოფ სკვითების რაზმებთან ერთად. ამის შედეგად ჩვენ ვხედავთ, რომ აღმოსავლურ-ქართულ გაერთიანებათა ფარგლებში მოექცა ძველი ურარტუს იმპერიის ბევრი რაიონი და თვით ქართველი ტომებიც სამხრეთით შორს მანძილზე გაიჭრნენ.

ურარტუს სახელმწიფოს ნანგრევებზე ჩამოყალიბდა აღმოსავლურ-ქართული ელემენტის ჰეგემონობით დიდი პოლიტიკური გაერთიანება, რომელსაც ადრინდელი ხანის ბერძნული წყაროები „სასპერების“ გაერთიანებას უწოდებენ. V საუკუნის ბერძენი მწერლის ჰეროდოტეს ცნობით, სასპერების ხალხს ეპირა მთელი ტერიტორია მიდიიდან კოლხეთამდე. სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე ჩვენ ვხვდებით შემდეგში სპერის სახელწოდების მქონე ოლქს, რის გაძოც ხერხდება „სასპერ“— სახელში სა—ქართულ წინსართად მიეიჩნიოთ, რაც ლაპარაკობს ამ მსხვილი გაერთიანების ქართული ხასიათის სასარგებლოდ...

აღმოსავლურ-ქართული ელემენტის სამხრეთით შორს გაჭრის მოვლენა ჩანს ძველი ბერძენი და რომაელი მწერლების სხვა ცნობების მიხედვითაც; უკვე V საუკუნის მწერლები ჩ. წ-მდე ვანის ტბის სამხრეთ-დასავლეთით, მდ. ტიგროსის ზემოწელზე, იხსენიებენ კარდუხების ხალხს, რომელთა სახელწოდებად, თუ მას ხური-ურარტული სატომო სახელების მაწარმოებელ „ხი“—დაბოლოებას ჩამოვაცილებთ, „კარდუ“ დაგვრჩება. ეს ხალხი აღმოსავლურ-ქართული წარმოშობის უნდა ყოფილიყო. მათი სახელი „კარდუ“ (გამოთქმაში უნდა გვქონოდა „ქართუ“) იდენტურია აღმოსავლურ-ქართული გაერთიანების ჰეგემონი ტომის ადგილობრივი სახელისა („ქართუ“ აქედანაა „ქართუ-ელი“—„ქართველი“). კარდუ—ხალხის ქართველურობას ამჟღავნებს ამ ხალხის სახელის ამავე დროს წყაროებში „კორდუ“ („გორდუ“-ს) ფორმით ხმარებაც. ეტყობა, ამ დროს აღმოსავლურ-ქართული ტომის კარდუს გვერდით მეგრულ-ჭანურ მოსახლეობას უცხოვრია, რომლის ენიდან უნდა მიეღოთ ბერძნებსა და სომხებს ამ ხალხის სახელი „კორდუ“ (გორდუ-ქორთუს) ფორმით. რაკი კარდუ და კორდუ სახელები ქართულ და მეგრულ-ჭანურ ენებისათვის დამახასიათებელ ბგერით შესატყვისობას ავლენს (ქართული „ა“-ს ნაცვლად მეგრულში საერთო-ქართული წარმოშობის სიტყვებში, როგორც წესი, „ო“ უნდა გვქონდეს. ასე მაგალითად, გვაქვს ქართული „კაცი“-ს შესატყვისად მეგრული „კოჩი“ და სხვ). ეს გარემოება კი იმაზეც ლაპარაკობს, რომ ურარტუს სამეფოს

დაცემის შემდეგ აღმოსავლურ-ქართულ ტომებთან ერთად სამხრეთით უნდა გაჭრილიყვნენ დასავლურ-ქართული ტომებიც.

ძველ ბერძნულ ტრადიციაში დაცულია კიდევ არა ერთი ცნობა აღმოსავლურ-ქართული ელემენტისა თუ მისი პოლიტიკური ძალაუფლების სამხრეთით შორ მანძილზე გავრცელების შესახებ. ასე მაგალითად, ჩ. წ-მდე II საუკუნის მწერალ აპოლოდორს დაცული აქვს უფრო ადრინდელი ტრადიცია იმის შესახებ, რომ იბერია (ასე ეძახდნენ უცხოელები ჩრდილოეთის აღმოსავლურ-ქართულ გაერთიანებას) მდ. არაქსამდე განივრცობოდა.

აღმოსავლეთ ამიერ-კავკასიაში ქართული ელემენტის ჰეგემონობით ჩამოყალიბებულ ამ დიდ გაერთიანებებში, რა თქმა უნდა, შედიოდა ძველი ურარტუს სამეფოს ტერიტორიაზე მცხოვრები ბევრი ხური-ურარტელი ტომი, აგრეთვე ამიერ-კავკასიასა და მის სამხრეთით დამკვიდრებული ჩრდილო-კავკასიური („სკვითურ-სარმატული") მოდგმის ტომები. ამ გზით მომზადდა ყველა მათი გათქვეფა ქართველ ტომებში და ქართველი ხალხის შემადგენლობაში შესვლა.

4. მუშქების ხალხი და უძველესი აღმოსავლურ-ქართული გაერთიანებები

ქართველი ხალხის შემადგენლობაში უნდა მოხვედრილიყო კიდევ სამხრეთ-დასავლეთიდან, მცირე აზიიდან ამოძრავებული, როგორც ჩანს, ქართველურივე წარმოშობის, ტომების მნიშვნელოვანი ნაკადი. ესაა — მესხების ხალხი, რომელიც ასურეთისა და ურარტუს სამეფოთა ხანაში მცირე აზიის აღმოსავლეთ პერიფერიაზე ცხოვრობდა. ასურული და ურარტული წარწერები მათ მუშქებს ეძახოდნენ.

VIII საუკუნეში ჩ. წ-მდე მუშქების მეთაურობით მცირე აზიაში დიდი გაერთიანება არსებობდა, რომელსაც ბერძნული ტრადიცია ფრიგიის სამეფოს სახელით იცნობს. ურარტუს მეფეებს VII საუკუნეში თავისი სამეფოს დასავლეთ საზღვრებზე ბრძოლები ჰქონდათ მუშქების ხალხთან, რომელთა წინააღმდეგ ბრძოლაში ისინი ფართოდ იყენებდნენ კიმერიელთა დაქირავებულ რაზმებს.

ურარტუს სამეფოს დაცემამ მუშქებს გზა გაუხსნა აღმოსავლეთითა და ჩრდილო-აღმოსავლეთით. მათ წამოიწიეს ჩრდილო-აღმოსავლეთით და საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ რაიონში დასახლდნენ. მათი ნაწილი, ეტყობა, კიდევ უფრო ჩრდილოეთით გამოიჭრა. ამის ნიშანია ის, რომ მცხეთის სახელი ამ ხალხის სახელიდან ნაწარმოები ჩანს (მცხე-თა, შდრ. სა-მცხე), ან კიდევ ძველი იბერიის უზენაესი ღვთაება არმაზი ხეთურ-მცირეაზიულ სახელს ატარებს (ხეთებში და მცირე აზიის სხვა ხალხებში „არმას" მთვარის ღმერთის სახელი იყო).

როგორც ვხედავთ, უკვე ჩ. წ-მდე VIII საუკუნიდან დაწყებული, ამიერ-კავკასია ხალხთა გადაადგილების ასპარეზი გახდა. ურარტუსა და მანას ძლიერი სამეფოების დაცემამ VI საუკუნის დასაწყისში ხალხთა ეს მოძრაობა კიდევ უფრო ინტენსიური გახადა. აღმოსავლეთ ამიერ-კავკასიაში ქართველი ტომების ჰეგემონობით ჩამოყალიბდა დიდი გაერთიანებანი, რომელშიაც ქართველ ტომებს გარდა შევიდნენ ნაირი-ურარტუს ძველი ჰეგემონი ხური-ურარტელი ტომები და აქ დასახლებული სკვითურ-სარმატული მოდგმის ტომები. ამავე ხანებში აღმოსავლურ-ქართული გაერთიანების წიაღში მოხვდა მცირეაზიურ-ხეთური სამყაროდან ამოძრავებული მუშქების ხალხი. ყველა ეს ტომები შემდეგში ამიერ-კავკასიაში ძველიდანვე მცხოვრებ ქართველ ტომებს შეერწყნენ და ქართველი ხალხის შემადგენლობაში შევიდნენ.

5. სომეხი ტომების მსხვილ გაერთიანებათა ჩამოყალიბება და მათ მიერ ნაირი-ურარტუს ტერიტორიის თანდათანობითი დაკავება

ურარტუს დაცემის შემდეგ მუშქებ-მესხებთან ერთად სამხრეთ-დასავლეთიდან აღმოსავლეთისა და ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით ამოძრავდნენ და ძველი ნაირი-ურარტუს ტერიტორიაზე ნელ-ნელი შემოსვლა იწყეს სომეხმა ტომებმაც.

სომეხი ტომების გაერთიანება უკვე ურარტუს არსებობის ხანაში უნდა ჩამოყალიბებულიყო ურარტუს დასავლეთით, მცირე აზიის აღმოსავლეთ პერიფერიაზე.

სომეხი ხალხი ეხით მონათესავე ჩანს მცირე აზიის იმ ხალხებისა, რომლებიც თავისი ენით ინდოევროპელი ხალხების ოჯახთან ახლო დგანან. ზოგი მკვლევარი სომხურ ენას ძველი მცირე აზიის ისეთ ენებთან ერთად, როგორიცაა ხეთურ-ნესიტური, ხეთურ-ჰიეროგლიფური, ლუვიური, ლიკიური და ლიდიური, ინდოევროპული ენების თავისებურ შტოდ მიიჩნევს. სომხური ენისა და სომხების წარმართული პანთეონის მცირეაზიულ-ხეთურ სამყაროსთან სიახლოვის ბევრი ფაქტი გამოავლინა პროფ. გრ. ღაფანციანმა, რომელმაც ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ ამასთან შედარებით ურარტული ენისა და ურარტელთა რელიგიის გავლენა სომხურ სამყაროზე სრულიად უმნიშვნელო ჩანს. ეს იმის ნიშანია, რომ სომეხი ტომების კონსოლიდაცია უნდა მომხდარიყო მცირე აზიაში ჯერ კიდევ ურარტუს ტერიტორიაზე მათ შემოსვლამდე.

ის, რომ სომეხი ხალხის ჩამოყალიბების მთავარი კერა ურარტუს დასავლეთით მდებარე ტერიტორია იყო, კარგად ჩანს იმ სახელწოდებათა მიხედვით, რითაც სომეხი ხალხი აღინიშნება. სომხები თავის თავს „ჰაი“-ებს უწოდებენ, უცხოელები—„არმენებს“, მეზობელი ქართველები კი „სომხებს“. ყველა ეს სახელი ტერიტორიალურად სწორედ ურარტუს დასავლეთ პერიფერიას, მდ. ტიგროსისა და ევფრატის ზემოწელის რაიონში მდებარე ქვეყნების სახელებს უკავშირდება—ხეთურ წყაროებში დამოწმებულ ხაიასას ქვეყნის, ასურული და ურარტული წყაროების არმე და სხვა მსგავსი სახელების მქონე ქვეყნების, ასურული წყაროების სუხმის (გამოთქმაში იყო ალბათ „სოხმი“) ქვეყნის სახელებს.

მცირე აზიის აღმოსავლეთ პერიფერიაზე ჩამოყალიბებულ სომეხ ტომთა ამ გაერთიანებას ხელ-ფეხი გაუხსნა ასურეთისა და ურარტუს დაცემამ. სომეხი ტომების გაერთიანებამ თუ გაერთიანებებმა დაიწყეს აღმოსავლეთისაკენ მოძალება და ძველი ასურეთისა და ურარტუს იმპერიათა მთელი რიგი

ტერიტორიების დაკავება. ანტიკური ხანის ავტორების ცნობებიდან კარგად ჩანს, რომ სომხური ელემენტის ეს შეჭოსვლა ძველი ნაირი-ურარტუს ტერიტორიაზე საუკუნეთა განმავლობაში მიმდინარე ხანგრძლივი პროცესი იყო. ამ პროცესმა თავის უმაღლეს წერტილს ჩ. წ-მდე I საუკუნეში მიაღწია, როდესაც სომხეთის ხელისუფალთა პოლიტიკური ძალაუფლება გარკვეული დროით ძველი ნაირი-ურარტუს თითქმის მთელ ტერიტორიაზე გავრცელდა.

6. დასავლურ-ქართული ტომების უძველესი გაერთიანებები

მნიშვნელოვან ამბებს აქვს ადგილი ამ ხანებში დასავლეთ საქართველოშიც. ზემოთ დავინახეთ, რომ XII—VIII საუკუნეთა მანძილზე სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე არსებობდა ხურიტული ტომების ჰეგემონობით ჩამოყალიბებული ნასვილი გაერთიანება - დიაუხის სამეფო, რომლის სამხრეთი პერიფერია დღევანდელი არზრუმისა და მდ. ყარასუს სათავეების რაიონში მდებარეობდა, ჩრდილოეთით კი მისი ტერიტორია ზოგჯერ შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროებამდე აღწევდა. ძველთაგანვე ამ გაერთიანებაში ხურიტებს გარდა შავი ზღვის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში მცხოვრები ქართველი ტომებიც შედიოდნენ.

დასავლურ-ქართული (მეგრულ-ჭანური) ტომები ძველთაგანვე დიდ ტერიტორიაზე იყვნენ გავრცელებულნი, დღევანდელ დასავლეთ საქართველოსა და, აგრეთვე, შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროებზე. ძველაღმოსავლურ ხანაში მათ უშუალო შეხება ურარტელებთან, შეიძლება, არც ჰქონიათ. ურარტელებისაგან ისინი ხურიტული მოსახლეობით და, კერძოდ, დიდი ხურიტული გაერთიანებით—დიაუხის სამეფოთი იყვნენ გამოყოფილი, რომელშიც მათი ნაწილი შედიოდა კიდეც. არის იმისი ნიშნები, რომ უკვე ძველაღმოსავლურ ხანაში უნდა დაწყებულიყო დიაუხის დიდი გაერთიანების ტერიტორიაზე ჰეგემონობის გადასვლა ხურიტული ელემენტიდან

დასავლურ-ქართული წარმოშობის ტომების ხელში, რომლებშიც შემდეგ ამ ადგილებში მცხოვრები ხურიტული მოსახლეობა გაითქვიფა.

მას შემდეგ, რაც VIII საუკუნის შუახანებში, არგიშთი I-ის დროს, ურარტელებმა გაანადგურეს დიაუხის დიდი სამეფო, მისი ტერიტორიის ნაწილი მოექცა უფრო ჩრდილოეთით არსებულ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტომების მსხვილი გაერთიანების ფარგლებში, რომელსაც ურარტული წარწერები კულხას ეძახიან (გამოითქმოდა, ალბათ, „კოლხა"-დ. ურარტულ დამწერლობას არ შეეძლო „ო" ბგერის გადმოცემა).

ამ დიდი გაერთიანების ცენტრი დიაუხის ჩრდილოეთით იყო, იქ სადაც შემდეგში სამხრეთ საქართველოს ერთ-ერთი ოლქი—კოლა იყო (სახელი „კოლხა" ამავე „კოლა"-დანაა ნაწარმოები ხურიტული სატომო სახელების მაწარმოებელი დაბოლოების—„ხა"-ს დართვით). ამ გაერთიანების ფარგლებში მოექცა დიაუხის სამეფოს ერთი ნაწილი (მაგალითად, ხუშანის ქვეყანა, რომელიც არგიშთი I-ის დროს დიაუხის შემადგენლობაში შედიოდა, მისი მემკვიდრის, სარდური II-ის დროს, უკვე კოლხას ფარგლებშია მოქცეული).

სარდური II-ის დროს ურარტელებს დიდი ბრძოლები ჰქონდათ კოლხას სამეფოსთან. მაგრამ მალე ამის შემდეგ ურარტუ დასუსტდა; მას ხელი აღარ მიუწვდებოდა ისეთ შორეულ ქვეყნებზე, როგორიც იყო კოლხა. ამ დროიდან იწყება კოლხას სამეფოს ძლიერების გაფურჩქვნა, რომლის დროსაც მის ფარგლებში მოექცა შავი ზღვის სამხრეთ და აღმოსავლეთ სანაპიროებზე მდებარე ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი. ეს ის დრო იყო, როდესაც დაიწყო ბერძნების მიერ ახალშენების მოწყობა შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ და აღმოსავლეთ სანაპიროებზე. პირველი ბერძნული კოლონიები აქ, ეტყობა, იმ დროს გაჩნდა, როდესაც არსებობდა კოლხას ეს ძლიერი სამეფო, რის გამოც ამ გაერთიანების სახელი ბერძნებთან შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთითა და აღმოსავლეთით მდებარე ვრცელი ტერიტორიის ზოგად სახელად გადაიქცა (ბერძნების „კოლხიდა", ქართ. „კოლხეთი").

ბერძნულმა ტრადიციამ არგონავტებზე მითის სახით შემოინახა კოლხეთის ტერიტორიაზე უძველეს ხანებში არსებული დიდი სამეფოს ძლიერებისა და ბრწყინვალების გამოძახილი. ეს, ალბათ, სწორედ ისტორიულად არსებული, უკვე ძველ-აღმოსავლურ ხანაში ამ ტერიტორიაზე აღმოცენებული კოლხას ძლიერი სამეფოს ძლიერებისა და ბრწყინვალების ანარეკლია.

* * *

ამრიგად ურარტუს სამეფოს ნანგრევებზე ჩამოყალიბდა ქართველი და სომეხი ტომების მსხვილი გაერთიანებები, ძველი ნაირი-ურარტუს ტერიტორიაზე ჰეგემონობა ხური-ურარტელი ტომებიდან ქართველი და სომეხი ტომების ხელში გადავიდა. ქართველი ტომების მსხვილ გაერთიანებათა ფარგლებში მოექცა, შემდეგში ქართველ ტომებში გაითქვიფა და ქართველი ხალხის შემადგენლობაში შევიდა ზოგი ჩრდილო-კავკასიური (სკვითურ-სარმატული) ტომი და ხეთურ-მცირეაზიულ სამყაროდან წამოსული ზოგი ტომი. ამ გზითაც ქართველი ხალხი მემკვიდრე შეიქნა ძველი აღმოსავლეთის ხალხების მდიდარი კულტურული მემკვიდრეობისა, რაც მან თავისში მიიღო ამ კულტურის მატარებელი ხალხის ნაკადთან ერთად.

ქართველი ხალხის შემადგენლობაში შევიდა, აგრეთვე, როგორც ვთქვით, ურარტელი და ხურიტი ტომების მნიშვნელოვანი ნაკადი. ხური-ურარტული ენისა და ხალხის სახით ჩვენ, როგორც აღნიშნული გვქონდა, ქართულ-კავკასიურ სამყაროსთან ახლო მდგომ, მონათესავე სამყაროსთან გვაქვს საქმე. ხურიტული და მისი ერთ-ერთი დიალექტი—ურარტული, ძველი აღმოსავლეთის ენათა იმ ჯგუფს ეკუთვნის, რომელიც ყველაზე ახლოს ქართულ-კავკასიურ ენათა ჯგუფთან დგას. ურარტული და მისი მონათესავე ხურიტული ენა ბევრ რამეში ამჟღავნებს სიახლოვეს ქართულ-კავკასიურ ენობრივ სამყაროსთან, პირველ ყოვლისა გრამატიკული წყობის მხრით.

საინტერესოა, აღინიშნოს, აგრეთვე, ლექსიკური შეხვედრებიც ქართულსა და ურარტულ ენებს შორის. ასე მაგალი-

თად, ურარტულში ვხვდებით ჩვენ იმავე ან ახლო მდგომი მნიშვნელობით ქართველური ენების ისეთ სიტყვებს, როგორიცაა: სერი („ლაბე“ ჭანურ-მეგრულში), უბანი, ცოცხალი (ძველი ქართულის „ცხოველი“), ყურძენი, ყოველი, ქური (ჭანურ-მეგრული შესატყვისი ქართული „ქუსლი“-სა), სვლა, ცოლი (ჭანურ-მეგრულის „ჩილი“), წელი და მრავალი სხვა.

საინტერესოა, რომ ურარტული ენის მონაცემებით ხერხდება დღეს თავისი შედგენილობით გაუგებარი ზოგი ქართული გამოთქმის ახსნაც კი. ასე მაგალითად, დღევანდელი ქართველისათვის თავისი შედგენილობით სრულიად გაუგებარია ისეთი გამოთქმები, როგორიცაა „ყირამალა“, „ყირაზე გადასვლა“. ეს გამოთქმები გასაგები გახდება თუ დავუშვებთ, რომ „ყირა“ აქ „მიწის“ მნიშვნელობით იხმარება („ყირამალა“—„მიწა მაღლა“, „თავდაყირა“—„თავით მიწისაკენ“, „ყირაზე გადასვლა“—„მიწაზე გადასვლა (თავით)“ და სხვ.). ამასთან დაკავშირებით კი ყურადღებას აქცევენ იმას, რომ „ყირა“ (გამოითქმოდა შეიძლება „ყირა“-დ) ურარტულად სწორედ „მიწას“ ნიშნავს და ზემომოყვანილ ქართულ გამოთქმებში შეიძლება სწორედ ეს ურარტული სიტყვა გვაქვს. ასეთი მდგომარეობა უნდა გვქონდეს ჩვენ ქართული სიტყვის „შარშან“-ის შემთხვევაშიც. მნიშვნელობით ეს სიტყვა „წინა წელს“, „იქითა წელს“ ნიშნავს, მაგრამ შედგენილობით სავსებით გაუგებარია დღევანდელი ქართველისათვის. ეს სიტყვაც ურარტული ენის მონაცემებით შეიძლება აიხსნას. ურარტულად „შალი“ „წელს“ ნიშნავდა, „იშანი“ კი—„იქით“, „იმ“-ს. „შალიშანი“ ურარტულად იქნებოდა: „იქითა წელს, იმ წელს“ ე. ი. სავსებით ის, რასაც ნიშნავს ქართული „შარშან“. მნიშვნელობით ქართული „შარშან“ სავსებით ემთხვევა ურარტულ „შალიშანს“, ბგერითი შედგენილობის მხრითაც მათ შორის უცილობელი მსგავსებაა.

ამავე თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს ის გარემოებაც, რომ ჩვენ არა ერთი ქართული სიმღერის მისამღერში ვხვდებით დღევანდელი ქართველისათვის სრულიად გაუგებარ სიტყვებსა და გამოთქმებს, რომელთაგან არა ერთის ახსნა ხერხდება სწორედ ურარტული ენის მეშვეობით. ყურადღება მიაქციეს, მა-

გალითად, რომ ქართული სიმღერების ამ მისამღერებში იხსენიება წინა აზიის უძველესი მოსახლეობის არა ერთი ღმერთის სახელი, მათ შორის ხშირად გვხვდება მოსავლის ღვთაება არალეს (ალალეს) სახელიც. ყველაზე უფრო საინტერესოა ის, რომ ამ ღმერთთან დაკავშირებით ქართულ სიმღერებში თავს იჩენს სიტყვები, რომლებიც ღღეანდელ ქართველისათვის გაუგებარია, მაგრამ ურარტულ ენაში კარგად ცნობილ სიტყვებს წარმოადგენენ—მაგალითად, გვხვდება გამოთქმები „ივრი ალალე", „თარი არალე" („თარი ალალე"), „არი ალალე. „ივრი" („ევრი") ურარტულად „მეუფეს", „ბატონს" ნიშნავს, ასე რომ ქართული მისამღერის „ივრი ალალე" ნიშნავს „მეუფეო ალალე"; „თარი" („თარაი") ურარტულად „დიდს", „დიადს" ნიშნავს, ასე რომ „თარი არალე" ნიშნავს „დიდო ალალე"; რაც შეეხება „არი ალალეს", აქაც „არი" ურარტული სიტყვა ჩანს: „არი" კანონსომიერი ფორმაა მე-2 პირის მხოლობითი რიცხვისა ბრძანებითი კილოსი ურარტულ ზმნის ძირიდან „არუ-", რაც „ბიცევას" ნიშნავს. ასე რომ „არი" ურარტულად ნიშნავს „მომეც!" („მოგვეც!"). ამრიგად მთლიანად „არი ალალე" ნიშნავს: „მომეც (ღმერთო) ალალე!" როგორც ვხედავთ, დღემდე ქართველები მღერიან სიმღერებს, სადაც საკმაოდ დიდი ოდენობით ისმის ურარტული სიტყვები და გამოთქმები. ამრიგად, თავისი შედგენილობით დღეანდელი ქართველისათვის გაუგებარი ზოგი ქართული სიტყვა და გამოთქმა როგორც ჩანს, ურარტული ენის მოწაცემებით შეიძლება აიხსნას.

უკვე ის, რის გაშოვლენაც ჯერ-ჯერობით ხერხდება, გვიჩვენებს, რომ ენობრივად ურარტული და ქართული სამყარო საკმაოდ ახლო დგას ერთმანეთთან. ერთის მხრით ჩანს ფაქტები, რომლებიც მონათესაობაზე ლაპარაკობენ, მეორეს მხრივ კი ჩანს ისეთი ფაქტებიც, რომლებიც თითქოს ქართულ ენაში პირდაპირ ურარტულ ენაზე მოლაპარაკე კოლექტივს უნდა შემოეტანა. ასეთი ფაქტები ადასტურებენ ზემოთ სხვა რიგის საბუთების საფუძველზე გაკეთებულ დასკვნას, რომ ურარტელი ხალხის მნიშვნელოვანი ნაკადი სწორედ ქართველი ხალხის შემადგენლობაში უნდა შესულიყო.

ბოლოსიტყვაობა

წინამდებარე ნარკვევი ძირითადად იმ ხანას ეხება რომელსაც კაცობრიობის ისტორიაში „ძველაღმოსავლურ ხანას“ უწოდებენ. ძველი აღმოსავლეთის ისტორია—ახალგაზრდა მეცნიერებაა. მას მხოლოდ გასულ საუკუნეში ჩაეყარა მტკიცე მეცნიერული საფუძველი იგი დღესაც სწრაფ განვითარებას განიცდის, რის გამოც ბევრი მოვლენის შესახებ ჩვენი წარმოდგენა აქ ხშირად ძირფესვიანად იცვლება, სწორდება, ზუსტდება. ყოველივე ეს ითქმის ძველი აღმოსავლეთის ერთ-ერთი უდიდესი სახელმწიფოს—ურარტუს შესახებაც. ურარტუს ისტორიისა თუ ურარტული ენისადმი მიძღვნილი ბევრი ნარკვევი ვერ დგას მეცნიერების დღევანდელი დონის სიმაღლეზე და მრავალი შეცდომის გავრცელების წყარო ხდება. ჩვენს მიზანს შეადგენდა მკითხველისათვის მიგვეწოდებინა ის ძირითადი, რისი თქმაც შეიძლება დღესდღეობით ქართველი ხალხის უძველესი ისტორიისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობის მქონე ურარტუს სახელმწიფოს შესახებ. რა თქმა უნდა, ნაშრომის მცირე მოცულობა და მისი პოპულარული ხასიათი არ იძლეოდა ამ მიზნის მთელი სისრულით განხორციელების შესაძლებლობას.

ნარკვევში ფართოდაა გამოყენებული ურარტუსა და ამიერ-კავკასიის ხალხთა უძველესი ისტორიისადმი მიძღვნილი ჩვენი ცალკეული წერილები, რომლებიც გამოქვეყნებულია საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯა-

ვახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის შრომებში („ანალები“, I 1947; „მიმომხილველი“, I, 1949), „საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე“-ში (ტ. VII, № 6, 1946; ტ. XI, № 10, 1950; ტ. XII, № 2, 1951) და ჟურნალში „Вестник Древней Истории“ (1947 წ. № 4, 1948 წ. № 2, 1949 წ. № 1, 1950 წ. № 4, 1951 წ. № 3), აგრეთვე ზოგი ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელი ნაშრომი, სადაც წარმოდგენილია სათანადო საბუთიანობა ზოგი იმ მოსაზრებისა, რომელიც წინამდებარე ნარკვევში ასეთი დასაბუთების გარეშეა შეტანილი.

დასასრულს, სასიამოვნო მოვალეობად მიგვაჩნია მადლობა გადავუხადოთ პროფ. ბ. პიოტროვსკის კარმირ-ბლურის არქეოლოგიური გათხრების ფოტო-მასალების გამოსაქვეყნებლად დათმობისათვის.

ავტორი

შ ი ნ ა ა რ ს ი

	გვ.
ქართველი ხალხის წინაპრების საკითხი ენის შესახებ სტალინური მოძღვრების სინათლეზე	3
I ნაირი-ურარტუს ხალხები ურარტუს სამეფოს წარმოქმნამდე	20
1. ხურიტების ძლიერების ხანა	20
2. ურარტული ტომები II ათასწლეულის დასასრულსა და I ათასწლეულის დასაწყისში ჩ. წ-მდე	21
3. ნაირი-ურარტუს ტომებისა და ასურეთის ურთიერთობა ურარტუს სამეფოს წარმოქმნის წინა ხანაში	26
4. დაიაენის (დიაუხის) სამეფო — უძლიერესი ერთეული ნაირის მხარეში ურარტუს სამეფოს წარმოქმნამდე . .	33
5. დიდ სახელმწიფოებრივ გაერთიანებათა ჩამოყალიბების პირობების მომზადება ნაირი-ურარტუს მხარეში	37
II ურარტუს სამეფოს ხანა	43
1. მსხვილი პოლიტიკური გაერთიანებების ჩამოყალიბება ნაირის მხარეში IX ს-ში ჩ. წ-მდე	43
ა. ურარტუს სამეფო	43
ბ. ნაირი—ხუბუშკიას სამეფო	44
გ. მანას ტომთა გაერთიანებების წარმოქმნა ურმიის ტბის რაიონში	46
2. ტუშფა-ბიაინის მმართველების ურარტუს სამეფოს სათავეში მოკცევა	50
3. ახლადწარმოქმნილი ურარტუს სამეფო და ნაირის მსხვილი ერთეულები	54
ა. მუსასირი და ურარტუ	54
ბ. ურარტუ და დაიაენის (დიაუხის) სამეფო	57
4. ურარტუს ძლიერების ხანა (ნაირის მხარე IX ს-ის დასასრულსა და VIII ს-ის პირველ ნახევარში)	59
ა. ასურეთი და ურარტუ	59
ბ. ნაირის სამხრეთ-აღმოსავლეთის ერთეულები (მუსასირი, ფარსუა, ბუშთუ, მანა) და ურარტუ	62
გ. ვანის ტბის სამხრეთითა და დასავლეთით მდებარე რაიონები (ჩრდილოეთი მესოპოტამია და ჩრდილოეთი სირია)	65

დ. სამხრეთი ამიერ-კავკასია 68
5. ასურეთის ხელახალი გაძლიერება. ურარტუს მარცხები (ტიგლათფილესერ III-ისა და სარგონ II-ის ხანა) . . . 86
6. ნაირი-ურარტუს მხარე VII საუკუნეში ჩ. წ-მდე 100
7. ურარტუსა და მანას სამეფოების დაცემა 106
8. ნაირი-ურარტუს ხალხების კულტურა 108
ა. მატერიალური კულტურა 108
ბ. რელიგია 117
გ. დამწერლობა და მწერლობა 122
III ნაირი-ურარტუს მხარე ურარტუს სამეფოს დაცემის შემდეგ 128
1. ქართველი ტომები ურარტუს სამეფოს არსებობის ხანაში 128
2. სკვითურ-საომატული მოდგმის ტომები ამიერ-კავკასიაში 130
3. სამხრეთ ამიერ-კავკასიის ურარტული ცენტრების განადგურება და დიდი აღმოსავლურ-ქართული გაერთიანებების ჩამოყალიბება 134
4 მუშქების ხალხი და უძველესი აღმოსავლურ-ქართული გაერთიანებები 138
5. სომეხი ტოიფების მსხვილ გაერთიანებათა ჩამოყალიბება და მათ მიერ ნაირი-ურარტუს ტერიტორიის თანდათანობითი დაკავება 139
6. დ.სავლურ-ქართული ტომების უძველესი გაერთიანებები 141
ბ ო ლ ო ს ი ტ ყ ვ ა ო ბ ა 146